პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექტ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 13 ივლისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 157 (1902)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— საფრანგეთის დეპ. პალატამ მიიღო საარჩევნო რეფორმის პროექტი.

— გერმანიის რეიხსტაგმა უარი სთქვა კომუნისტ - დეპუტატების გადაცემაზე სასამართლოსათვის.

— ნიაღვრები საფრანგეთში და ინგლისში.

— დიდი მიწისძვრა პალესტინაში.

— დრუჟელოვსკის მიუსაჯეს დახვრეტა.

მრეწველობა და თავდაცვა

ომი, რომელსაც ამზადებს ჩვენს წინააღმდეგ ინგლისის იმპერიალიზმი, მოითხოვს საბჭოთა კავშირის მრეწველობისაგან ძალთა მაქსიმალურ დაჭიმვას იმისათვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლით შევძლოთ კაპიტალისტების შეიარაღებულ ძალებისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

არკვევდა რა საკითხს ქვეყნის საწარმოო ძალთა მდგომარეობის და მისი თავდაცვის უნარიანობის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ, ენგელსი სწერდა: „არაფერი არ არის იმდენად დამოკიდებული ეკონომიურ პირობებზე, როგორც არმია და ფლოტი. შეიარაღება, შემადგენლობა, ორგანიზაცია, ტეხნიკა და სტრატეგია უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია წარმოების მიერ მიღწეულ ხარისხზე და მიმოსვლის საშუალებებზე. გენიალურ სარდლების გავლენა უკეთეს შემთხვევაში განისაზღვრებოდა მით, რომ ისინი ახერხებდენ ბრძოლის ხასიათის შეგუებას ახალ იარაღებთან და ახალ მებრძოლებთან.

ომის დროს მობილიზაცია უნდა გაუკეთდეს მთელს მრეწველობას, მთელს ტრანსპორტს, რათა მათ ერთსა და იმავე დროს დააკმაყოფილონ არმიის მოთხოვნილება შეიარაღებისა და მომარაგების საქმეში და განაგრძონ ქალაქისა და სოფლისათვის საჭირო საქონლის მიწოდება.

სწორედ ამიტომ ახლა, როდესაც ეკონომიურ წინააღმდეგობათა ქსელში სულ უფრო და უფრო გახლართული და ამის გამო სულ უფრო და უფრო აგრესიული კაპიტალიზმი პირისპირ აყენებს ჩვენს ქვეყანას ომის საფრთხის წინაშე, — მრეწველობამ ყოველმხრივ უნდა გააძლიეროს ახალ ქარხნების აღმშენებლობა დაარსებულთა რეკონსტრუქცია, უდიდესი სისწრაფით და ენერგიით უნდა გაატაროს წარმოების მიზანშეწონილი ორგანიზაცია.

ომი მოითხოვს მრეწველობისაგან ისეთი სამხედრო წარმოების განვითარებას, რომელიც რაოდენობით უნდა იქნეს ჩვეულებრივზე უმეტესი, უნდა იქნეს მაღალი ღირსების და ამავე დროს იაფიც. 1914-17 წლ. ომის მაგალითი და მეფის ძველი არმიის სასტიკი დამარცხება 1915 წელში, რაც გამოწვეული იყო უმთავრესად შეიარაღების ნაკლებობით, საკმაოდ ნათელყოფენ იმ უპირველესი პირობის საჭიროებას, რომ არმიას უნდა მივაწოდოთ საკმაო შეიარაღება.

ამავე დროს იმისათვის, რომ შევძლოთ წინააღმდეგობა გავუწიოთ კაპიტალისტურ არმიებს, რომელთა შეიარაღება ეყრდნობა ლითონის და ქიმიურ ქარხნების მაღალ ტეხნიკას, საჭიროა ამთავითვე გავატაროთ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც მოგვცემენ იმის საშუალებას, რომ საჭიროების დროზე სასწრაფოდ გადავიდეთ სავაჭრო თვისების პროდუქციის წარმოებიდან სამხედრო წარმოებაზე. ომის დროს ქვეყნის თავდაცვას ჩვენ ვერ დავამყარებთ მხოლოდ სამხედრო მრეწველობის ქარხნებზე. წარსულმა იმპერიალისტურმა ომმა ნათელჰყო, რომ სამხედრო ტეხნიკის დღევანდელ დგომარეობის გამო თავდაცვისთვის საჭირო წარმოებაში ებმება მთელი მრეწველობა. ამიტომ ყველა ქარხნების წინაშე უნდა იდგეს ამოცანა, რომ საჭირო შემთხვევაში, ისინი გადავიდენ მშვიდობიან წარმოებიდან სამხედრო წარმოებაზე, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებით მაღალ ღირსებას.

ამიტომ უდიდესი და სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს პირველ რიგში პროდუქციის თვისებრივ შეგუებას თავდაცვის საჭიროებასთან.

ამავე დროს სამხედრო დროის ეკონომიკა მოითხოვს მრეწველობისაგან თავდაცვისათვის საჭირო პროდუქციის წარმოებას უიაფეს ფასებში. რამდენადაც ომი იწვევს უდიდეს არანაყოფიერ მოხმარებას ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, იმდენად ამ მოხმარების ღირებულება უნდა განისაზღვროს პროდუქციის გაიაფებით. ერთსა და იმავე დროს მაღალი ღირსების და სიიაფის მოთხოვნილება, რა თქმა უნდა, ძნელი ასასრულებელია. ის გულისხმობს ღონისძიებათა მაქსიმუმის მიღებას წარმოების რაციონალიზაციისათვის.

მიუხედავად ამისა ეს ამოცანა დასმულია მუშათა კლასის მიერ ჩვენი ქვეყნის მრეწველობის წინაშე და აუცილებლად უნდა იქნას გადაჭრილი. ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მოსამზადებლად უნდა ვრცელდებოდენ მთელ წარმოებაზე და უნდა სარგებლობდენ მუშათა კლასის განსაკუთრებული ყურადღებით. ქარხნის მუშები, რომლებიც დაკავშირებული არიან ამჟამად და დაკავშირებული იქნებიან შემდეგშიაც თავდაცვის მიზნით წარმოებულ მუშაობასთან, უნდა განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ ქარხნის ან ცალკე ცეხის რაციონალიზაციის საქმეს. ამასთანავე მათ წინაშე სდგას კიდევ ერთი ამოცანა —საქმისადმი საზოგადოებრივი თვალსაზრისით მიდგომასთან ერთად მათ უნდა შეეძლოთ სამხედრო საიდუმლოების შენახვა და თავის ქარხნების და ცეხების დაცვა კაპიტალისტების მიერ გამოგზავნილ მზვერავებისა, ჯაშუშებისა და აფეთქებლებისაგან. ფართო საზოგადოებრივი ცხოვრება აჩვევს მუშებს გაუზიარონ საზოგადოებას თავიანთი ქარხნების საწარმოო მიღწევანი, რითაც იმპერიალისტების ჯაშუშები სარგებლობენ თავის მიზნებისათვის.

ვინაიდან სხვადასხვა რაიონებში ადგილი ჰქონდა მანქანების გაფუჭებას და ქარხნებისთვის ცეცხლის წაკიდებას, ეს გარემოება მუშებისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და სიფხიზლეს. უნდა გავაათკეცოთ ჩვენი სიფხიზლე.

მტკიცე მუშაობა მთელი სახალხო მეურნეობის მოსამზადებლად სამხედრო მდგომარეობის პირობებთან შეფარდებით და ამ მუშაობაში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობა ჩვენ საშუალებას მოგვცემს სავსებით მზად დავხვდეთ კაპიტალისტურ მსოფლიოს შეიარაღებულ ცდას, მიმართულს ერთადერთ მუშურ სახელმწიფოს ჩრჩობისაკენ.

ამით ჩვენ ერთხელ კიდევ დავამტკიცებთ, რომ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარნი სანდო ხელშია.

„პრავდა“.

12 ივლისი, მოსკოვი.

დაქირავებული შრომის მოწესრიგება შინა-მრეწველობაში

შრომის მოწესრიგებას წვრილ - ხელოსნურ წარმოებაში ფრთხილი მიდგომა უნდა. ეს წარმოება იმდენათ ძლიერი არ არის, რომ აიტანოს ყოველივე ის მოთხოვნილებანი, რომელსაც ჩვენ უყენებთ ჩვეულებრივ წარმოებას და რომელიც მისთვის შესაძლებელი და ადვილათ ასატანია. წვრილ-ხელოსნურ წარმოებაში ადგილი აქვს შრომის თავისებურ ურთიერთობას. იქ დამქირავებელი უმეტეს შემთხვევაში გამოდის არა მარტო ჩვეულებრივ დამქირავებელის როლში, არამედ დაქირავებულთან ერთათ ეწევა მუშაობას.

შრომის ურთიერთობის ეს თავისებურება წვრილ ხელოსნურ წარმოებაში და მისი ეკონომიური სისუსტე უნდა უთუოთ იქნეს მიღებული მხედველობაში იქ დაქირავებული შრომის პირობების დაწესების დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში არა თუ შეფერხდება წვრილი - ხელოსნური წარმოების განვითარება, არამედ კიდეც დაეცემა ეს წარმოება, ხოლო ჩვენთვის ეს არ არის სასარგებლო. ერთი მხრივ შინამრეწველობა ავსებს საქონლის იმ ნაკლს ბაზარზე, რომელიც ჯერ კიდევ სახელმწიფო მრეწველობისაგან არ შეიძლება დაკმაყოფილებული იქნას სავსებით. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შინამრეწველობის იმ დარგებს, რომელსაც ჯერ კიდევ საფაბრიკო დამუშავება არ შეხებია. მეორე მხრივ, წვრილი - ხელოსნური წარმოებაში მზადდება კვალიფიციური მუშა - ხელი. თუმცა ასეთი მომზადება არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით, სხვა ზომების სიმცირის გამო (საქარხნო სკოლები, წარმოებაში ინდივიდუალური და ბრიგადული შეგირდობა და სხვ.), წვრილ-ხელოსნური წარმოება იძლევა კვალიფიციურ მუშა-ხელზე მოთხოვნილების და ნაწილობრივათ დაკმაყოფილების საშუალებას.

წვრილ - ხელოსნურ წარმოების შენარჩუნებას და მის განვითარებას აქვს აგრეთვე მნიშვნელობა არსებულ უმუშევრობის პირობებში. შინამრეწველობის შემცირება საგრძნობლათ გაზრდის უმუშევრობის რიცხვს.

მთელი რიგი შეღავათები მიცემული აქვს წვრილ - ხელოსნურ წარმოებას სახელმწიფო ორგანოების მიერ. ეს იმას ამტკიცებს, თუ რამდენათ ყურადღებით ეპყრობა საბჭოთა ხელისუფლება შინამრეწველობის განვითარებას. აღსანიშნავია, განსაკუთრებით შეღავათები შეგირდობის საკითხებში. საერთოთ კანონმდებლობითი ნორმებით შინამრეწველთავის გათვალისწინებულია არსებულ პირობებში მაქსიმალური შეღავათები.

თუმცა კანონმდებლობის წესით შინამრეწველობისათვის შექმნილია განვითარების ნორმალური პირობები, მაგრამ მთელი რიგი მომენტები კიდევ ხელს უშლის მას. ერთ ამ ხელისშემშლელ მომენტათ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი პროფესიონალური კავშირების ორგანოების მიერ არა სათანადო მიდგომა წვრილ - ხელოსნურ წარმოებაში დაქირავებული შრომის მოწესრიგების საკითხებისადმი. ადგილი აქვს გადაჭარბებულ მოთხოვნილებების წაყენებას შრომის ხელშეკრულების დადების დროს. ხშირათ კავშირები შინამრეწველს ისეთივე მოთხოვნილებას უყენებენ, როგორც ჩვეულებრივ წარმოებას. ხელფასის, სხვადასხვა ანარიცხების და სხვა საკითხებში ზოგიერთი კავშირები არ უწევენ ანგარიშს იმას, თუ როგორ დამქირავებელთან აქვს საქმე. ზოგან კიდეც სარგებლობენ შინამრეწველის სუსტი წინააღმდეგობით და მეტს ადებენ მას, ვიდრე სხვა წარმოებებში არის. მაგალითათ ხშირია შემთხვევა, როცა შინამრეწველს შრომის ხელშეკრულების ძალით ანარიცხები მუშათა კომიტეტის შენახვისათვის და კულტურულ მუშაობისათვის ხდება 6—7 პროცენტის რაოდენობით, მაშინ, როცა საშუალოთ ეს გასადახადი სხვაგან უდრის 2—4 პროცენტს.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ზოგიერთი პროფესიონალური კავშირების ორგანოები შრომის ხელშეკრულების დადებაში მიმართავენ ადმინისტრატიულ ზეგავლენას. ეს კი დაუშვებელია, არა თუ შინამრეწველთა მიმართ, არამედ სხვების მიმართაც. ხელშეკრულების დადება და შრომის პირობების დაწესება, არსებულ შრომის კანონმდებლობით დაწესებულ მინიმალური ნორმების დაცვით, უნდა ხდებოდეს ორივე მხარის (დამქირავებლის და დაქირავებულის) შეთანხმებით. როცა ეს შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მხარეებს შეუძლიან მოაწყონ მომრიგებელი კამერა და სამედიატორო სასამართლო. ეს უკანასკნელი, სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებისათვის სავალდებულო არის, კერძოსთვის კი არა. თუ კერძო დამქირავებელი არ თანხმდება სამედიატორო სასამართლოს საშუალებით დავის გადაჭრას, კავშირს შეუძლია მიმართოს გაფიცვას. აი, კონფლიქტების გარჩევის ნორმალური წესი.

შრომის ხელშეკრულებების ნორმალური წესით დადება შინამრეწველობაში ყველგან არ ხდება. ზოგიერთი პროფესიონალური კავშირის ორგანო ისეთი ფორმით უყენებს მოთხოვნილებას შინამრეწველს, რომ ამ უკანასკნელს გონია, რომ კავშირის მოთხოვნილება მისთვის სავალდებულოა. ამის გამო ის იძულებული ხდება ხელი მოაწეროს კავშირის მიერ შედგენილ ხელშეკრულებას, მაშინაც, როცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები ამ მეურნეობისათვის აუტანელია და მან აუტანელ ტვირთათ დააწვება.

კავშირების ზოგიერთი ორგანოები ხელშეკრულების ტრაფარეტს სტამბაში ბეჭდავენ; მხოლოთ ზოგიერთი ადგილების შევსება არის საჭირო და ხელის მოწერა. ცხადია, ასეთი წესი, თუმცა საქმეს აადვილებს, მაგრამ არ ვარგა, ვინაიდან შეუძლებელია თვითეული დამქირავებლის ეკონომიური მდგომარეობის აღნუსხვა და ამის და მიხედვით საერთო შრომის პირობების დაწესება.

ასეთი არა სათანადო მიდგომას შრომის პირობების დაწესების საკითხში აქვს აგრეთვე ადგილი შინა - მოსამსახურეების მიმართაც. აქაც ზოგიერთი კავშირის ორგანო არ ითვალისწინებს ამ შრომის სპეციფიურობას და აყენებს გადაჭარბებულ მოთხოვნილებას. ეს კი შრომის პირობების გაუმჯობესების მაგივრათ იწვევს გაუარესებას, ვინაიდან ასეთი მიდგომა იწვევს ამ დარგში ჩაბმულ დაქირავებულ პირთა შემცირებას და ზრდის უმუშევრობას.

საქართველოს პროფკავშირების უკანასკნელმა ყრილობამ ამ საკითხის შესახებ აღნიშნა: „ხელოსნებთან მომუშავე შეგირდებისა და შინა - მოსამსახურეებისათვის შრომის ხელშეკრულების დადების დროს ხშირია შემთხვევა, როცა კავშირი აიძულებს დამქირავებელს სხვადასხვა მოთხოვნილებათა მიღებას და არ უწევს სათანადო ანგარიშს მის მატერიალურ მდგომარეობას. კავშირებმა ანგარიში უნდა გაუწიონ ამ კატეგორიების შრომის განსაკუთრებულ პირობებს და სიფრთხილით მიუდგენ მათი შრომის მოგვარების საკითხებს“.

ყრილობის მიერ ამ საკითხის შესახებ მიღებული დადგენილება უნდა გატარდეს ცხოვრებაში. იქ, სადაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი არა სათანადო მიდგომას ამ საკითხში, უთუოთ უნდა ვეცადოთ მის გამოსწორებას.

ტ—ი.

ინგლის-ამერიკა-იაპონიის მოლაპარაკება ჟენევაში ჩაიშალა

პოლონეთის მთავრობის ოფიციოზი მხარს უჭერს კეთილმეზობლურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან

პონსონბის სიტყვა კონსერვატორების ავანტიურისტული პოლიტიკის წინააღმდეგ

კონსერვატორი ბუტბი მოითხოვს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენას

ამხ. ბოროდინა და სამი დიპკურიერი განთავისუფლებულია პატიმრობიდან

ჟენევის კონფერენცია ჩაიშალა

ბერლინი, 11 ივლისი. 11 ივლისისათვის ჟენევაში დანიშნული იყო სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა კონფერენციის ღია სხდომა, რომელიც უკანასკნელ წუთში გადადებულ იქნა; გადადება თითქოს გამოიწვია ირლანდიის იუსტიციის მინისტრის ოხიგინსის მოკვლამ; უკანასკნელი 7 ივლისამდე მონაწილეობას იღებდა კონფერენციაზე, როგორც ირლანდიის წარმომადგენელი.

მაგრამ ბერლინის გაზეთების ჟენეველ კორესპონდენტების ცნობებით, კონფერენცია გადაიდო სულ სხვა მიზეზების გამო განუსაზღვრელ ვადით.

„ფოსიშე ცეიტუნგ“ ბეჭდავს ამ ცნობებს შემდეგი სათაურით „ჟენევის კონფერენცია აფეთქდა“. (ადს).

ბერლინი, 11 ივლისი. შვეიცარიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ **სამთა კონფერენციის საჯარო პლენარული სხდომა გადადებულია განუსაზღვრელ ვადით იმ უთანხმოების გამო, რომელიც უკანასკნელ კვირაში განსაკუთრებით საგრძნობი შეიქნა.** (ადს).

პონსონბი კონსერვატორების პოლიტიკის შესახებ

ლონდონი, 11 ივლისი. რეიტერის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ თემთა პალატაში საგარეო პოლიტიკის შესახებ გამართულ კამათის დროს სიტყვით გამოვიდა **პონსონბი,** რომელმაც შეიტანა ფორმალური წინადადება საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის შემცირების შესახებ 100 გირ. სტერლინგით.

პონსონბი შეჩერდა სამ მთავარ საკითხზე: საფრანგეთ - გერმანიის ურთიერთობაზე, ბალკანეთის მდგომარეობაზე და რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობაზე.

„იმან, რაც ლოკარნოში გაკეთდა,— სთქვა პონსონბიმ, ვერ შეუწყო ხელი რამდენადაც ეხლა შეიძლება ამაზე მსჯელობა, — მეგობრული ურთიერთობის აღდგენას საფრანგეთსა და გერმანიას შორის. პირიქით, ჩვენ ვშიშობთ, რომ მათ შორის კვლავ არ გამწვავდეს დამოკიდებულება. ოპოზიციას სურს იცოდეს — როგორია მთავრობის პოლიტიკა რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხში“?

შეეხო რა საკითხს საბჭოთა კავშირის შესახებ, პონსონბიმ სთქვა:

„მთავრობის მომხრეები არ უწევენ სრულ ანგარიშს იმას, თუ როგორი გავლენა მოახდინა ევროპაში საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტამ, **რაც ნაკარნახევი იყო შინაპარტიული პოლიტიკის მოსაზრებებით. საფრანგეთის მთავრობა, რომელიც, როგორც ფიქრობდენ, უნდა გაჰყოლოდა ჩვენ გზას, შესდგება მეტად შორსმჭვრეტელ დიპლომატებისაგან და არ გაიზიარებს ასეთ სპილოსებურ პოლიტიკას.**

ბოლშევიკების შიში შეიძლება უნიადაგო იყოს, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ისინი შეშფოთებული არიან ურთიერთობის გაწყვეტით და იარაღდებიან, ვინაიდან აქვთ შიშის საფუძველი, რადგან მათ არ დავიწყებიათ, თუ როგორ ეპყრობოდენ 1917—21 წ. წ.

ჩვენ არ უნდა გაგვეტანა ჩვენი შინაური ბრძოლა და უთანხმოება პარტიებს შორის ბრიტანეთის კუნძულებს იქით. იმ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქმნა, უცხოეთის პრესა გაჰყვირის მახინაციებზე, რომელთაც ჩვენ მივმართავთ, რომ ალყა შემოვარტყათ რუსეთს“. (ადს).

ლოკერ ლემპსონის განცხადება

ლონდონი, 11 ივლისი. საგარეო პოლიტიკის საკითხების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა ლოკერ-ლემპსონი და განაცხადა:

„ჩვენ მზად ვართ ვაწარმოოთ ვაჭრობა რუსეთთან და მეგობრული დამოკიდებულება ვიქონიოთ მასთან. მაგრამ სანამ საბჭოთა მთავრობა არ შესწყვეტს პროპაგანდას დიდი ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ, მანამდე ყოვლად წარმოუდგენელია რაიმე დიპლომატიური ურთიერთობა მასთან. რაც შეეხება მითითებებს, თითქოს ურთიერთობის შეწყვეტის საქმეში დიდი როლი ითამაშენ ნავთის მრეწველთა ინტერესებმა, მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ ნავთის მრეწველთა წრეების ინტერესებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ამასთან. ჩვენზე იმ გარემოებამ იმოქმედა, რომ ყველგან, მსოფლიოს ყოველ კუთხეში ვაწყდებოდით საბჭოთა მთავრობის პროპაგანდას“.

კამათის დასრულების შემდეგ, მუშათა პარტიის რეზოლიუცია 100 გირვანქა სტერლინგით საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის შემცირების შესახებ, უარყოფილ იქნა 222 ხმით, უმრავლესობით 105 წინააღმდეგ. (ადს).

ინგლისის ინტრიგები

პოლკოვნიკ ნესვიტის მისია

მოსკოვი, 12 ივლისი. „იზვესტია“ ბეჭდავს საკუთარ კორესპონდენტის შემდეგ დეპეშას ბერლინიდან:

„აქ მიღებულ სარწმუნო ცნობებით, ინგლისელი მაიორი **ნესვიტი,** რომელიც კოვნოში ჩამოვიდა 30 ივნისს, არის ბრიტანეთის კონტრ - დაზვერვის პოლკოვნიკი და დავალებული აქვს შემოიაროს ბალტიის მხარის ყველა სახელმწიფოები და პოლონეთი იმ მიზნით, რომ გამოარკვიოს არმიის ბრძოლის უნარი და ინგლისისთვის აქტიური დახმარების გაწევის შესაძლებლობა ინგლისსა და საბჭოთა კავშირის შორის მოსალოდნელ ომის შემთხვევაში. ნესვიტს თან ახლავს ინგლისელი მაიორი **ლლოიდი.** კოვნოში ნესვიტმა ინახულა ვოლდემარასი და გენერალური შტაბის უფროსი **დაუკანტოსი** და გაეცნო კოვნოს გარნიზონის მდგომარეობას, განსაკუთრებით ავიაციისას. კერძოდ ნესვიტმა გამოარკვია ლიტვის ინგლისური არტილერიითა და ამუნიციით მომარაგების შესაძლებლობა და აგრეთვე **საკითხი ინგლისის საჰაერო ფლოტის ავიობაზის მოწყობის შესახებ**“ .(ადს).

ზუნდის სრუტეს გაღრმავება

რიგა, 11 ივლისი. ანგლოფილური „ლატვის“-ი იუწყება, რომ დანია, როგორც სჩანს, დასთანხმდა ზუნდის სრუტეს გაღრმავებაზე, რასაც დაბეჯითებით მოითხოვს ინგლისი.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტებს აქამდე არ შეეძლოთ ბალტიის ზღვაში შესვლა, რომ „საჭიროების დროს დაეცვათ პოლონეთი და ბალტიის სახელმწიფოები“.

მენშევიკების შურისძიება

საბჭოთა კავშირის შესახებ სიმართლის თქმისათვის.

ბერლინი, 11 ივლისი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრეიბერგის (საქსონია) ორგანიზაციამ გამორიცხა პარტიიდან **გიუნცელი და კარლი** — საბჭოთა კავშირში გაგზავნილი დელეგაციის წევრები. დელეგატები პარტიიდან გარიცხული არიან იმიტომ, რომ მუშათა კრებებზე ისინი კარგად ახასიათებდენ საბჭოთა კავშირს. კარლი წინედ კომპარტიის წევრი იყო, და პარტიიდან მაშინ გამოვიდა, როდესაც პარტიის ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგენ რუტ ფიშერი და მასლოვი. კომპარტიიდან გამოსვლის შემდეგ ის გადავიდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

გომინდანის ცეკას ინსტრუქცია და ნაციონალური მთავრობის ბრძანება

ხანკოუ, 11 ივლისი. გომინდანის ცენტრალურმა კომიტეტმა მუშათა და გლეხთა მოძრაობის საკითხის გარშემო გამოაქვეყნა ინსტრუქცია, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„მრავალ რაიონში მუშათა და გლეხთა მოძრაობა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ნაციონალური მთავრობის ინსტრუქციებს. ადგილი ჰქონდა მრავალ შეცდომას, რასაც ასევე მრავალი ინციდენტი მოჰყვა. ყველა ამის მთავარი მიზეზია სათანადო ხელმძღვანელობის არ ყოლა“.

ინსტრუქცია აღნიშნავს, რომ მუშურ - გლეხური ორგანიზაციები არ ემორჩილებიან გომინდანის ბრძანებებს, რომლის ხელშიაცაა მთელი ძალაუფლება. მოძრაობა იმყოფება ორგვარი ხელმძღვანელობის ქვეშ (როგორც სჩანს, კომპარტია იგულისხმება.) გომინდანის ცეკა მოითხოვს, რომ ყველა მუშურ-გლეხური ორგანიზაციები ემორჩილებოდენ გომინდანის კონტროლს და ხელმძღვანელობას.

გომინდანის ცეკას ინსტრუქციასთან ერთად, ნაციონალურმა მთავრობამაც გამოაქვეყნა ბრძანება, რომელშიც ნათქვამია:

„უკანასკნელ დროს მუშურ - გლეხურმა მოძრაობამ დიდი შეცდომები დაუშვა. არასასურველმა ელემენტებმა (მხედველობაშია კომუნისტები) ხელში ჩაიგდეს კავშირების ხელმძღვანელობა და საფრთხეში ჩააგდეს მშვიდობიან მოქალაქეთა უშიშროება. ამ მოქალაქეებს აპატიმრებდენ და ახდევინებდენ ჯარიმას. ამგვარი მოქმედება არღვევს მთავრობის ბრძანებებს. ტყუილია თითქოს ნაციონალურ მთავრობას შეეცვალოს თავისი პოლიტიკა მუშურ - გლეხური მოძრაობის მიმართ. მუშურ - გლეხური კავშირები არ უნდა იქნან დევნილნი, მაგრამ თავის მხრივ მათაც არა აქვთ უფლება მოახდინონ შემდეგში მოქალაქეთა დაპატიმრება და დაჯარიმება“. (ადს)

სრულიად ჩინეთის შრომის ფედერაციის ახალი აღმასკომი

ხანკოუ, 11 ივლისი. **სრულიად-ჩინეთის პროფკავშირთა ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე არჩეულ იქნა სრულიად-ჩინეთის შრომის ფედერაციის აღმასკომი. აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია სიუ-ჩაო-ჟენი. აღმასკომმა დაადგინა დაარსოს აღმასკომის განყოფილება შანხაიში, კანტონში და ტიან-ძინში, სადაც ეს განყოფილებები ხელმძღვანელობას გაუწევენ ადგილობრივ მუშათა მოძრაობას. (ადს).**

ვან-ტინ-ვეის წერილი

ხანკოუ, 11 ივლისი. ვან-ტინ-ვეი (მემარცხენე გომინდანის ერთ-ერთი ბელადი) გამოაქვეყნა წერილი, რომელიც შეეხება გომინდანის და მასიურ მოძრაობის შორის ურთიერთობის საკითხს. ვან-ტინ-ვეი ჰკიცხავს მასიურ ორგანიზაციების დამოუკიდებელ მოქმედებას და სთვლის მათ „უკანასკნელად მომხდარ მღელვარებათა ძირითად მიზეზად“.

„მასიური მოძრაობის ხელმძღვანელები, — სწერს ვან-ტინ-ვეი, --- ხშირად ამბობენ, რომ მასები არ ენდობიან არც გომინდანს და არც მთავრობას, რომ ისინი მხოლოდ თავის თავს ენდობიან და რომ აი სწორედ ეს არის მიზეზი პარტიისაგან მასების ჩამოშორებისა და ნაციონალურ რევოლიუციის მთლიანობის შესუსტებისა.

შემდეგ ვან-ტინ-ვეის მოჰყავს სუნ-იატ-სენის ნაწერები და სცდილობს დაამტკიცოს, რომ მიწის საკითხი უნდა გადაიჭრას არა მიწის ჩამორთმევით მიწათმფლობელებისთვის, არამედ მშვიდობიანი შეთანხმების გზით. გომინდანი წარმოადგენს რამდენიმე კლასის პარტიას და ამიტომ ის ვერ დაიცავს მარტო ერთი რომელიმე კლასის ინტერესებს. სუნ-იატ-სენი სცდილობდა კლასიური ბრძოლა აეცდინა ჩინეთისათვის.

დასასრულ ვან-ტინ-ვეი მოითხოვს, რომ მთელი მასიური მოძრაობა დაემორჩილოს ნაციონალური მთავრობის ხელმძღვანელობას. მასიური ორგანიზაციების ლოზუნგები უცვლელი უნდა დარჩეს“. (ადს)

ლი-ტინ-სინის პასუხი

შანხაი, 11 ივლისი. იაპონიის კონსულმა კანტონში ადგილობრივ ხელისუფლებას განუცხადა პროტესტი იაპონიის საქონლის ბოიკოტის წინააღმდეგ.

კანტონის დიქტატორმა **ლი-ტინ-სინმა** კონსულს უპასუხა, რომ მთავრობას არ შეუძლია შეაჩეროს ბოიკოტი, რომელიც გამოწვეულია პატრიოტული გრძნობებით; თუ პიკეტები გადააჭარბებენ თავიანთ უფლებებს, მაშინ მთავრობა მიიღებს ზომებს. (ადს).

აჯანყების ჩაქრობა

შანხაი, 11 ივლისი. შანდუნიდან ისევ ერთი - ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები მოდის, როგორც სჩანს, ცინდაოს და კიაო - ჩიაოს რაიონში ჩრდილოელ გენერლების აჯანყება ჩაქრობილი უნდა იყოს. ამას იტყობინება აგრეთვე ნანკინის მთავრობის ოფიციოზი „ჩაინა კურიერ“-იც.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

პოლონეთის ოფიციოზი საბ. კავშირთან ურთიერთობის შესახებ

ვარშავა, 11 ივლისი. წერილში „საბჭოთა პრესის არასწორი თეზისები“ „ეპოქა“ სწერს:

„საბჭოთა პრესამ წამოაყენა სამი დებულება: პოლონეთი ხელს უწყობს ანტი-საბჭოთა ტერორისტულ ორგანიზაციებს, პოლონეთი წარმოადგენს ინგლისის ანტი-საბჭოთა პოლიტიკის იარაღს და პოლონეთი არ აწარმოებს გულწრფელ მშვიდობიან პოლიტიკას.

მაგრამ ყველამ იცის, რომ **პოლონეთის ინტერესს სრულებითაც არ შეადგენს მის ტერიტორიაზე ტერორისტულ ორგანიზაციებისათვის ხელის შეწყობა.** ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთის მონარქიზმი პოლონეთის უბოროტესი მტერია. იბადება კითხვა, რატომ ასეთსავე ბრალდებებს არ უყენებენ გერმანიასაც, სადაც ცხოვრობენ რუსეთის მონარქიზმის უმაღლესი წრეები, თვით კირილიც.

რაც შეეხება მეორე ბრალდებას, საეჭვოა, რომ მოსკოვში ფიქრობდენ თითქოს 30 მილიონიან პოლონეთის სახელმწიფოს არ გააჩნდეს საკუთარი პოლიტიკა და წარმოადგენდეს მხოლოდ იარაღს ვიღაც სხვის, თუნდაც კეთილის მსურველის ხელში.

საბჭოთა პრესის არგუმენტებს ზიანი მოაქვს კეთილმეზობლურ განწყობილების დამყარებისათვის პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. **პოლონეთს არა აქვს არავითარი საფუძველი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამოქმედოთ.** არც ტერიტორიალური და არც პოლიტიკური საკითხები არ აიძულებენ პოლონეთის სახელმწიფოს და პოლონეთის ხალხს მტრულად იყონ განწყობილი რუსეთის მიმართ, **ეკონომიური მიზეზები კი იძულებს ხდიან მას შეინარჩუნოს საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობა**“. (ადს).

თათბირი პოლონეთ - საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ

ვარშავა, 11 ივლისი. პოლონეთის ოფიციოზი „ეპოკა“ იუწყება, რომ ვაჭრობის მინისტრი **კვიატკოვსკი** ეთათბირა პოლონეთის მოსკოველ ელჩს პატეკს საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების საკითხის შესახებ.

გაზეთი აღნიშნავს, რომ მიუხედავად საკითხის დიდი სირთულისა, **პატეკი დარწმუნებულია იმ დაბრკოლებათა გადალახვის შესაძლებლობაში, რომელნიც წინ ელობებიან ხელშეკრულების დადებას.** (ადს).

უცხოეთის პრესა

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ინგლისის კონსერვატორებს, როგორც ფრანგები იტყვიან, არ აქვთ კარგი პრესა მათ მიერ ურთიერთობის შეწყვეტის გამო საბჭოთა კავშირთან. ვერ იწონებენ მათ ნაბიჯს თვით ისეთი გაზეთები და ისეთი ჟურნალისტები, ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც ერთბაშად მტრულად არიან განწყობილი ბოლშევიკებისადმი. არაფერი ურთიერთობის შეწყვეტიდან არ გამოვა, ინგლისი ვერ მოახერხებს უკან გაიყოლიოს სხვა სახელმწიფოებიო—ამბობენ ისინი. დაჟინებით იმეორებს ამ აზრს **„ნოიე ფრაიე პრესე“**-ში ვლადიმერ გრაფ დორმესონი, გაზ. **„ტან“**-ის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელი. ის სწერს ვენის ზემოხსენებულ გაზეთში (26 ივნისი) შემდეგს:

„ისმება საკითხი, არიან თუ არა მხოლოდ ბოლშევიკები დამნაშავე იმ სიძნელეებისათვის, რომლებსაც განიცდის ინგლისი. **ჩემის აზრით უდიდეს შეცდომაში ჩავარდებოდა ის, ვინც იფიქრებდა, რომ, რადგან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა დასტოვეს ინგლისი, ამიტომ იქ ყოველისფერი რიგზე დარჩა და ინგლისელების შინაური საქმე ნორმალურად მიდის.** ინგლისის კონსერვატიული პარტია, რომელიც წესიერების უდიდეს ფაქტორს წარმოადგენს ევროპაში, ძალიან შესცდებოდა თუ ამით მოიტყუებდა თავს და დამშვიდდებოდა... ნამდვილად კი ინგლისის მთელი უბედურება, მისი სიძნელენი **იქიდან** წარმოსდგება, რომ ის განიცდის მძაფრ კრიზისს, **რომლის მიზეზია სრულიად დაძველებული ორგანიზაცია მისი ინდუსტრიისა, მისი სრული ჩამორჩენილობა,** რომელიც საშუალებას უსპობს მას იმუშაოს სრული ნაყოფიერებით და მეტოქეობა გაუწიოს სხვა მრეწველ ქვეყნებს. ასეთ პირობებში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ კონსერვატორების მთავრობამ პასპორტები დაუბრუნა საბჭოთა წარმომადგენლებს და უთხრა გამეცალეთ აქედანო“.

„შესწყვეტს თუ არა საფრანგეთი ურთიერთობას საბჭოებთან? **ჩემის აზრით არა.** არ შეიძლება შესცვალოს მან თავისი პოლიტიკა იმიტომ, რომ ინგლისმა შესცვალა თავისი, მით მით უმეტეს, რომ **ახალ არჩევნებს ინგლისში შეუძლია სულ სხვანაირი მდგომარეობა შექმნან და ხელახლა აღადგინონ ძველი** მდგომარეობა“.

ავტორი დარწმუნებულია იმაშიც, რომ ვერც სხვა ქვეყნებზე მოახდენს გავლენას ინგლისის გადაწყვეტილება, ვერ აიძულებს ის ამ ქვეყნებს გაჰყვნენ მას.

ავტორი დარწმუნებულია იმაშიც, რომ არც გერმანია გაჰყვება ინგლისს. საერთოდ ის ამბობს:

„მე ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვინც ფიქრობს, რომ შეუძლებელია საბჭოთა წინააღმდეგ სახელმწიფოების „ერთიანი ფრონტის“ შექმნა და შეთანხმებული „ჯვაროსნული ომი“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. შეუძლებელია სახელმწიფოთა ეს ერთიანი ფრონტი საბჭოთა წინააღმდეგ იმიტომ, რომ ბოლშევიკების საკითხი **სხვადასხვანაირად დგას, სხვადასხვა ქვეყანაში** და რომ ამ ქვეყნებს ერთნაირად არ ეშინიათ ბოლშევიკების“.

უკანასკნელი ცნობები

ამხ. ბოროდინას განთავისუფლება

პეკინი, 12 ივლისი. სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ბოროდინას და სამი დიპლომატიური კურიერის განთავისუფლების შესახებ. ისინი გაანთავისუფლეს 12 ივლისს.

სუნ-ფოსი და ვან-ტინ-ვეის გარიცხვა გომინდანიდან

შანხაი, 12 ივლისი. გომინდანის კანტონის ორგანიზაციის აღმასრულებელთა კომიტეტმა და საკონტროლო კომისიამ დაადგინეს გარიცხონ გომინდანის პარტიიდან სუნ-ფო (სუნ-იატ-სენის შვილი) და ვან-ტინ-ვეი. (ადს).

გლეხების აჯანყება

შანხაი, 12 ივლისი. კანტონიდან მიღებული ცნობებით, ათასი გლეხი თავს დაესხა იამანის ქალაქის თვითმმართველობას და გაანთავისუფლა 200 პატიმარი, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლის გამო. ქალაქის თავი გაიქცა და აღარ დაბრუნებულა ქალაქში. (ადს).

აჯანყება ნანკინის წინააღმდეგ

შანხაი, 12 ივლისი. ჩინური გაზეთები იუწყებიან, რომ ტაისინში (ცზან-სუს პროვინციის სამხრეთ ნაწილში) დაიწყო სერიოზული აჯანყება ნანკინის წინააღმდეგ. პოლიციის უფროსმა პოლიციელებისა და მუშების თანხლებით გაჩხრიკა გომინდანის (მემარჯვენე) ადგილობრივი კომიტეტი და დააპატიმრა გომინდანის ნანკინის ორგანიზაციის წარმომადგენელი, იუწყებიან, რომ აჯანყების ჩასაქრობად ნანკინის მთავრობას განზრახული აქვს გაგზავნოს ჯარები. (ადს).

ჩან-ძუ-ჩანის შეთანხმება ატამან სემიონოვთან

შანხაი, 12 ივლისი. „ნორდ ჩაინა დეილი ნიუზის“ პეკინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩან-ძუ-ჩანსა და თეთრგვარდიელ გენერალ სემიონოვს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის ძალით სემიონოვი ვალდებულია შეადგინოს რაზმი, 5.000 თეთრგვარდიელის შემადგენლობით, და მიიღოს მონაწილეობა შანდუნის არმიის სამხედრო ოპერაციებში. კორესპონდენტის სიტყვით, სემიონოვი ამჟამად შანხაიში იმყოფება და აგროვებს თეთრგვარდიელებს, თეთრგვარდიელების ასეთივე შეგროვება სწარმოებს მთელს შორეულ აღმოსავლეთში. (ადს).

ნანკინის არმიის უკან დახევა?

შანხაი, 12 ივლისი. პეკინის წყაროებიდან მიღებული ცნობების მიხედვით, ჩრდილოეთის ჯარებმა არა თუ ჩააქრეს აჯანყებები კიაო-ჩაოსა და ცინდაოში, არამედ რამოდენიმეჯერ დაამარცხეს კიდეც ნანკინის არმია. ტოხოს სააგ. იუწყება, რომ თითქოს 9 ივლისს შანდუნის ჯარებმა დაიწყეს შეტევა ნანკინის არმიაზე და უკან დაიბრუნეს სუ-ჩჟოუ. ჩინური პრესა უსაყვედურებს იაპონიას, რომ ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა შანდუნის ამბებში ჩრდილოელების მხარეზე. (ადს).

ფინ-იუი-სიანმა გადალახა ყვითელი მდინარე

შანხაი, 12 ივლისი. ინგლისის პრესა იუწყება, რომ ფინ - იუი - სინმა გადალახა ყვითელი მდინარე ლოიანთან და კაიფინთან. გაზეთების სიტყვით ფინ - იუი - სიანის ჯარები მიიწევენ ტაო-ჩინის რკინის გზის მიმართულებით. (ადს).

კონსერვატორი ბუტბი საბჭოთა კავშირის შესახებ

ლონდონი, 12 ივლისი. თემთა პალატაში წარმოებულ კამათის დროს კონსერვატორი ბუტბი (ერთი იმ 4 კონსერვატორთაგანი, რომელნიც იყვნენ ერთი წლის უკან მოსკოვში) შეეხო ინგლის - საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას. ბუტბიმ აღნიშნა, რომ რაკი ინგლისსა და საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილია, ცხადია ცუდი მდგომარეობაა შექმნილი ჟენევაში წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ ბუტბიმ სთქვა, რომ ყოველგვარი გეგმების შედგენა განიარაღების შესახებ — უსარგებლო საქმეა, რადგან ამ გეგმების შედგენაში მონაწილეობას არ ღებულობს საბჭოთა კავშირი, რომელსაც ერთ-ერთი ძლიერი არმია ჰყავს მთელ მსოფლიოში.

ბუტბის სიტყვით საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ არის იმის ნიშნები, რომ ჩვენი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან თან და თან უმჯობესდება და ეს იმიტომ, რომ „საბჭოების საკითხმა“ დაჰკარგა თავის სიმწვავე კონსერვატორებსა და მუშათა პარტიის შორის გამართულ კამათში.

ბუტბი აკრიტიკებდა იმათ, ვინც ცდილობს, რომ საჭიროა ეკონომიური ან სამხედრო ზეგავლენით შესცვალოს მდგომარეობა საბჭოთა კავშირში, მისი აზრით ამ გზით საბჭოების დამხობა შეუძლებელია. ამიტომ უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ საბჭოთა კავშირი თანდათან წინ მიდის და ვაჭრობაც ამის თანაბრად გაიზრდება.

ბუტბი მოითხოვდა, რომ ინგლისის მთავრობა გამოვიდეს გარკვეული პასუხით და წამოაყენოს ის პირობები, რომლებზედაც შეიძლება ინგლისსა და საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობის აღდგენა. ბუტბი მოუწოდებდა მუშათა პარტიას, რომ მან მხარი დაუჭირა მთავრობისათვის ამ საკითხში.

ინგლისის პიონერები მოსკოვში

მოსკოვი, 12 ივლისი. ინგლისის პიონერთა დელეგაცია უკანასკნელ კვირას ატარებს მოსკოვში.

პიონერებმა ინახულეს ამხ. **რიკოვი,** რომლის ნახვამაც ბავშვებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. პიონერების სიტყვითვე, ისინი არ მოელოდნენ, თუ ამხ. რიკოვი, ეს დიდი კაცი, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი, თავს გაუყადრებდა და ასეთი თბილი გრძნობით და სიყვარულით მიიღებდა მათ. (ადს).

მიწისძვრა პალესტინაში

ლონდონი, 11 ივლისი. იერუსალიმში, იერიქონში, ქალბუსში და პალესტინის სხვა ადგილებში მოხდა მიწის-ძვრა, რომელმაც ზოგიერთ ადგილს დიდი ზიანი მიაყენა.

იერუსალიმში ბევრია მოკლული და დაჭრილი. (ადს).

საბჭოთა კავშირში

არკოსის თანამშრომელთა ჯგუფის დაბრუნება

ლენინგრადი, 12 ივლისი. 10 ივლისს ლონდონიდან ჩამოვიდა არკოსის თანამშრომელთა ჯგუფი. მათი სიტყვების თანახმად, ბევრმა ინგლისურმა ფირმამ გერმანიაში შექმნა სპეციალური საზოგადოება იმ მიზნით, რომ განაგრძონ სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან (ადს).

რკინის გზის ხიდი ვოლგაზე

კოსტრომა, 12 ივლისი. დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა ვოლგაზე რკინის გზის ხიდის ასაგებად. ხიდის აგება დაჯდება 8 მილ. მან. (ადს).

მასწავლებელთა ხელფასის პერიოდული გადიდება

მოსკოვი, 12 ივლისი. საკავშირო ცაკმა მოიწონა საკავშირო სახკომსაბჭოს პროექტი მასწავლებელთა ხელფასის პირადულათ გადიდების შესახებ. გადიდება დაიწყება მომავალ სამოსწავლო წლიდან. გადიდების რაოდენობა წლიურად უდრის 60 მანეთიდან-150 მანეთს. (ადს).

ბატონობისაგან განთავისუფლების 7 წლის თავი

მინსკი, 12 ივლისი. მთელმა ბელორუსიამ ზეიმით გადაიხადა თეთრპოლონელებისაგან განთავისუფლების 7 წლისთავი. დღესასწაული შეხვდა თავდაცვის კვირეულის დასაწყისს, რასაც ზეიმს განსაკუთრებული ელფერი მისცა. მინსკის და ბელორუსიის სხვა ქალაქების მშრომელებმა დემონსტრაციების დროს გამოაშკარავეს, რომ ისინი მზად არიან დაიცვან ამ შვიდი წლის განმავლობაში მშვიდობიანი შრომით მოპოვებული მიღწევები. (ადს).

„ოსინსტროის“ საფუძვლის ჩაყრა.

მინსკი, 12 ივლისი. „ოსინსტროის“ საფუძვლის საზეიმო ჩაყრის გამო, ბელორუსიის მთავრობამ, ს. მ. უ. ს. და ელსადგურის მშენებელმა პერსონალმა მიიღეს ბევრი მისასალმებელი დეპეშები: ა. კ. ს. ფ. ს. რ. ცაკიდან, უკრაინის ცაკიდან, ს. ს. რ. კ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსაგან, ელექტრონის მთავარ სამმართველოდან და სხ. (ადს).

დრუჟელოვსკის საქმე

11 ივლისის დილის სხდომა

ბრალმდებელის სიტყვა

მოსკოვი, 12 ივლისი. 11 ივლისის სხდომაზე უზენაესი სასამართლოს ბრალმდებელის უფროსმა თანაშემწემ ამხ. **კატანიანმა** თავისი სიტყვის დასაწყისში აღნიშნა, რომ დრუჟელოვსკის მიერ მოცემული დახასიათება მთელი რუსეთის ემიგრაციის, რომელიც მზადაა ყოველ წუთს დაამზადოს როგორც ყალბი საბუთები, ისე ყალბი ფული, რამდენიმეთ სუსტია. არ მომხდარა არც ერთი ბინძური საქმე ევროპაში, აზიაში და დედამიწის სხვა მხარეში, რომელშიაც არ მიეღოს მონაწილეობა რუს ემიგრანტებს. „რუსეთის ემიგრაცია,—სთქვა ბრალმდებელმა,—ყოველთვის სდგას პირველ რიგებში იქ, სადაც უნდა იქნეს ჩადენილი სიმხეცე და ძალადობა მშრომელ მასების მიმართ. „ჩაგვიჩხრიალე ხელში ფული“—აი ემიგრანტების ლოზუნგი და ფულის გულისათვის ყიდიან ცოლებს, სამშობლოს და თავსაც. აქ ორი ბანაკია, ორი სხვადასხვა ქვეყანა. ერთი ქვეყანა ის არის, სადაც სწარმოებს უკეთესი მერმისისათვის ენერგიული მშენებლობა, სადაც ვითარდება მეცნიერება, ხელოვნება და ფილოსოფია, მეორე ქვეყანაში კი გაისმის დედის გინება, ბინძური და საეჭვო საშუალებით შოულობენ ფულს და საფეხურიდან საფეხურამდე სულ უფრო და უფრო ექანებიან ძირს. ამ მეორე ქვეყნის ადამიანი იყო დრუჟელოვსკიც. მე ვფიქრობ, რომ დრუჟელოვსკიმ თავისი კონტრრევოლიუციონური მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ ფინეთის საზღვრის გადასვლამდე. ის ფაქტი, რომ დრუჟელოვსკი პატივისცემით იქნა მიღებული თეთრ ფინეთში და შემდეგ დიდი თანამდებობა ეჭირა იუდენიჩის არმიაში, ამტკიცებს, რომ დრუჟელოვსკის ქონდა წარსული, რომელმაც სათანადო ავტორიტეტი მოუპოვა მას თეთრგვარდიელთა რიგებში. ზოგიერთი საბუთები იძლევიან საბაბს ვიფიქროთ, რომ დრუჟელოვსკი ჯერ კიდევ 1918 წელს ღებულობდა მონაწილეობას კონტრრევოლიუციონურ მოძრაობაში და აქტიური მონაწილე იყო ლოკკარტის შეთქმულების“.

შემდეგ ბრალმდებელი დაწვრილებით არკვევს დრუჟელოვსკის მოღვაწეობას რეველში, რიგაში, ვარშავაში და დანციგში და დამტკიცებულად მიაჩნია ის გარემოება, რომ დრუჟელოვსკი დაწყებული რეველიდან და გათავებული ბერლინით, აწარმოებდა აქტიურ შპიონაჟს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მოითხოვს მის დასჯას უმაღლესი სასჯელით. შემდეგ ბრალმდებელი გადადის დრუჟელოვსკის მოღვაწეობის მეორე მხარის გაშუქებაზე, სახელდობრ ყალბი საბუთების დამზადების საქმეზე და ამტკიცებს, რომ ყალბი საბუთები მიზნათ ისახავდენ ყოველთვის საზოგადოებრივი აზრის ამხედრებას მუშების და გლეხების წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის და ამ თუ იმ ქვეყნის შორის მშვიდობიანი ურთიერთობის ჩაშლას. როდესაც დადგებოდა საკითხი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ, ან მასთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, მაშინვე გაჩნდებოდენ ყალბი საბუთები, რომლის საშუალებით ცდილობდენ,—და ეს ცდა ხშირად მიზანსაც აღწევდა,—ხელი შეეშალათ აღნიშნულ საკითხების მოგვარებისათვის. ბრალმდებელი არ ჩერდება დრუჟელოვსკის მიერ, დამზადებულ ყველა, ყალბ საბუთებზე, ვინაიდან სასამართლოს ძიებამ სათანადოთ გამოამჟღავნა მათი მნიშვნელობა ანტისაბჭოთა პროპაგანდის საქმისათვის. ყალბი საბუთები გამომდინარეობდენ იმავე წყაროებიდან, სადაც ეწყობოდა ორგანიზაციები, შეთქმულებანი და ტერორი, მიმართული როგორც სხვადასხვა ქვეყნის მშრომელთა წინააღმდეგ, ისე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც. ამ აქტებში, მონაწილეობას იღებენ ყველა უცხო სახელმწიფოთა „ოხრანკები“, ინგლისის „ოხრანკის“ ხელმძღვანელობით. „მე ვფიქრობ —სთქვა ბრალმდებელმა—რომ დამტკიცებულია აგრეთვე ბრალდებაც სახელმწიფოებრივ ხასიათის დანაშაულებათა კანონის მეხუთე მუხლის თანახმად და მოვითხოვ რომ კანონის ამ მუხლის მიხედვით დრუჟელოვსკის მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი“.

ბრალდებულის უკანასკნელი სიტყვა

თავის უკანასკნელ სიტყვაში, დრუჟელოვსკი მოკლედ იმეორებს თავის დანაშაულების ისტორიას და ავსებს იმ ისტორიას ზოგიერთი წვრილმანით, რაც არ აღუნიშნავს სასამართლოს ძიების დროს. უფრო დაწვრილებით დრუჟელოვსკი აშუქებს თავის დაპატიმრებას ბერლინში „დანციგის კორიდორში“ მომხდარ მატარებლის დამსხვრევასთან დაკავშირებით ყალბი საბუთების მომზადებისათვის. ვინაიდან ამ საქმისათვის მას მოელოდა 15 წლის ციხე დრუჟელოვსკიმ შეადგინა ახალი ყალბი საბუთის გეგმა, სადაც თავის თავი გამოიყვანა საბჭოთა აგენტად. როდესაც 1923 წლის ივნისში დრუჟელოვსკი გაანთავისუფლეს მან მიიღო მოწერილობა დაეტოვებია პრუსიის ფარგლები 48 საათის განმავლობაში. ის მაშინ ყალბი პასპორტით მიემგზავრება ესტონეთში, მაგრამ აქ მას აპატიმრებენ და მის წინაშე დაისვა დილემა: ან უნდა გადასულიყო საბჭოთა კავშირში, ან და შერიგებოდა თავის გაძევებას ესტონეთიდან. დრუჟელოვსკიმ მიმართა შეკითხვით საბჭოთა საკონსულოს ესტონეთში, შეუძლია თუ არა მას საბჭოთა კავშირის საზღვარზე გადასვლა? საკონსულოში უპასუხეს, რომ საზღვარზე გადასვლა შეუძლია, მხოლოდ საბჭოთა კავშირში უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე.

მაშინ დრუჟელოვსკი არალეგალურად გადავიდა საბჭოთა საზღვარზე და გამოცხადდა საკომენდატოში, საიდანაც ის გაიგზავნა მოსკოვში გაერთიანებულ მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს განკარგულებაში.

დრუჟელოვსკი ირწმუნება, რომ ის ყველაფერს ლაპარაკობს, რაც იცის.

თავის სიტყვას ათავებს ის სასამართლოსადმი მიმართვით:

„დამსაჯეთ მე, ვინაიდან დამნაშავე ვარ, მაგრამ სასამართლოს ვსთხოვ სასჯელის შემსუბუქებას“. (ადს).

განაჩენი

მოსკოვი, 12 ივლისი. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ, რომელიც 6 საათი გაგრძელდა, დილის 3 საათზე 12 ივლისს საბჭოთა კავშირის უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი დრუჟელოვსკის საქმეზე.

დრუჟელოვსკი ცნობილ იქნა დამნაშავედ იმ ბოროტმოქმედებათა ჩადენაში, რომელთაც ითვალისწინებს სახელმწიფო დანაშაულობათა შესახებ არსებული დებულების 5 და 6 მუხ.

უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა და დრუჟელოვსკის მიუსაჯა დახვრეტა. ყველა მისი კუთვნილი ქონების კონფისკაციით.

განაჩენი საბოლოვოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის კონსერვატორები და საბჭოთა კავშირი

(საუბარი ვილიამ ბრაუნთან)

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ვილიამ ბრაუნმა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ განაცხადა შემდეგი:

ყოველ ცოტად თუ ბევრად შეგნებულ ადამიანისათვის აშკარაა, რომ ურთიერთობის გაწყვეტა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის არ იყო შემთხვევითი მოვლენა. როდესაც შარშან ჩემბერლენმა განუცხადა, საბჭოთა მთავრობას, რომ ჩვენ თქვენთან არ გვსურს კამათი და მიწერ-მოწერა, რომ თუ თქვენ განაგრძობთ ინგლისის საწინააღმდეგო პოლიტიკას, ჩვენ თქვენთან გავწყვეტთ ყოველგვარ ურთიერთობასო, — ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას უკვე მაშინვე ჰქონდა გადაწყვეტილი ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან. იგი მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს უცდიდა.

კანონპროექტი პროფკავშირების შესახებ, საფრანგეთის პრეზიდენტის დუმერგის მოგზაურობა ინგლისში, ჩერჩილის შეხვედრა მუსოლინთან და ბოლოს კანონ-პროექტი ლორდთა პალატის რეფორმის შესახებ — ყველაფერი ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა, არამედ რგოლებია ერთ და იმავე ჯაჭვის, რომლის მიზანია თავდასხმა მუშათა კლასზე, როგორც ინგლისის შიგნით, ისე სხვა სახელმწიფოებში.

ინგლისის არც ერთ მოქალაქეს თვით კონსერვატორების წრეებიდანაც კი არ შეუძლია სერიოზულად ჩასთვალოს ინგლისის მთავრობის მტკიცება, თითქოს „არკოსზე" მომხდარ თავდასხმის დროს აღმოჩენილი დოკუმენტები შეიქნა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის მიზეზი. ჯერ კიდევ შარშან, საყოველთაო გაფიცვის დამარცხების შემდეგ, უმცირესობის მოძრაობის ბელადები და მათთან ერთად მეც მივუთითებდით ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს ბელადებს იმაზე, რომ ეხლა ორი შესაძლებლობაა მოსალოდნელი: პროფკავშირების საწინააღმდეგო კანონის შემოღება და პირდაპირი თუ არა პირდაპირი თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. გენერალურ საბჭოს ბელადებს არ შეეძლოთ არ სცოდნოდათ ეს და თუ პროფკავშირების საწინააღმდეგო კანონი მიღებული იქნა და დაიწყო ომი (პირდაპირი კი არა, არამედ არაპირდაპირი, რადგან ინგლისი თვითონ არ იომებს, იგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აამხედრებს პოლონეთს, რუმინეთს და სხვა წვრილ კაპიტალისტურ ფინეებს), ამაში ჩემბერლენზე უფრო დამნაშავე არიან მაკდონალდები და ტომასები.

ჩემი აზრი ასეთია: მიუხედავათ ინგლისის დამარცხებისა ინგლისის მთავრობა მაინც ვერ გაბედავს აშკარად დაესხას თავს საბჭოთა კავშირს, მაგრამ იგი მიიღებს ყველა შესაძლებელ ზომებს, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აამხედროს რომელიმე მეზობელი სახელმწიფო. ჩემბერლენი სცდილობს შექმნას მთლიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღდეგ და ამ საქმეში სურს ჩაბას გერმანია. სწორედ აქეთკენაა დღეს მიმართული ინგლისის ღონისძიებები, რადგან ინგლისის მთავრობამ იცის, რომ გერმანიის გარეშე მთლიანი ანტი საბჭოთა ფრონტის შექმნა შეუძლებელია. მაგრამ აშკარაა ისიც, რომ გერმანია არ წამოეგება ჩემბერლენის ანკესზე.

ოსმალეთის წარმომადგენელი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ოსმალეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საკოლონიზაციო სამმართველოს დირექტორი ბ. მარუფ-ბეი.

მისი ჩამოსვლა დაკავშირებულია ყარსის და მოსკოვის ოქმების იმ მუხლების განხორციელებასთან, რომლებიც ეხება ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულ ხელშეკრულებებით საბჭოთა კავშირისა და ოსმალეთისათვის ურთიერთ შეთანხმებით დათმობილი ტერიტორიების მცხოვრებთა ქვეშევრდომობის გამოცვლას.

ბ. მარუფ-ბეი უკვე იყო ბათომში, ერევანში და ლენინაკანში. იქ წარმოებულ აღმშენებლობასაგან მიღებულ შთაბეჭდილების შესახებ მარუფ ბეიმ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— მე განცვიფრებაში მომიყვანა იმ ფართო აღმშენებლობითმა მუშაობამ, რომელიც საქართველოში და სომხეთში სწარმოებს. მე დავათვალიერე ზაჰესი და აჭარის-წყალის ჰიდროსადგურები, რომლებმაც ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს. აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებს ოსმალეთშიაც, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ თქვენგან. ჩვენს მუშაობას საგრძნობლად აფერხებს კვალიფიციური მუშაკების ნაკლებობა.

ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა იმ მზრუნველობამ, რომელსაც იჩენს საბჭოთა სომხეთის მთავრობა თურქ მოსახლეობისადმი. ამ უკანასკნელისათვის გახსნილია სპეციალური სკოლები, სადაც მეცადინეობა მშობლიურ ენაზე სწარმოებს; ამას გარდა სომხეთის მთავრობა ყოველის მხრივ ხელს უწყობს თურქი მოსახლეობის კულტურულ აღორძინება-განვითარებას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის და ოსმალეთის ურთიერთობას, უნდა ითქვას, რომ მეგობრული კავშირი ამ ორ სახელმწიფოს შორის, თანდათან მტკიცდება. მკვიდრ ნიადაგზე სდგას აგრეთვე ეკონომიური ურთიერთობა. ვაჭრობა თანდათან ფართოვდება.

თბილისში მე მეორეთ ვარ. თბილისი ჩემზე ახდენს კეთილმოწყობილ ევროპიული ქალაქის შთაბეჭდილებას. თბილისში ჩამოსულს არ შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს იმ აღმშენებლობას, რომელიც აქ სწარმოებს.

მე არ შემიძლია ჩემი ულრმესი მადლობა და სიხარული არ გამოვსთქვა იმ მეგობრული შეხვედრისათვის, რომელიც ჩვენ გაგვიწია საქართველოს მთავრობამ, როდესაც მე თბილისში ჩამოვყევი ოსმალეთის ელჩს მოსკოვში ზექია-ბეის. ასეთი გულწრფელი შეხვედრა დამამტკიცებელია იმისა, თუ რამდენ მტკიცეა მეგობრული კავშირი ოსმალეთსა და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის.

უცხოელთა დელეგაციები

ამერიკელი სტუდენტების მეორე ჯგუფი მოსკოვში

მოსკოვი, 12 ივლისი. 9 ივლისს მოსკოვში ჩამოვიდა 25 კაცისაგან შემდგარი ამერიკელი სტუდენტების მეორე ჯგუფი.

პროლეტარული სტუდენტების ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარე ამხ. ეიდემანი მიესალმა დელეგაციას საბჭოთა კავშირის 350.000 სტუდენტის სახელით და გამოსთქვა იმედი, რომ დელეგაციის ყოფნა საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის და ამერიკის მოწინავეთა მჭიდრო კავშირს კაპიტალის შეტევასთან საბრძოლველათ.

თავის საპასუხო სიტყვაში ამერიკელი სტუდენტების მეთაურმა ლიფშიცმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში ჩამოსული დელეგაციის ყველა წევრი გამოსულია პროლეტარული წრიდან. ამერიკის სტუდენტობის მემარცხენე ფრთა, დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა კავშირის მშენებლობისადმი და იბრძვის კაპიტალის წინააღმდეგ თავის ქვეყანაში, კერძოდ იბრძვის უნივერსიტეტში შემოღებული სავალდებულო სამხედრო სწავლების წინააღმდეგ. დელეგაცია ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ვითარების გასაცნობად და სახლში დაბრუნებისას მიიღებს ზომებს ამერიკის საზოგადოებრივ აზრში საბჭოთა კავშირის შესახებ მართალი წარმოდგენის დასამკვიდრებლათ. დელეგაციის წევრმა გილდმა, რომელიც გამოვიდა 10.000 ზანგი სტუდენტის სახელით, განაცხადა, რომ ზანგ სტუდენტების სიმპატიები და გრძნობები საბჭოთა კავშირის მხარეზეა.

ამ დღეებში ამერიკელი სტუდენტობის ორივე დელეგაცია დანაწილდება ჯგუფებათ და გაემგზავრება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონში (ადს).

ამერიკელი სტუდენტების მესამე ჯგუფი ლენინგრადში

ლენინგრადი, 12 ივლისი. 11 ივლისს გერმანიიდან ჩამოვიდა ამერიკელი პროფესორების და სტუდენტ-ექსკურსანტების მესამე ჯგუფი (ადს).

ლატვიის მასწავლებელთა დელეგაცია

ლენინგრადი, 12 ივლისი. რიგიდან ჩამოვიდა ლატვიის მასწავლებელთა დელეგაცია, რომლის მიზანია გაიცნოს პროფმუშაობა და საბჭოთა სკოლების აღზრდა-განვითარების მეთოდები (ადს).

ბათომის ნავთის გადასამუშავებელ ქარხნის მოწყობა

ბაქო, 12 ივლისი. ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ გაცემული ლიცენზიები უცხოეთში იმ მოწყობილობის შესაძენად, რომელიც საჭიროა ბათომის ნავთის გადასამუშავებელ ქარხნისთვის, სავსებით გამოყენებულია.

ბაქო-ბათომის ნავთსადენის მშენებლობის მთავარი ინჟინერი ბულგაკოვი, რომელიც გაგზავნილია უცხოეთში მოწყობილობის დასაკვეთად, იუწყება, რომ ბათომის ნავთის გადასამუშავებელ ქარხნისთვის გაწმენდილი ნავთის ბატარეის მოწყობაზე დაკვეთა აიღო მსხვილმა გერმანულმა მექანიკურმა ქარხანამ ბრესლავლში. 5 თვის შემდეგ გაწმენდილი ნავთის ბატარეის მთელი მოწყობილობა მოტანილი იქნება ბათომში.

ამ ჟამად ამხ. ბულგაკოვი უცხოეთის მთელ რიგ ფირმებთან აწარმოებს მოლაპარაკებას დაკვეთების გაცემის შესახებ ნავთსადენის ზეთის ბატარეისა და სხვადასხვა ნაწილების მოწყობაზე, რომელთა დამზადება მხოლოდ უცხოეთშია შესაძლებელი.

ბათომის ქარხნის დაგეგმვასთან დაკავშირებული ყველა სამუშაოები დამთავრებულია და სადაო საკითხები მოგვარებული. „აზნავთმა" უკვე ჩაიბარა იმ ნაკვეთების მეტი ნაწილი, რომლებიც ნავთის გადასამუშავებელ ქარხანას გადაეცა, ბათომის ნავთის გადასამუშავებელ ქარხნის ამუშავება განზრახულია 1928 წ. 1 ოქტომბერს (ადს).

ვილიამ ჯონ ბრაუნი

გამასწორებელ სახლის და სახალხო განათლების შესახებ

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირში

გუშინ დილით ინგლისის სახელმწიფო მოსამსახურეების პროფკავშირის გენერალური მდივანი ვილიამ ბრაუნი ამერიკელ ჟურნალისტის, ამერიკის კომპარტიის წევრის ამხ. მორის ხოლდმანის თანხლებით ესტუმრა საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობას, სადაც მას საუბარი ჰქონდა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ათოევთან.

საუბრის დროს ბრაუნს აინტერესებდა, თუ რამდენ წევრს აერთიანებს კავშირი, როგორია კავშირის წევრების ხელფასი, როგორი მუშაობა სწარმოებს კულტურულ და სატარიფო-ეკონომიურ დარგში და სხვა. ყველა ამ კითხვებზე მას ამომწურავი მასალები მიაწოდოეს.

განათლების კომისარიატში

საბჭოთა მუშაკების კავშირიდან ბრაუნი გაემგზავრა განათლების სახალხო კომისარიატში, სადაც მას საუბარი ჰქონდა განათლების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. მარიამ ორახელაშვილთან. ამხ. ორახელაშვილმა ბრაუნს მიაწოდა ცნობები დაბალი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების შესახებ საბავშო სახლების და ბაღების მუშაობაზე და სხვა.

გამასწორებელ სახლში

განათლების კომისარიატიდან ბრაუნი გაემგზავრა გამასწორებელ სახლში, სადაც დაათვალიერა სახელოსნოები, საავადმყოფო, პატიმარათ კოლონია, კამერები, კლუბი, ბიბლიოთეკა და თეატრი. გამასწორებელი სახლის დათვალიერებამ ბრაუნზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ბრაუნმა საპატიო სტუმრების წიგნში ჩასწერა შემდეგი:

„არა მარტო ინგლისის უმუშევრები, რომლებსაც არავითარი ბოროტმოქმედება არ ჩაუდენიათ, არამედ სამუშაოზე მყოფი მუშებიც კი სიამოვნებით გაცვლიდენ თავის მდგომარეობას ადგილობრივ გამასწორებელ სახლში მყოფ პატიმრების მდგომარეობაზე. ინგლისში, რომ ასეთი ციხეები იყოს, მუშები მოხარული იქნებოდნენ მოხვედროდენ მათში, მაგრამ მათთვის სასიამოვნო არ იქნებოდა იქიდან გამოსვლა. ინგლისის მუშათა სახლების მცხოვრებლებს*) ოცნებაც კი არ შეუძლიათ ცხოვრების ისეთ პირობებზე, როგორიც თქვენს გამასწორებელ სახლშია. თქვენი „ციხე" მარტო იმით კი არ განსხვავდება, ინგლისის ციხეებისაგან, რომ აქ პატიმრებს აქვთ საჭმელი, ბინა და ტანისამოსი; არამედ უმთავრესად იმით, რომ აქ პატიმრებს ასწავლიან ხელობას, წერა-კითხვას და პოლიტიკურად ზრდიან მათ. ასეთ დაწესებულებას არ შეიძლება უწოდოთ ციხე. ის არის მხოლოდ ხელ-ახლა აღზრდის სახლი".

ვილიამ ბრაუნი თავისი შთაბეჭდილების შესახებ

ციხიდან დაბრუნების შემდეგ ბრაუნმა ჩვენს თანამშრომელს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები.

უპირველესყოვლისა მე განცვიფრებაში მომიყვანა განათლების სისტემამ, რომელიც საქართველოშია შემოღებული. თუ საქართველო ასეთი ნაბიჯით წავიდა წინ, 10-15 წლის შემდეგ იგი განათლების მხრივ წინ გაუსწრებს ევროპის ყველა ქვეყნებს. განსაკუთრებით გამაკვირვა მე იმ გარემოებამ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთელი ბიუჯეტის 46 პროცენტი იხარჯება სახალხო განათლების საქმეზე, ეს იმ დროს, როდესაც ინგლისი თავისი ბიუჯეტის ნახევარს ხარჯავს სამხედრო შეიარაღების საქმეზე. რომ საქართველოში შემოღებული განათლების სისტემა შევადაროთ ინგლისისას, საკმარისია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ ინგლისში იმ პირებიდან, რომლებიც ათავებენ დაბალ სასწავლებლებს, მხოლოდ 10 პროცენტს შეუძლია შესვლა საშუალო სასწავლებლებში. ამ უკანასკნელების კურსდამთავრებულებიდან კი უმაღლეს სასწავლებლებში იღებენ მხოლოდ ერთ პროცენტს. საქართველოში ამ მხრივ სულ სხვა მდგომარეობაა. უმაღლესი სასწავლებლების კარები აქ ყველასათვის ღიაა ვინც კი მოისურვებს უმაღლესი ცოდნის მიღებას.

დასასრულ მე არ შემიძლია ხაზი არ გაუსვა იმ ძლიერ შთაბეჭდილებას, რომელიც ჩემზე მოახდინა თქვენმა გამასწორებელმა სახლმა. ინგლისში არის ასეთი ანდაზა: თუ ერთხელ მოხვდი ციხეში, მუდამ ციხეში იქნები. ამაში ის აზრია გატარებული, რომ ინგლისის ციხე კი არ ასწორებს ბოროტმოქმედს, არამედ კიდევ უფრო რყვნის მას. მართლაც ინგლისის ციხე ადამიანებისადმი უსასტიკესი მოპყრობის დაწესებულებაა.

ამ მხრივ თქვენს გამასწორებელ სახლს არავითარი საერთო არა აქვს ინგლისის ციხეებთან. აქ ბოროტმოქმედს ასწორებენ, ზრდიან და ამზადებენ საზოგადოებრივი მუშაობისათვის.

---

*) ინგლისის მუშათა სახლები წარმოადგენს ღამის გასათევ სახლს უმუშევრებისათვის: უმუშევრები, რომლებიც ღამეს გაათევენ ამ სახლში და საუზმეს მიიღებენ, ვალდებული არიან სამი საათი უფასოდ იმუშაონ სახლის ადმინისტრაციის მითითებით. მუშაობა სწარმოებს დილით, როდესაც უმუშევრებმა სამუშაო უნდა ეძიონ.

ბრაუნი საქართველოს მშრომელთ



To the workers and peasants of Georgia I give my warmest fraternal greetings. I have seen many things in Russia which have filled me with admiration for the great work which the Workers Government in Russia is doing, but nothing has excited more admiration in me than what I have seen here in Georgia. If the desire of western European Governments to make war on Russia can be frustrated I believe that in a few years the position of the workers and peasants of Russia will be the admiration of the workers throughout the world. It must be the supreme task of the representatives of the British working class to prevent such a war and any British Labour leader who fails in his task in this respect is a traitor to the working class movement in Britain and throughout the world.

W J Brown

July 1927

საქართველოს მუშებს და გლეხებს ვუძღვნი ჩემს მხურვალე გულწრფელ სალამს. მე რუსეთში ბევრი რამ ვნახე ისეთი, რამაც უდიდესი აღფრთოვანებით აღმავსო იმ დიდი მუშაობისადმი, რომელსაც აწარმოებს რუსეთის მუშათა მთავრობა, მაგრამ საქართველოში ნახულმა კიდევ უფრო გააძლიერა ჩემში ეს აღფრთოვანება. თუ ევროპის ეხლანდელ სახელმწიფოების სურვილი—გამოიწვიონ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დამარცხდა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ათი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების მდგომარეობა აღტაცებას გამოიწვევს მთელი მსოფლიოს მუშებს შორის. ინგლისის მუშათა კლასის წარმომადგენლების უდიდესი ამოცანა იქნება ომის თავიდან აცილება და ბრიტანეთის მუშების ყოველი ბელადი, რომელიც არ შეასრულებს ამ ამოცანას, გახდება ბრიტანეთის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის მოღალატე.

ვილიამ ჯონ ბრაუნი.

ბრაუნი საბჭოთა მუშაკების კრებაზე

საღამოს **ვილიამ ბრაუნი** დაესწრო საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა ადგილკომების და პროფაქტივის საზეიმო კრებას.

სხდომა გახსნა ამხ. **ათოევმა,** რომელმაც თავის სიტყვაში განაცხადა:

ამხ. ათოევის სიტყვა

— ამხანაგებო, ჩვენ შემთხვევა გვაქვს თბილისში შევხვდეთ ინგლისის სახელმწიფო მოსამსახურეების პროფკავშირის გენერალურ მდივანს ამხ. ბრაუნს და ამერიკის კომპარტიის წევრს, ჟურნალისტს ამხ. ხოლდმანს (ტაში და „ინტერნაციონალი").

ამხ. ბრაუნის ჩამოსვლას, იმ დროს, როდესაც ინგლისის ბურჟუაზია იერიშებს ამზადებს ჩვენს წინააღმდეგ, აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა, მით უმეტეს, რომ ბურჟუაზიული პრესა ავრცელებს ხმებს, თითქოს ჩვენში, განსაკუთრებით საქართველოში რაღაც საშინელება ხდებოდეს, თითქოს ჩვენ აშენების მაგივრად ვანგრევთ ყველაფერს. ბრაუნი ორი დღეა რაც თბილისშია და რასაც აქ გაეცნო ყველაფერს გადასცემს ინგლისის მუშებს, ბრაუნი არ არის კომუნისტი; მაგრამ ის საბჭოთა ხელისუფლების მომხრეა. მან უნდა გააცნოს ინგლისის მუშათა კლასს რა კეთდება საბჭოთა კავშირში.

ინგლისის ბურჟუაზია არ კმაყოფილდება მარტო იმით, რომ ჩვენს წინააღმდეგ ილაშქრებს; იგი აქეზებს ევროპის ყველა ნაძირალებს, თეთრგვარდიელებს და ანტი-კომუნისტურ ელემენტებს. მან იცის, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს კომუნიზმი კაპიტალისტებისა და მუშათა კლასის მტრებისათვის.

ჩვენ უნდა შევქმნათ ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ერთიანი ფრონტი ბურჟუაზიის თავდასხმის მოსაგერიებლად. ვესალმებით რა ინგლისის პროლეტარიატს ბრაუნის სახით, ვისურვოთ, რომ ინგლისის მუშათა კლასი ამ ისტორიულ ხანაში ყოფილიყოს თავის სიმაღლეზე და შეგვექმნას ერთიანი ფრონტი კაპიტალის დასამხობათ.

გაუმარჯოს ერთიან ფრონტს!

გაუმარჯოს ინგლისის პროლეტარიატს!

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. **კ. იბრაილიძე, ჩერნიაევი, ნარსია, ზაპუტაევსკაია; გალუსტოვი** და **იორდანიძე.**

ამხ. ბრაუნის სიტყვა

— ამხანაგებო, მე არა ვარ კომუნისტი არა იმიტომ, რომ მე არ ვარ კომუნისტური ხელისუფლების მომხრე, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ არ ვართ ორგანიზაციულად დაკავშირებული კომპარტიასთან; მიუხედავად ამისა, მე მთელი ჩემი არსებით ვემხრობი კომუნისტურ პარტიას და მზად ვარ ვიყო მის რიგებში.

ჩემი ჩამოსვლის მიზანია გავეცნო თქვენს ცხოვრებას, თქვენს აღმშენებლობითი მუშაობას და დავრწმუნდე, თუ რამდენად მართალია ის პროვოკაციული ხმები, რომელსაც ავრცელებს ბურჟუაზიული პრესა.

თუ ის, რაც მე აქ ვნახე არის ნგრევა და საშინელება, რომელზედაც სწერენ ბურჟუაზიული გაზეთები, მაშინ მე დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისის თვითეული მუშა ინატრებდა თქვენს მდგომარეობაში ყოფნას. ასეთი ყოფა სრულიად დამაკმაყოფილებელი იქნებოდა ინგლისის მუშისათვის.

ყველა აქ ნახულმა მე ღრმად დამარწმუნა საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეში და თუ არ იქნა ომი, რომელსაც უქადის საერთაშორისო ბურჟუაზია საბჭოთა კავშირს, მაშინ სულ მოკლე ხანში საბჭოთა კავშირის მეურნეობა კიდევ უფრო განვითარდება და თქვენი მუშათა კლასი კიდევ უფრო მეტ შედეგებს მიაღწევს აღმშენებლობის და კულტურის ფრონტზე.

თუ საბჭოთა კავშირის მუშების ხელფასს შევადარებთ ინგლისის მუშების ხელფასთან, დავრწმუნდებით, რომ, მართალია, ინგლისში ხელფასი უფრო მეტია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ; რომ ინგლისის მუშებს არა აქვთ არც საექიმო და არც სანატორიული დახმარება, ამას გარდა ისინი ბინებში იხდიან ჯამაგირის 30 პროცენტს, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის მუშები იხდიან მხოლოდ—3-4 პროცენტს,—გამოვა, რომ თქვენი მუშების მდგომარეობა გაცილებით უკეთესია.

ინგლისს ათეული წლების განმავლობაში შედარებით მშვიდობიან პირობებში უხდებოდა ცხოვრება. მას არ განუცდია ისეთი ნგრევა და კრიზისები, როგორიც განიცადა რუსეთმა. ამიტომ მუშათა მოძრაობა იქ ნელის ტემპით ვითარდებოდა. 1905 წლის გაფიცვებს და აჯანყებებს რუსეთში ინგლისში უყურებდენ, როგორც უმნიშვნელო შეტაკებებს, მაგრამ ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ განვითარდა და გრანდიოზულ ბრძოლად გადაიქცა ეს შეტაკება 1917 წელში.

ინგლისის მუშების საყოველთაო გაფიცვა, რომელსაც შარშან ჰქონდა ადგილი, ისეთივე ნაყოფიერი იქნება და ისეთივე შედეგებს გამოიღებს, როგორიც გამოიღო 1905 წლის გაფიცვებმა რუსეთში.

ინგლისის მუშათა კლასი თანაგიგრძნობთ თქვენ, კიდევაც რომ გამოცხადდეს ომი საბჭოთა კავშირთან, ინგლისის მუშები არ მოისურვებენ ხელში აიღონ იარაღი თავისი მოძმეების წინააღმდეგ საბრძოლველად. მე ვერ დაგპირდებით, რომ ომის დაწყებისთანავე ინგლისის მუშები გაიფიცებიან და იარაღს მიმართავენ კაპიტალისტების წინააღმდეგ, მაგრამ მე დაგპირდებით, რომ გავაცნობ ინგლისის მუშათა კლასს სიმართლეს იმის შესახებ, რაც აქ ვნახე და მოვაგონებ მათ, რომ ყოველთვის მზად იყონ თავისი კლასიური მტრების დასამხობად და მჭიდრო კავშირის დასამყარებლად საბჭოთა კავშირთან.

ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს საერთო ომი ომს. გპირდებით, რომ ინგლისში დაბრუნებისას მე აგიტაციას გავსწევ ომისა და იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირის მუშების მშვიდობიან შრომას. (ტაში).

—:—

ამხ. ბრაუნის შემდეგ მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუცია, რითაც დაიხურა კრება.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის კვირეული

„რა გავაკეთე თავდაცვის სასარგებლოთ?"

თავდაცვის კვირა უკვე დაიწყო. ყველა ჩვენგანმა უნდა დაუსვას თავის თავს საკითხი, თუ ვინ რა გააკეთა ამ თავდაცვის კვირისათვის, რა წვლილი შეიტანა მან საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის განმტკიცების საქმეში; რა ნივთიერი თუ მორალური დახმარება გაუწია მან ჩვენი თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებას? ყველა საბჭოთა მოქალაქეს, რომელსაც კი გულწრფელად სურს ხელი შეუწყოს ჩვენს თავდაცვის განმტკიცებას, უნდა ჰქონდეს საზრუნავ საგნათ ეს საკითხი.

დღევანდელი საერთაშორისო პირობები მეტად მდიდარია ამაფეთქებელ მასალებით. ბურჟუაზიული სახელმწიფოები ვეღარ ეტევიან თავიანთ კანში.

სულ დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ვაშინგტონის კონფერენციამ გამოიტანა თავისი დასკვნა სამხედრო მზადების ზოგიერთ დარგების შემცირების სახელდობრ კი წყალზე მომქმედ სხვადასხვა საომარი ერთეულების შემცირების შესახებ. მაგრამ ყველა ეს დადგენილებები რჩებიან „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა სულ სხვას გვეუბნება. ასეთ კონფერენციებზე ისმის მხოლოდ ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რომელი სახელმწ. სამხედრო მზადების რომელ ნაწილში უფრო უძლურია და მოითხოვს უფრო ძლიერი მოწინააღმდეგის გათანასწორებას. საერთო მზადება კი სულ სხვას გვეუბნება: მაგალითისათვის ინგლისის საზღვაო მზადების პროგრამა ითვალისწინებს თავის წყალზედამცურავი ძალების გადიდებას 54 პროც., წყალქვეშა ნავების—45 პროც. საფრანგეთმა ამავე დროის განმავლობაში უნდა გაადიდოს თავისი წყალსზედა ძალები 300 პროც. და წყალსქვეშა 200 პროც.

ქიმიის დარგშიც ბურჟუაზია აწარმოებს გაფთრებულ მზადებას.

ამერიკა ძლიერია ქიმიურ საბრძოლო საშუალებებით: ევროპის მიზანი იყო შეეკვეცა ამერიკის ქიმიური ძლიერება. ამერიკის სენატმა ამ წინადადებაზე უპასუხა: „ქიმიური საშუალებით ომის წარმოება უფრო ჰუმანიურია, ვინემ სხვა რაიმე გამანადგურებელ საშუალებითო". ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში სამხედრო თამაშების დროს სხვადასხვა ტრესტების და სინდიკატების წარმომადგენლები ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას (ამერიკაში ეს უკვე სავალდებულოა) იმისათვის, რომ მრეწველობამ შესძლოს დაუბრკოლებლივ გადასვლა სამხედრო მასალების მზადებაზე, ყველასათვის აშკარაა, რომ ბურჟუაზია არ ერიდება არავითარ საშუალებას მშრომელი მასების გასანადგურებლად. ქიმიური ომის მზადებაში ამერიკას ჰყავს განსაკუთრებული საზოგადოება, „ეჯვუდის არსენალი"-ს სახით, რომელსაც ჰყავს საუკეთესო ძალები და ეს ძალები 8 წელიწადია უკვე აწარმოებენ მუშაობას სხვადასხვა საწამლავ საშუალებების გამოსაგონებლად. გერმანიაში ამ დარგში დაბანდებულია 30.000 კაცი; მათ სხვა ქვეყნებიც არ ჩამორჩებიან.

საბჭოთა კავშირის კაპიტალისტური გარემოცვის დროს, ჩვენ გაასკეცებული ენერგიით ხელი უნდა შევუწყოთ ერთად ერთი პროლეტარული სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობის ამაღლებას.

ჩვენთვის დღეს დაკვრითი ამოცანას შეადგენს სამხედრო ტეხნიკის გაუმჯობესება, საზოგადოების მომზადება, მისი გასამხედროება, რომ მას შეეძლოს არა მარტო თავისი თავის დაცვა, უკან ზურგში, არამედ მტკიცე და შეგნებული ბრძოლა ფრონტზე წითელ არმიის ნაწილებთან ერთად.

ისეთი საზოგადოება, რომელიც ამ მზადებას უწყობს ხელს, არის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება. ყველა მშრომელის მოვალეობაა დაეკითხოს თავის თავს, რა გააკეთა მან ამ საზოგადოების სასარგებლოდ: გაიღო თუ არა მან რაიმე ნივთიერი დახმარება, ჩაეწერა თუ არა ის ამ საზოგადოების წევრათ, ემზადება თუ არა -ს თავისი თავის და სხვა მშრ. მასების გასამხედროებისათვის, რით აძლიერებს ის პროლეტარულ სახელმწიფოს თავდაცვის საქმეს,—აი, ის მთავარი, საკითხები, რომელნიც დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების წინაშე დგანან.

ვ. სიხარულიძე.

კომკავშირი და თავდაცვა

10 ივლისს საბჭოთა კავშირში დაიწყო თავდაცვის კვირეული, კვირეულის მიზანია, შეაჩეროს მშრომელთა ყურადღება საბჭოთა ქვეყნის დაცვის საქმეზე.

გამწვავებული საერთაშორისო მდგომარეობა გვაიძულებს ჩვენ გამოვიჩინოთ სათანადო სიფრთხილე და მზად ვიყოთ შესაძლებელი თავდასხმის შესახვედრათ. ეს თავდასხმა საბჭოთა კავშირზე მოსალოდნელია ყოველ წუთს ინგლისის იმპერიალისტებისაგან და მათ მოკავშირეებისაგან. ამიტომ სიფრთხილე გვმართებს და სწორედ მიტომ უნდა იქნეს გაათკეცებული მუშაობა საბჭოთა კავშირის თავდაცვითი უნარიანობის განსამტკიცებლათ.

ამ მიზნით ეწყობა თავდაცვის კვირეული, რომელიც საფუძველს უყრის მრავალ კვირეულს და თვეს, რომელშიაც საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასამ უნდა იმუშაოს მოწყობრათ, ენერგიულათ და მტკიცეთ ჩვენი ქვეყნის სამხედრო და სამეურნეო ძლიერების განსავითარებლად.

უდიდესი როლი ამ მუშაობაში ეკუთვნის კომკავშირს, რომელიც წარმოადგენს მშრომელ ახალგაზრდობის ავანგარდს და რომელმაც უნდა მიიღოს თავდაცვის კვირეულის გატარებაში აქტიური მონაწილეობა.

ჩვენმა კომკავშირმა გულდასმით უნდა ადევნოს თვალყური კაპიტალისტური ქვეყნების მზადებას ომისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ქვეყნების ახალგაზრდობის ფაშისტური და ნახევრად ფაშისტური ორგანიზაციების მოქმედებას. ვინაიდან ეს ორგანიზაციები აწარმოებენ გაცხოველებულ სამხედრო სამზადისს, სწავლობენ სამხედრო საქმეს და იარაღის ხმარებას, რომ ეს ცოდნა მოიხმარონ თავისი კლასობრივი მტრების, მშრომელთა მასის, განსაკუთრებით-კი საბჭოთა კავშირის და მისი მშრომელი ახალგაზრდობის წინააღმდეგ.

ამის საპასუხოთ კომკავშირი უნდა შეუდგეს თავის რიგებში და ახალგაზრდობის ფართე მასების რიგებში სამხედრო მოუმზადებლობის ლიკვიდაციას. საჭიროა დაწყებული იქნეს დაუყონებლივ სამხედრო საქმის შესწავლა. უნდა გვახსოვდეს მუდამ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ომის საშიშროებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მიმართვის ლოზუნგი: „თვითეულმა კომკავშირელმა უნდა შეისწავლოს იარაღის ხმარება და სამხედრო წყობა".

საჭიროა დაყენებული იქნეს თავის სიმაღლეზე მსროლელთა წრეების მუშაობა და უნდა იქნეს მოწყობილი ასეთი წრეები იქ, სადაც ჯერ ასეთები არ არსებობენ. უნდა იქნეს გადასინჯული ამ წრეების მუშაობა და მათ გადასახალისებლათ უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები. ამის გარდა უნდა ჩაუნერგოთ ახალგაზრდობას სიყვარული სამხედრო გასართობებისადმი, რაც წარმოადგენს მშვენიერ საშუალებას სამხედრო საქმისათვის მოსამზადებლათ. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენს რკინისგზელთა კლუბებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კომკავშირმა თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების მუშაობის გაცხოველებას. უნდა ითქვას, რომ ჩვენს ტრანსპორტზე კომკავშირთა უჯრედები, კომკავშირელები და მუშათა ახალგაზრდობა საერთოდ, ძლიერ მცირე მონაწილეობას ღებულობენ თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების პრაქტიკულ მუშაობაში. ეს ჩვენი ნაკლია, რომელიც უნდა იქნეს შევსებული აუცილებლათ. კომკავშირის უჯრედების მუშაობის დღის წესრიგში უნდა დაისვას საკითხი ახალგაზრდობის ჩასაბმელათ სამხედრო-საჰაერო ესკადრილიის აშენების საქმეში.

იმპერიალისტების ზრახვებზე და მათ ცდაზე შექმნან ჩვენს წინააღმდეგ მთლიანი ფრონტი, ჩვენ ვუპასუხებთ მუშაობის გაცხოველებით საბჭოთა კავშირის ძლიერების განსამტკიცებლათ.

კომკავშირელებო, ამ მუშაობაში თქვენ ყველაზე წინ უნდა იდგეთ!

ა. ბ—ი.

გავაძლიეროთ სამხედრო პროპაგანდა

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე სამხედრო პროპაგანდაში ადგილი ჰქონდა დაშინებას კაპიტალისტური სამხედრო ტეხნიკით, და ჩვენი სამხედრო და პოლიტიკური სიმძლავრის სათანადო დაუპირისპირებლობას მასთან. მართალია, არ შეიძლება კაპიტალისტურ სახელმწიფოების სამხედრო ტეხნიკის მიღწევათა მიჩქმალვა, მაგრამ მეორე მხრივ არ შეიძლება საბჭოთა კავშირის ძლიერებისა და საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც ყველა ქვეყნის პროლეტართა და ჩაგრულ ერთა სოციალისტურ სამშობლოს მნიშვნელობის შეუფასებლობა.

სამხედრო პროპაგანდის პრაქტიკული მხარე უნდა მიმართულ იქნას სამხედრო ცოდნის წრეების, ავიაქიმიური რაზმების, მსროლელთა წრეების, სამხედრო კუთხეების და ტირების ქსელის განვითარებისაკენ. ქალები უნდა ჩაბმულ იქნან სამხედრო-სანიტარულ წრეებში და დამხმარე სამუშაოთა წრეებში.

თვითეულ მუშას და მუშა-ქალს უნდა ექნეს საშუალება მიიღოს სამხედრო მომზადება ამ წრეებში. ფიზკულტურის ორგანიზაციების წინაშე დასმულია ამოცანა, რომ მათ ხელი შეუწყონ სამხედრო მომზადებას. მთელ ამ მუშაობაში პროფესიონალურმა, კომკავშირის, პოლიტგანმანათლებელმა და განსაკუთრებით თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა უნდა გამოიჩინონ თვითმოქმედების და ინიციატივის მაქსიმუმი.

ფრიად მიზანშეწონილია აქტივში წრეების მოწყობა, რომლებიც შეისწავლიან საერთაშორისო მდგომარეობას, კაპიტალისტური ქვეყნების, განსაკუთრებით ჩვენი მეზობლების მდგომარეობას და აგრეთვე საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის საკითხებს.

სამხედრო პროპაგანდა უნდა დაუკავშირდეს ძირითად ამოცანებს (წარმოების რაციონალიზაცია, ფასების დაკლება, მომჭირნეობის რეჟიმი, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა). საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა გამოეცხადოს სიზარმაცეს, მოდუნებას, უმოძრაობას და ყოველგვარ მშვიდობის მოყვარე ობივატელურ განწყობილებებს. კედლის გაზეთებმა სისტემატიურად უნდა გააშუქონ სამხედრო პროპაგანდის მსვლელობა და შედეგები.

თუ ომი მოხდა, ფრონტსა და ზურგს შორის არ იქნება საზღვარი, ამიტომ ყველა მშრომელებმა უნდა შეითვისონ სამხედრო ცოდნა და გამოცდილება.

მუშა-მოსამსახურეთა კრებები

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება, რომ პარასკევს 15 ივლისს მოწვეული მესამე რაიონის წარმოებების მუშებისა და მოსამსახურეების და აგრეთვე ამავე რაიონის სამხედრო ნაწილების წითელარმიელთა ჯგუფური საერთო კრებები

დღის წესრიგშია: **მოხსენება თავდაცვის კვირეულის შესახებ.**

1) **სადგ. ნავთლუღში**—მუშები და მოსამსახურ. სადგ. ნავთლუღის და ქალაქის სასაკლაოების დღის 4 საათ. მომხსენებელი—ამხ. **ვანო სტურუა.**

2) **ავლაბარი,** მუშათა კლუბი, მშენებელთა მესამე საუბნო კომიტეტი, მეორე რაიონის მტვირთავები, შტატგარეშე ტრანსპორტის მტვირთავები, მეორე ზეთის სახდელ ქარხ. მუშები, მეტყავენი, გემო-კვების კავშ. წევრები, საღამოს 6 საათ.—მომხსენებელი—ამხ. **ვანციანი.**

3) საკ. საფეიქრო მრეწვ. სინდიკატის წითელი კუთხე შუა ბაზარი 62) საფეიქრო მრეწვ. სავაჭრ. გან., ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტი, ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატი—საღ. 6 ნახ. საათ., მომხსენებელი ამხ. **ვასილჩენკოვი.**

4) **ქალაქის საავადმყოფოს პირველი კლუბი**—1 ქალ. საავადმყოფო, სახანძრო რაზმის მესამე ნაწილი, დღის 3 საათ.,—მომხსენებელი—ამხ. **მიქაძე.**

5) **ქვაბაზა—შტატგარეშე ტრანსპორტი, სამხ.** წისქვილი, ქვაბაზა, გარნიზონის პურის საცხობი, სპეციალ. დანიშნულების იზოლატორი, საღ. 6 საათ.,—მომხსენებელი ამხ. **აბაშიძე.**

6) **ტყავტრესტის კლუბი—ტყავის ქარხანა** № 1, ტყავის ქარხანა № 3, ფეხსაცმელების ფაბრიკა, მაკარონის ფაბრიკა, ქიმიკოსები, ფეიქრები: გამსახლი № 1. მებაღეები, დღის სამი საათ,—მომხსენებელი ამხ. **სოსინი, რატნერი.**

7) ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბი—თურქები, ქალაქის აბანოების მუშა-მოსამსახურეები—საღ. 6 საათ.—მომხსენებელი ამხ. **შირვანსკი.**

8) რაიკომის მიერ დაგზავნილ უწყებებისა თანახმად, სამხედრო ნაწილები მიმაგრებული არიან ჯგუფურ კრებებზე.

კვირეულის ქრონიკა

მოხსენებები თავდაცვის შესახებ

უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში, წარმოება-დაწესებულებებში და მუშათა კლუბებში ტარდება მოხსენებები: „თავდაცვის კვირეულის მნიშვნელობისა" და „თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების" შესახებ.

მოხსენებები მშრომელ მასებში დიდ ინტერესს იწვევენ. მომხსენებლებს მრავალი შეკითხვებით მიმართავენ დამსწრენი.

ამასთანავე სწარმოებს „პასუხი ჩემბერლენს"-ის ფონდში ნახევარი დღის ხელფასის გადარიცხვა და ახალ უჯრედების დაარსება იქ, სადაც ასეთები ჯერ არ არსებობს. მუშა-მოსამსახურეები ფართოდ ეწერებიან საზოგადოებებში.

მუშაობა გამოცოცხლდა

თავდაცვის კვირეულის კამპანიის მიმდინარეობამ ძალზე გამოაცოცხლა აჭარისტანის და გურიის თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების მუშაობა. სწარმოებს საზოგადოებების ახალ უჯრედების და სხვადასხვა წრების დაარსება.

მასალების გაგზავნა

გუშინ საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების სამდივნომ შორაპნის მაზრის უჯრედს გადაუგზავნა: გაზის საწინააღმდეგო ნიღბები, მხრჩოლავი ხმლები, ხელით სასროლი ბომბები და სხვა აუცილებელი მასალები წრების მოსაწყობად და საჰაერო-ქიმიურ ომის ინსცენიროვკის ჩასატარებლად.

მოდელისტების წრე

ბათომში მოეწყო მოდელისტების წრე სპეციალური სახელოსნოთი. სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა და ემზადებიან სრულიად საქართველოს მოდელების შეჯიბრისათვის.

აჭარისტანის ავიაქიმრაზმი

ბათომში ეწყობა ავიაქიმის რაზმი 80 კაცისაგან. საჭირო მასალებს რაზმი იღებს საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმისაგან.

სასროლო ტირი

აჭარისტანის პროფკავშირთა საბჭოს სასპორტო სექცია ბათომში აწყობს დიდ სასროლო ტირს. ტირის აშენება დამთავრდება ამ ახლო ხანში. საჭირო იარაღები და მასალები მიღებულია.

მარქსიზმი და მიწათმოქმედების არაკაპიტალისტური ევოლიუციის საკითხი

გლეხური მეურნეობის განსაზოგადოებრივება ნიშნავს მის გადაყვანას ახალ ტეხნიკურ ბაზაზე, მისი კერძო საკუთრების საზოგადოებრივ საკუთრებად გარდაქმნას და მიწადმოქმედების მოწყობას გეგმიან საფუძვლებზე. ეს სამი ძირითადი ამოცანაა წამოჭრილი საბჭოთა კავშირის სოციალისტურ პროლეტარიატის წინაშე.

მაგრამ საკმაო არ არის ამოცანების სწორი დასახვა. საჭიროა აგრეთვე გავერკვეთ იმაში, არის თუ არა შესაძლებელი ამ სწორად დასმულ ამოცანების განხორციელება.

პროლეტარიატის პარტიამ აიღო გლეხურ მეურნეობის არაკაპიტალისტური ევოლიუციის გზა, ე. ი. გზა სამიწადმოქმედო წარმოების სოციალისტურ ევოლიუციისა კოოპერაციის საშუალებით. მაგრამ შესაძლებელია თუ არა ასეთი ევოლიუცია? ხომ არ გადავდივართ ჩვენ მარქსისტული თვალსაზრისიდან ნაროდნიკულ, ესერულ თვალსაზრისზე? როგორ სწყვეტდა და სწყვეტს მარქსიზმი მიწათმოქმედების არაკაპიტალისტურ (სოციალისტურ) ევოლიუციის საკითხს?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მოვახდინოთ პატარა ისტორიული ექსკურსი.

მარქსიზმი არასოდეს არ ამტკიცებდა, რომ ყველა იმ ქვეყნებმა, რომელთაც აქვთ წინაკაპიტალისტური სამეურნეო ფორმები, აუცილებლად უნდა გაიარონ კაპიტალიზმის სტადია. მარქსიზმი არასოდეს არ ამტკიცებდა, რომ თვითეულმა ჩამორჩენილმა ქვეყანამ აუცილებლად უნდა გაიაროს კაპიტალისტური განვითარების გზა სოციალიზმის სამეფოში შესასვლელად. ამასთანავე იგი არასოდეს არ ამტკიცებდა იმას, რომ წვრილი საქონლის მეურნეობა ყოველთვის უნდა მოექცეს კაპიტალიზმის გამხრწნელი გავლენის ქვეშ.

რომ მარქსიზმს დაეშვა საკითხის ასეთი მეტაფიზიკური დაყენება, მაშინ ის აღარ იქნებოდა მარქსიზმი, დიალექტიური მატერიალიზმი.

სასოფლო მეურნეობის არაკაპიტალისტური ევოლიუციის პრობლემას მარქსიზმი სწყვეტდა **დროის და ადგილის** მიხედვით.

გავიხსენოთ დავა რუსული თემის შესახებ. ნაროდნიკები ამტკიცებდნენ, რომ თემი წარმოადგენს სოციალისტური განვითარების გამოსავალ წერტილს, რომ თვითონ მასშია მოთავსებული ის აქტიური ძალები, რომელთაც შეუძლიათ მისი გარდაქმნა მეურნეობის ახალ უმაღლეს ფორმადო. **თეორიულად** მარქსსაც შესაძლებლად მიაჩნდა თემის გადასვლა სოციალიზმზე. ეს სავსებით აშკარა ხდება მარქსის ამას წინად გამოქვეყნებულ წერილებიდან. 1) მაგრამ არსებითად მარქსის თვალსაზრისი რუსულ თემის შესახებ ნათელი იყო ამ წერილების გამოქვეყნებამდეც. მარქსს თეორიულად დასაშვებად მიაჩნდა თემიდან სოციალიზმზე გადასვლა. მაგრამ ასეთი გადასვლისათვის მარქსის აზრით აუცილებელი იყო შემდეგი სამი პირობა: პირველი—თემი, როგორც გაბატონებული ფორმა სოფლად, ჯერ კიდევ დაუშლელი კაპიტალიზმის მიერ, მეორე—რევოლიუცია რუსეთში, აბსოლიუტიზმის ჩამოგდება და ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია ქალაქებში და მესამე—სოციალისტური რევოლიუცია დასავლეთში, რომელსაც უნდა აღმოეჩინა რუსეთის თემისთვის ნივთიერი დახმარება მანქანებით და გაუმჯობესებული იარაღებით. ამ სამი პირობით შეიძლებოდა თემის გამოცოცხლება და ახალი სახით აგება. აშკარაა, რომ აქ ლაპარაკი იყო მეურნეობის წინაკაპიტალისტური ფორმის სოციალისტურ გარდაქმნაზე.

ნაროდნიკები კითხვას აყენებდენ **მეტაფიზიკურად,** დროის და ადგილის გარეშე. ისინი არ უკავშირებდენ ამ კითხვას დასავლეთში სოციალიზმის გამარჯვებას და რუსულ თემთან სოციალისტურ ევროპის დაკავშირებას. სოციალისტური დასავლეთის ეს დახმარება (ტეხნიკით, გამოცდილებით და სხვა) მათ არსებითად არ მიაჩნდათ.

მარქსისტები კი პირიქით კითხვას აყენებდენ დიალექტიურად. მათ შესაძლებლად მიაჩნდათ თემიდან სოციალიზმზე გადასვლა, მაგრამ განსაზღვრულ, ზემოთ მოხსენებულ პირობებში. მაშასადამე მარქსისტები შესაძლებლად სთვლიდენ საზოგადოებრივი საკუთრების ერთი ფორმის მეორე, უფრო მაღალ საზოგადოებრივ ფორმაში გადასვლას. იგულისხმება, რომ განვითარების კაპიტალისტური სტადია ამ შემთხვევაში, სრულებითაც არ იყო სავალდებულო.

რუსული თემი დიდი ხანია დაიშალა. მისგან მხოლოდ საცოდავი ნაშთები-ღა დარჩა. ეხლანდელი რუსული თემი **აღარ არის ის რუსული თემი,** რომელზედაც ლაპარაკობდა მარქსი მე-80 წლების დასაწყისში. მეურნეობის უმთავრეს ფორმას სოფლად ამჟამად წარმოადგენს არა თემი, არამედ წვრილი გლეხური საქონლის მეურნეობა. ძნელი გასაგები არ არის, რომ ამ დაშლილი თემის გამოცოცხლება ახლა არ შეუძლია პროლეტარულ დიქტატურას. იგი არც მიისწრაფვის ამისაკენ. სუხანოვი, რომელიც მოითხოვს თემის გამოცოცხლებას და ამასთანავე მარქსსაც იმოწმებს, მხედველობიდან უშვებს იმ გარემოებას, რომ ჯერ ერთი გაუქმებულია კერძო საკუთრება და აგრეთვე **სათემო საკუთრებაც,** რომ ის უკვე წარმოადგენს სახელმწიფოებრივ საკუთრებას და მეორე—რომ მეურნეობის გაბატონებულ ფორმას სოფლად წარმოადგენს წვრილი საქონლის მეურნეობა. ამჟამად პროლეტარიატის ამოცანას წარმოადგენს ამ წვრილი მეურნეობის გარდაქმნა მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობად. ამ ამოცანის გადაჭრა ძლიერ მსუბუქდება მიწის ნაციონალიზაციით, რაც მოასწავებს დიდ ნაბიჯს წინ სათემო საკუთრებასთან შედარებით. სახელმწიფოებრივი საკუთრება მიწაზე, როგორც საზოგადოებრივი საკუთრების ფორმა, ბევრად უფრო სრული ყოფილია, ვიდრე სათემო საკუთრება. სათემო საკუთრების ლოზუნგი დღეს იქნებოდა რეაქციონური ლოზუნგი, ნაბიჯი უკან.

ახლა ვნახოთ, როგორ უყურებდა მარქსიზმი წვრილი საქონლის მეურნეობის არაკაპიტალისტური ევოლიუციის შესაძლებლობას. 2)

წვრილმა გლეხურმა მეურნეობამ არ უნდა გაიაროს აუცილებლად კაპიტალისტური სტადია. განსაზღვრულ პირობებში მას შეუძლია გადავიდეს სოციალიზმში განვითარების კაპიტალისტური სტადიის გარეშე. როგორია ეს პირობები? **პირველი**—პროლეტარიატი უნდა იყოს გაბატონებული კლასი, მან უნდა წაართვას ბურჟუაზიას ხელისუფლება, უნდა მოახდინოს ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია, **მეორე**—მან უნდა შეაჩეროს გლეხური მეურნეობის დიფერენციაციის, დაშლის პროცესები, მოსპოს კაპიტალიზმის განვითარების ყველა შესაძლებლობანი და **მესამე**—პროლეტარიატი, როგორც ხელმძღვანელი კლასი, უნდა დაეხმაროს წვრილ მწარმოებლებს მანქანებით, ცოდნით და კოლექტიური მეურნეობის გამოცდილებით.

ამ პირობებში შეიძლება წვრილი მესაკუთრის გარდაქმნა სოციალისტურ მუშაკად. პროლეტარიატმა, ამბობს მარქსი, როგორც მთავრობამ, უნდა მიიღოს ზომები, რომლებიც უშუალოდ გააუმჯობესებენ გლეხის მდგომარეობას, რის გამოც ის თვითონ გადავა რევოლიუციის მხარეზე; ეს ზომები უნდა შეიცავდენ მიწის კერძო საკუთრების კოლექტიურ საკუთრებაზე გადასვლის ჩანასახებს და აადვილებდენ ამ გადასვლას, ისე რომ გლეხი თვითონ მიაღწევს ამას სამეურნეო გზით". 3) საბჭოთა კავშირში არ არსებობს მიწის კერძო საკუთრება, არც წვრილი, არც მსხვილი. მაშასადამე აქ ამოცანა ამოიწურება წარმოების იმ **დანარჩენ საშუალებათა განსაზოგადოებრივობით** (მიწის გარდა), რომლებიც კიდევ შეადგენენ ინდივიდუალურ საკუთრებას და წარმოადგენენ ინდივიდუალურ მიწის სარგებლობის საფუძველს.

იმ კითხვის შესახებ, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს, ენგელსმა გამოსთქვა იგივე აზრი, რაც მარქსმა. ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ჩვენი ამოცანა წვრილი გლეხობის მიმართ მდგომარეობს უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ მისი კერძო წარმოება და კერძო საკუთრება გარდავქმნათ ამხანაგურ წარმოებად, მაგრამ არა ძალდატანებით, არამედ მაგალითის ჩვენებით და საზოგადოებრივი დახმარების აღმოჩენით ამ მიზნისათვის... ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, რომ მას შეეძლოს რიგიანი ცხოვრება, რომ შევუმსუბუქოთ მას ამხანაგობაზე გადასვლა, თუ კი ის ამას გადასწყვეტს". 4)

ნუთუ აშკარა არ არის, რომ მარქსიზმის საფუძვლის ჩამყრელთ შესაძლებლად მიაჩნდათ წვრილი წარმოებიდან სოციალიზმზე გადასვლა, მხოლოდ განსაზღვრულ წინასწარ პირობებში. ნუ თუ აშკარა არ არის, რომ ისინი, პროლეტარიატის ხელისუფლების დროს, ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის შემდეგ, შესაძლებლად სცნობდენ მიწათ-მოქმედების არაკაპიტალისტურ ევოლიუციას.

ლენინმა იგივე კითხვა დასვა კოლონიალურ ქვეყნების მიმართ და დადებითად გადასჭრა. „თუ ძლევამოსილი რევოლიუციონური პროლეტარიატი აწარმოებს მათ შორის სისტემატიურ პროპაგანდას, საბჭოთა მთავრობები კი დაეხმარებიან მათ ყველა მათ განკარგულებაში მყოფი საშუალებებით, მაშინ შეცდარი იქნება ფიქრი იმაზე, რომ განვითარების კაპიტალისტური სტადია აუცილებელია ჩამორჩენილ ხალხებისათვის... კომუნისტურმა ინტერნაციონალმა უნდა წამოაყენოს და თეორიულად დაასაბუთოს ის დებულება, რომ მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის დახმარებით ჩამორჩენილი ქვეყნები შესძლებენ გადავიდენ საბჭოთა წყობილებაზე და განვითარების განსაზღვრულ საფეხურების შემდეგ—კომუნიზმზე ისე, რომ გვერდი აუხვიონ განვითარების კაპიტალისტურ სტადიას". 5)

როგორც ვხედავთ მარქსისტებისთვის მთელი კითხვა არაკაპიტალისტურ ევოლიუციის შესახებ განისაზღვრება იმით, თუ **რომელ სოციალურ-ისტორიულ გარემოში** უნდა განხორციელდეს იგი. თუ თემი, და აგრეთვე გლეხური მეურნეობა (წინაკაპიტალისტური ფორმაციის) იმყოფებიან სოციალისტურ გარემოცვაში, თუ ისინი უკავშირდებიან სოციალისტურ ინდუსტრიას, მათ შეუძლიათ და აუცილებლად უნდა განვითარდენ სოციალიზმის მიმართულებით.

ამ შემთხვევაში აქტიურ საწყისად, რომელიც ახდენს რევოლიუციას მეურნეობის ფორმებში, გამოდის **ქალაქის სოციალისტური ინდუსტრია, იგი მიათრევს ამ ფორმებს თავის უკან, გარდაქმნის მათ თავის სახით და მსგავსებით.** თუ კი ეს ფორმები იმყოფებიან კაპიტალისტურ გარემოცვაში, აქ უკვე გამორიცხულია არაკაპიტალისტური ევოლიუციის შესაძლებლობა, ამ შემთხვევაში ამას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი. აქტიურ საწყისად, რომელიც ანგრევს და შლის ძველ ფორმებს, გამოდის კაპიტალისტური ინდუსტრია.

ასეთია მარქსისტების თვალსაზრისი ამ საკითხზე.

მარქსისტებმა არა მარტო აღნიშნეს გლეხური მეურნეობის არაკაპიტალისტური ევოლიუციის შესაძლებლობა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, არამედ მიგვითითეს ამ ევოლიუციონური პროცესის კონკრეტულ ფორმაზეც. ასეთ ფორმას წარმოადგენს კოოპერაცია—აქ ლაპარაკია არა კოოპერაციაზე საერთოდ, არამედ წვრილ მწარმოებელ-გლეხთა კოოპერაციაზე.

ესერებიც ებღაუჭებოდენ კოოპერაციას; ისინი ხაზგასმით აღნიშნავდენ, რომ სწორედ კოოპერაცია არის მოწოდებული განახორციელოს არაკაპიტალისტურ ევოლიუციის იდეა კაპიტალიზმის პირობებშიო. კოოპერაციას შეეძლო, მათი აზრით, გლეხობის გადარჩენა პროლეტარიზაციისაგან და მათი მიყვანა სოციალიზმამდე.

ლენინი დასცინოდა ესერების ასეთ თეორიებს. იგი სწერდა: „ჩერნოვმა, რომელიც ჩვეულებრივ შუბლს იტეხს ახალ ღმერთებისათვის გულმოდგინე თაყვანისცემის გამო, უკვე შესთხზა „მიწადმოქმედების არაკაპიტალისტურ ევოლიუციის" თეორია კოოპერაციის დახმარებით. კოოპერაციის თაყვანისმცემლებს უყვართ იმის მოხსენიება, თუ რის მიღწევა „შეიძლება" მისი დახმარებით ჩვენ კი უმჯობესია, ის გამოვაამშკარავოთ, თუ **რას აღწევს სინამდვილეში კოოპერაცია თანამედროვე კაპიტალისტურ წყობილებაში** 6) (კურსივი ჩვენია კ. ო.)

ლენინი კითხვას აყენებდა კონკრეტულად. მას აინტერესებდა არა აბსტრაქტული საერთო შესაძლებლობა არაკაპიტალისტურ ევოლიუციისა, არამედ კითხვა იმის შესახებ: **არის თუ არა მართლა შესაძლებელი ასეთი ევოლიუცია კაპიტალიზმის დროს.** დავა მარქსისტებსა და ესერებს შორის სწარმოებდა არა ამ აბსტრაქტულ შესაძლებლობის გარშემო, არამედ იმის შესახებ რომ **შეუძლებელია ამ ევოლიუციის არსებობა კაპიტალიზმის დროს.**

გლეხური მეურნეობის არაკაპიტალისტური ევოლიუციის აღიარება **პროლეტარიატის დიქტატურის დროს** სულ სხვაა, ვიდრე ამ ევოლიუციის აღიარება **კაპიტალიზმის დროს.** პირველ შემთხვევაში მარქსისტებს შეუძლიათ—და ვალდებულიც არიან—დაიცვან ეს იდეა (ამაში არაფერია ნაროდნიკული და ესერული); მეორე შემთხვევაში კი მათ უნდა გამოაშკარავონ ამ ფანტასტიურ ოცნებათა სიცრუე და განუხორციელებლობა.

მათ, ვინც ბრალს სდებს მარქსისტ-კომუნისტებს ესერობასა და ნაროდნიკობაში, არ ესმით, რომ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მოხდა ისეთი ძირითადი ცვლილებები, რომლებიც სწორედ საჭირო იყვნენ გლეხური მეურნეობის არაკაპიტალისტურ (სოციალისტურ) ევოლიუციისათვის. ესერები და ყველა ძველი კოოპერატორები მხოლოდ ფანტაზიორები და უტოპიური მეოცნებენი იყვნენ. „მაგრამ რაში მდგომარეობს მათი ფანტაზიორობა? იმაში, რომ ამ ხალხს არ ესმის ის არსებითი ძირითადი მნიშვნელობა, რომელიც აქვს მუშათა კლასის პოლიტიკურ ბრძოლას ექსპლოატატორთა ბატონობის ჩამოსაგდებათ. ჩვენ ისინი ჩამოვაგდეთ და ახლა ბევრი რამ იქიდან, რაც ფანტასტიური, რომანტიული და უფერული იყო ძველ კოოპერატორების ოცნებაში, ხდება სრულიად შეუფერავ სინამდვილედ". 7). სხვანაირად რომ ვსთქვათ, კოოპერაციას არ შეეძლო ყოფილიყო არაკაპიტალისტურ ევოლიუციის ნამდვილ საშუალებად **კაპიტალიზმის დროს,** მაშინ, როდესაც ის ხდება ასეთად **პროლეტარიატის დიქტატურის დროს.**

„არც შულცე-დელიჩს, არც ლასალს, —სწეროდა ენგელსი 1886 წ.—არ ჰქონდათ შეგნებული **კარდინალური მნიშვნელობა გადატრიალებისა წარმოების წესებში** და ის როლი, რომელიც ეკუთვნის კოოპერაციას. ორივე იძლეოდა წინადადებას წვრილ ამხანაგობათა დაარსების შესახებ—ერთი სახელმწიფოებრივ დახმარებით, მეორე უამისოდ, მაგრამ არც ერთის აზრით ეს ამხანაგობანი არ უნდა დაუფლებოდენ წარმოებას. **უკვე არსებულ** კაპიტალისტურ წარმოების გვერდით უნდა დაარსებულიყო ახალი კოოპერატიული წარმოება. ჩემი წინადადება მოითხოვს, რომ კოოპერატივებმა მონაწილეობა მიიღონ არსებულ წარმოებაში. **მათ უნდა მიეცეს ის მიწა, რომლის ექსპლოატაცია წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდებოდა კაპიტალისტური წესით.** არც მე და არც მარქსს არასოდეს არ შეგვეპარა ეჭვი იმაში, რომ კომუნისტურ მეურნეობაზე გადასვლისას, ჩვენ დაგვჭირდება ფართო მასშტაბით გამოვიყენოთ კოოპერატიული წარმოება, როგორც გარდამავალი სტადია. მაგრამ საქმე ისე უნდა მოეწყოს; რომ საზოგადოებამ, ე. ი. უპირველეს ყოვლისა სახელმწიფომ თავისთვის შეინარჩუნოს საკუთრება წარმოების საშუალებებზე და რომ ამგვარად ცალკე კოოპერატივთა კერძო ინტერესები არ დაუპირდაპირდეს მთელი საზოგადოების ინტერესებს". 8)

ენგელსის ამ ღრმა შენიშვნის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ კოოპერაციის როლი ძირიანად იცვლება **პროლეტარიატის დიქტატურის დროს.** რომ **მხოლოდ მაშინ** შეუძლია მას გახდეს გარდამავალ სტადიად სოციალიზმისაკენ, შეუძლია გახდეს არაკაპიტალისტური ევოლიუციის პროცესის ფორმად. ენგელსის და ლენინის თვალსაზრისი ამ საკითხზე სავსებით ეთანხმება ერთმანეთს. კიდევ მეტი. აქ ჩვენ ვხედავთ ლენინის კოოპერატიული გეგმის წინასწარ წამოყენებას.

მაშასადამე, პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ, მარქსისტების თვალსაზრისი კოოპერაციაზე რადიკალურად იცვლება. კოოპერაციას შეუძლია გახდეს გლეხობის არაკაპიტალისტური გარდაქმნის ფორმად, განსაზოგადოებრივობის ფორმად, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ხელს შეუწყობს და აქტიურად დაეხმარება სოციალისტური ქალაქი. პროლეტარიატმა ფინანსიური დახმარება უნდა აღმოუჩინოს კოოპერატიულ წყობილებას სოფლად, გადასდოს ამ საქმისათვის თავისი რესურსების ნაწილი.

„ყოველი საზოგადოებრივი წყობილება, ამბობდა ლენინი, წარმოიშვება განსაზღვრული კლასის ფინანსიური ხელშეწყობით. საჭირო არ არის გავიხსენოთ ის ასეული მილიონები, რომლებიც დაიხარჯა „თავისუფალი" კაპიტალიზმის წარმოშობისათვის. ახლა ჩვენ უნდა შევიგნოთ და საქმედაც ვაქციოთ, რომ ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც ამჟამად ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ჩვეულებრივზე უფრო არის კოოპერატიული წყობილება" 9)

ენგელსიც ხაზგასმით აღნიშნავდა გლეხობისათვის ფინანსიური დახმარების აღმოჩენის საჭიროებას, იმ შემთხვევაში, თუ იგი კოოპერაციაში ჩაებმოდა. ის ამბობდა: „მატერიალური მსხვერპლი, რომელიც უნდა გაღებულ იქნას ამ აზრით საზოგადოებრივ საშუალებებიდან გლეხობის ინტერესების დასაცავად, კაპიტალისტურ ეკონომიკის თვალსაზრისით შეიძლება მოგვეჩვენოს გადაყრილ ფულად, მაგრამ ეს არის კაპიტალის მშვენიერი გამოყენება, ვინაიდან ეს დაზოგავს, შესაძლებელია, ათჯერ მეტ თანხებს საზოგადოების მთლიანი გარდაქმნისათვის საჭირო ხარჯებიდან. მაშასადამე, ამ მხრივ, ჩვენ შეგვიძლია ძალიან უხვი ვიყოთ გლეხების მიმართ". 10)

ამრიგად პროლეტარიატის დიქტატურის დროს მიწადმოქმედების არაკაპიტალისტური ევოლიუცია შესაძლებელია. ეს ევოლიუცია უნდა მიმდინარეობდეს კოოპერატიულ ფორმებში.

კ. ორაგველიძე.

---

1) Архив Маркса и Энгельса—кн. I, აგრეთვე „კომ. მანიფ." წინასიტყვაობა.

2) რაც შეეხება წვრილ ნატურალურ მეურნეობას, მის განსაზოგადოებრივებისათვის საჭიროა წინასწარ მისი გარდაქმნა საქონლის მეურნეობად.

3) Летопись Марксизма—кн. II. Стр. 62—63.

4) Энгельс—«Крестьянский вопрос», стр. 39—41.

5) Ленин. — Сочин. т. XVII. стр. 277.

6) Ленин.—Сочин. т. IX. стр. 148.

7) ლენინი—კოოპერაციის შესახებ, გვ. 134.

8) Энгельс.—«Политическое завещание», стр. 18.

9) Ленин.—«О кооперации», стр. 136.

10) ენგელსი—გლეხობის საკითხი, გვ. 42.

პარტიული ცხოვრება

საბჭოთა უჯრედების ნაკლოვანებანი

(ახალქალაქის მაზრა)

დღემდე არ სწარმოებდა დაწესებულებათა უჯრედების გამოკვლევა და სამაზრო კომიტეტის სხდომებზე ისინი არ აკეთებდენ მოხსენებებს. არ სწარმოებდა, აგრეთვე, საკითხის განხილვა საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების შესახებ. მიუხედავათ იმისა, რომ უჯრედის ყველა წევრთა პოლიტიკური გათვითცნობიერებისა და წერა-კითხვის ცოდნის გამო სავსებით შესაძლებელი იყო წევრთა აქტივობის გამოყენება, ეს მაინც არ ხდებოდა. მთელი აქტივობა გამოიხატება მარტო მოხსენებების კეთებაში. ამის მიზეზს წარმოადგენს პარტიის წევრთა განთავისუფლება პარტ - დავალებების შესრულებისაგან. არა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, აგრეთვე, მუშაობა საზოგადო ორგანიზაციებში. ამ ორგანიზაციებში დღემდე არ არის შექმნილი აქტივისტების საკმაო კადრი. უჯრედები დღემდე არ არიან დაინტერესებულნი თავის დაწესებულების სამეურნეო საკითხებით, მათ დღემდე არ მოუსმენიათ ადგილობრივი ხასიათის მოხსენებები მმართველი აპარატის გამარტივებისა და გაიაფების შესახებ. ყველა ამაზე სამუშაო გეგმაში ხსენებაც კი არ არის.

მუშაობა აპარატის რაციონალიზაციის დარგში ტარდებოდა ადმინისტრატიული საბჭოთა წესით. უჯრედების მხრივ ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე. ეკონომ-კომისიებს არავითარი ხელმძღვანელობა არ ეტყობათ. მე-15 პარტკონფერენციის, ივლისის პლენუმის და ა. კ. პარტთათბირის შესახებ მხოლოდ საერთო ხასიათის მოხსენებები გაკეთდა. კარგია ამხანაგური კავშირი უჯრედის წევრებს შორის. დამაკმაყოფილებელია უჯრედის კრებებზე დასწრება. უჯრედის ღია კრებებზე დამსწრე უპარტიოთა საერთო რიცხვი ადის 10-12-დე. დასწრება დამოკიდებულია განსახილველათ დასმული საკითხისაგან. უჯრედის ბიურო არ აწარმოებს დამსწრე უპარტიოთა აღრიცხვას. არადამაკმაყოფილებლად მუშავდება მოსამსახურეთა პარტიაში მიღებისა და კომპარტიის წევრად გადარიცხვის საკითხები. პარტიაში მიღების საკითხს უჯრედი უდგება უმთავრესად მისაღები პირის პოლიტიკური გათვითცნობიერებისა და უჯრედის კრებებზე დასწრების თვალსაზრისით. ამასთან ის სრულიად არ ღებულობს მხედველობაში საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობას. უჯრედები სუსტ, უმთავრესად ფორმალურ ხელმძღვანელობას უწევენ კომკავშირის, ნებაყოფლობითი ორგანიზაციების და ქალთა ორგანიზაციების მუშაობას. ხელმძღვანელობა აქ კმაყოფილდება მარტო წარმომადგენლის დანიშვნით ამ ორგანიზაციებში. ამასთან ეს წარმომადგენლები არას დროს არ აბარებენ ანგარიშს თავის მუშაობის შესახებ.

ყველა ზემონათქვამიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ამ უჯრედების მუშაობა სრულიად არ აკმაყოფილებს შინაპარტიულ დემოკრატიას, ვინაიდან ეს უკანასკნელი, პარტიული პოლიტიკის გატარების დროს გულისხმობს ისეთ ორგანიზაციულ ფორმას, რომელიც უზრუნველჰყოფს ყველა წევრთა მონაწილეობას პარტიის ცხოვრებაში: ყველა საკითხების განხილვას, მათ გადაწყვეტაში და აქტიურ მონაწილეობას პარტიულ მშენებლობაში.

პ. ისკანდაროვი

ვინ და რატომ გადის პარტიიდან

საკავშირო კომპარტიის ცენტრ. საკ. კომისიამ მოახდინა პარტიული უჯრედების შემოწმება იმ მიზნით, რომ შეესწავლა პარტიიდან ნებაყოფლობით გამსვლელის მიზეზები. შემოწმებამ ცხად ჰყო, რომ პარტიიდან გადიან უმთავრესად, როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური დაზგის მუშები, რომელნიც მიღებულნი იყვნენ პარტიაში ლენინის გაწვევის დროს.

კერძოთ ლენინგრადის და მოსკოვის ორგანიზაციების შესწავლამ დაგვანახვა,რომ პარტიიდან ამ ორ სამრეწველო ცენტრში გასულა სულ 8,292 კანდიდატი და პარტიის წევრი. მათ შორის დაზგის მუშების პროცენტი უდრის 76,5, გლეხების—6,8 და დანარჩენების 17,2 პროცენტს. გარდა ამისა პარტიიდან გამოსულთა შორის დიდ უმრავლესობას შეადგენენ კანდიდატები. ასე მაგალითად, მათი რიცხვი უდრის 77,6 პროც. დასასრულს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოსულთა 93,4 პროცენტი პარტიაში შესულა 1923-24 წელში.

ეს ცნობები თავისთავად ლაპარაკობენ იმ მიზეზების შესახებ, რომლებითაც შეიძლება პარტიიდან გასვლის ახსნა. პირველყოვლისა ჩვენთვის ერთხელ კიდევ აშკარა ხდება, რომ პარტიაში შემსვლელთა შემოწმებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. საჭიროა პარტიაში შესვლის მსურველებმა გაიარონ წინასწარი საზოგადოებრივი მუშაობის სკოლა, საჭიროა მათ ჰქონდეთ პოლიტიკური საკითხების ელემენტარული ცოდნა. გარდა ამისა პარტიაში შემსვლელნი უნდა იცნობდნენ პარტიის წესდებას და ისტორიას.

ამასთან ერთად ჩვენს ქვედა ქსელის ორგანიზაციებს მეტი ყურადღების მიქცევა მართებსთ უჯრედის იმ წევრისადმი, რომელნიც ჩამორჩენილნი არიან პოლიტიკურათ, პასივობას იჩენენ პარტიულ მუშაობაში და ვერ ასრულებენ პარტიულ დისციპლინის მოთხოვნილებას. ასეთ წევრებს უჯრედი უნდა მიუდგეს ამხანაგურათ, უნდა შეისწავლოს ინდივიდუალურათ თვითეული მათგანი ჩააბას, ისინი მათი ცოდნისა და გამოცდილების შესაფერის პრაქტიკულ მუშაობაში და შეუწყოს ხელი მათ პოლიტიკურათ გათვითცნობიერებას.

ამნაირათ, ერთი მხრით პარტიის ზრდის საკითხებისადმი ყურადღების გაცხოველებით და მუშაობის გაჩაღებით, ჩვენ დავძლევთ იმ არანორმალურ მოვლენას, რომელსაც პარტიიდან ნებაყოფლობითი გასვლა ეწოდება.

ვ. გ—ა.

როგორ იზრდება ჩვენი უჯრედი

(ა.-კ. რკ.-გზის გამგეობა)

ა.-კ. რკინის გზების გამგეობის კომუჯრედის ბიურომ გამოყო სპეციალური კომისია. უჯრედის ზრდის გამოსარკვევად 1926 წლის განმავლობაში.

ერთი წლის განმავლობაში უჯრედში სულ შემოტანილია პარტიაში მიღების შესახებ რკ.-გზ. გამგეობის განყოფილებათა უპარტიო და ახ. კომკავშირელ თანამშრომელთაგან 14 განცხადება. იმათგან 9 კაცი არა ყოფილა არც ერთ პარტიაში, 4 კი ახკომკავშირელია. სპეციალური მდგომარეობით: მოსამსახურე - ინტელიგენტი — 11, და შიკრიკები — 3 კაცი; წლოვანებით: 20-30 წლამდე — 9 კაცი, 30-40 წლამდე 2 კაცი, 40 წლიდან და ზევით 3 კაცი. განათლების მიხედვით: შინაური განათლებით 4, დაბალი — 2, საშუალო — 8 კაცი.

შემოტანილ განცხადების მიხედვით კანდიდატათ მიღებულია 6 კაცი, 2 შიკრიკი და 4 მოსამსახურე.

უჯრედი მხედველობაში ღებულობდა ამხანაგების პოლიტმომზადებას, სოციალურ მდგომარეობას და წარმოშობას, ნებაყოფლობით ორგანიზაციებში აქტიურ მონაწილეობის მიღებას და სხვ.

მიუხედავად ამისა პარტიაში მიღებულთა რიცხვი ერთი წლის განმავლობაში მცირეა: თქმა არ უნდა, რომ აქ არიან ძლიერ თავდადებული ამხანაგები. ეს აიხსნება იმით, რომ უჯრედი არ აქცევდა საკმაო ყურადღებას უპარტიოთა შორის მუშაობას.

კომისიამ ამ საკითხის შესახებ გამოიტანა პრაქტიკული წინადადებები. მათგან უმთავრესია: 1) ღია კრებების საშუალებით უჯრედის ირგვლივ შეკავშირებულ ამხანაგებს შორის მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა. 2) უპარტიო აქტივის შესწავლა, 3) კომკავშირის აქტივის გადასინჯვა, ღირსეულთა პარტიაში გადაყვანის მიზნით, 4) პარტიაში მიღების შესახებ განცხადებების დროულათ და გულდასმით განხილვა.

ს. ტრიშკო.

მუშაობა გამოსწორდა

(პრიუტის თემი, თბილისის მაზრა).

პრიუტის თემის კომუჯრედი ძლიერ იშვიათად აწყობს ღია სხდომებს, ამიტომ არის, რომ უპარტიოთა შორის მუშაობა მოისუსტებს. საჭიროა კომუჯრედმა გააფართოვოს თავისი მუშაობა ხშირი ღია სხდომების მოწყობით, რაც ხელს შეუწყობს უპარტიოთა ლტოლვას პარტიისაკენ. ადგილობრივად კიდევ ერთ სამწუხარო მოვლენას აქვს ადგილი, ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული ქალთა წრე, მიუხედავათ იმისა, რომ გლეხ-ქალებს შორის მეტ წილს დიდი სურვილი აქვთ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისა.

ამას ეხლავე უნდა მიაქციოს ყურადღება პარტიის ცეკასთან არსებულმა ქალთა განყოფილებამ. არ ჰყავს აგრეთვე კომუჯრედს სათანადოთ მომზადებული ხელმძღვანელი, რაც ძლიერ აფერხებს მუშაობას. ახკომკავშირის უჯრედიც ძლიერ მოისუსტებდა, მაგრამ მანგლისიდან მოვიდა ახალი ხელმძღვანელი და საქმეს გამოცოცხლება დაეტყო.

ი. ღლონტი.

დაუვიწყარი ამხანაგი პ. გობრონიძე

ბოლშევიკურ პარტიას ბევრი თავგანწირული მებრძოლი ჰყავს.

ერთი ასეთთაგანი იყო განსვენებული ამხ. პ. გობრონიძე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე პარტიისათვის ბრძოლაში გაატარა. ის იყო სრულიად უბრალო ადამიანი, მაგრამ მტკიცედ მცოდნე თავისი საქმისა.

ამხ. პ. გობრონიძე იყო ღარიბი გლეხის შვილი ოზურგეთის მაზრიდან, დაბრუნდა რა იგი იმპერიალისტურ ომიდან 1915 წელს სამშობლოში, აქტიურათ ჩაება არალეგალურ რევოლიუციონურ მუშაობაში.

1917 წელს, გააბა რა კავშირი ამხ. ფილიპე მახარაძესთან, ალ. ერქომაიშვილთან, კალანდაძესთან და სხვებთან, პირდაპირ გადავიდა ჯარში ორგანიზაციების მოწყობაზე და შემდეგ აშკარა აჯანყებაზე.

1917 წელს ამხ. გობრონიძე აძლევს ჯარს ვაზნებს და ყუმბარებს და მოუწოდებს საბრძოლველად მენშევიკურ მთავრობის წინააღმდეგ. მენშევიკებისაგან დევნილი გობრონიძე გარბის მაზრაში და იქ აწყობს ექვს კომუჯრედს. არა ერთხელ დასხმიან და აუწიოკებიათ დამქაშ გვარდიელებს ამხ. გობრონიძის ოჯახი.

შემდეგ, ამხ. გობრონიძეს ვხედავთ ისევ ჯარში. ის პარტდავალებით აწყობს ორგანიზაციებს; 1919 წელს ამხ. გობრონიძე მეთაურობს სოხუმის მეორე ლეგიონს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ამხ. გობრონიძე უფრო მეტი ენერგიით და ხალისით შეუდგა თავის საქმეს. მას ვხედავთ საპასუხისმგებლო ადგილზე. სადაც იგი ბოლშევიკური რწმენით ასრულებს პარტიისა და ხელისუფლების დავალებებს.

ამხ. გობრონიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე 1924 წლის ავანტიურისტულ გამოსვლების ლიკვიდაციაში. მან მრავალი ტყვე კომუნარი დაიხსნა მაშინ სასჯელიდან. ამ გამოსვლების დროს დასნეულებული სიცოცხლით სავსე რევოლიუციონერი პ. გობრონიძე გამოეთხოვა სიცოცხლეს.

საქმე—რომელსაც ემსხვერპლა ამხ. გობრონიძე, ჩვენი საერთო საქმეა. რევოლიუციონური პროლეტარიატი მას ღირსეულათ შეასრულებს და ამით უკვდავჰყოფს მის ამხ. პ. გობრონიძის ხსოვნას.

აქ. ერქომაშვილი.

ჭაჭანა ფელეტონი

სენსაცია ბაქოს ნავთზე

„ნავთიანი მიწები, რომელიც რუსეთში ჩამოგვართვეს და რომელთა ექსპლოატაციას აწარმოებენ კომპენსაციის გადაუხდელად, ჩვენ გვეკუთვნის. ვაფრთხილებთ ნავთის ექსპლოატატორებს, რომ ისინი პასუხისმგებელნი არიან ჩვენ წინაშე მათ მიერ გაყიდულ ნავთზე".

(ინგლისელ ნავთის მრეწველთა განცხადებიდან).

მე, ხოზიკა და ულტიმ-ნოტები

ლონდონიდან პროტესტის ხმამ
კვლავ მოალბო ჩემი გული.
მინდა ყოფილ ნავთის მრეწველთ
დაუმტკიცო სიყვარული.
მინდა ძმობაც კი შევფიცო,
ორი სიტყვა უთხრა ტკბილი,
რადგან ამ ჩვენ ხოზიკამა
ყველას გაკრა თავის კბილი.
ის ყოველ წუთს მათზე ფიქრობს
ვერ ისვენებს ვერც დღე ,ღამე,
ანგლიჩანთა ულტიმ-ნოტას
შეაკურთხა ლექსათ რამე.
ხიკსსა ღვინი გააცალა,
ჩემბერლენსა ასწვა ტყავი,
ამ ცხოვრების შუა წყალში
ჩაუძირა ლორდებს ნავი.
მე კი გული აღარ მითმენს,
ვანუგეშო მინდა ყველა,
თავს ბენზინი გადავასხა,
წაუკიდო ცეცხლი ნელა...
სანამ აქში გავახვევდე,
მსურს ვისმინო სიტყვა მათი,
შემდეგ: „პრიამო, ჩერეზ ბაკუ"
„ვუკაჩავო" ტვინში ნავთი.

მრეწველთა გოდება

ორმოციოდე წლის უკან
ხიამით ძგერდა გულიო,
ბაქოში ნავთმა იფეთქა,
ჯიბებს გვივსებდა ფულიო.
„ვიშკა-ვიშკაზე" ავაგეთ,—
შემდეგ ქალაქიც გაშენდა:
სტერლინგში იყო სიცოცხლე,
ჩვენი მზე მით კაშკაშებდა.
მუშებიც მუქთად შრომობდენ,
აღარ ბუნტობდა არავინ.
შემდეგ არ ვიცით რა დედამ—
გაზარდა მათი მფარავი?!.
ძველი დროება შებრუნდა,
ლონდონში დავდგით ფეხიო,
თავზე დაგვატყდა, დაგვეცა,
ბოლშევიკების მეხიო.
მთელი ქონება წაგვართვეს,—
ჩაგვაგდეს შუა წყალშია,
ეხლა იმ დღეთა ხსოვნითა,—
ტვინი გვიხმება თავშია.
წინად კერზონი ამბობდა:
— ბაქოს ნავთს დაგიბრუნებთო.
კრემლის წინაშე დაჭრილ გულს,
გიამებთ, გაგინკურნებთო.
მაგრამ „სულმნათის" სიტყვები
ქარმა წაიღო ქარულად,
ჩვენ კი თვალებზე მოგვადგა
ცრემლები ნიაღვარულად.
ბევრი „პრიკაზი" გავეცით—
ნავთში ეძლიათ ფარაო;
სიტყვა რომ არვინ ისმინა,
დღე უფრო წაგვემწარაო.
ბედმა დაგვჩაგრა, გვიმტყუნა,
თავზე დაგვატყდა რისხვაო,
ღმერთმა მოსკოვთან არ გასჭრა,
ჩვენი წყევლა და კიცხვაო.
თუმც ჩემბერლენი გვპირდება,
ბაქოს გაჩუქებთ ომითო,—
მაგრამ ის ჩვენი სიმდიდრე—
ექსპორტობს კვლავ ბათომითო.

რეცეპტი

ბრიყვნო! თქვენი პროტესტის ხმა,
რომ ვისმინე მეტად მშვიდათ,
თქვენს ტკივილებს ჩემი ლექსი,
წინ გაუდგე გზად და ხიდად.
ყოველ ღამით, სიზმარშიაც
რომ აბოდებთ: ნავთი, ნავთი,
აჰ, მიიღეთ, ფოსტით მოდის
თქვენთვის ტკბილი ამანათი.
ნუღარ სწუხართ, ნუ ხლაფორთობთ,
დაიმშვიდეთ ღელვა—გულის;
ბაქო ბითურს არ მოგაკლებს—
თქვენთვის მარ დაკარგული.
თუგინდ ძველი აქციები,
ატრიალეთ ხელით-ხელში,
ერთ-ორ კრუჟკა მაზუთს მოგცემთ,
ჰა, ჩაისხით გამშრალ ყელში.
მაგრამ ამ ჩვენს ბაქოს ნავთზე
თუ აგიტყდათ კიდევ ხველა,
თავზე ბენზინს გადაგასხამთ,
ცეცხლს გაგიჩენთ ნელა-ნელა.

ჟუჟარა.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ამხ. ფ. მახარაძე ბორჯომში

ბორჯომი, 11 ივლისი. გუშინ ბორჯომში გაიხსნა მუშათა ფართო კონფერენცია, რომელზედაც მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. **ფ. მახარაძე.**

კონფერენციამ დაადგინა მოახდინოს ხელფასიდან ერთპროცენტიანი გადარიცხვა თავდაცვის გასაძლიერებელ ფონდში. (ადს).

„თავდაცვის კვირეული"

ახალციხე, 11 ივლისი. თავდაცვა-ავიაქიმის კვირეულის პირველ დღეს მთელ მაზრაში მოეწყო კრებები და მიტინგები და ჩატარდა ყულაბებით ფულის შეგროვება. გაიმართა აგრეთვე სპორტო სათამაშოებიც. (ადს).

ახალსენაკი, 11 ივლისი. 10 ივლისიდან დაიწყო „თავდაცვის კვირეული". კვირას გაიმართა სეირნობა და ყულაბებით ფულის შეგროვება.

წვიმები

ახალ-სენაკი, 11 ივლისი. ეს მესამე დღეა შეუწყვეტლად სწვიმს. წვიმასთან ერთად ადგილი აქვს ქექა-ქუხილს. და სეტყვას. მდინარეები—ტეხური, აბაშა და რიონი გადავიდენ ნაპირებიდან და ბევრ ადგილას წალეკეს ნათესები.

ადგილობრივი საექსპერტო კომისიები არკვევდენ წყლით გამოწვეულ ზარალს.

აჭარისტანში

ახალი ავტო ხაზი

ბათომი, 11 ივლისი. აგარაკ ქობულეთში „ზაკავტომპრომტორგმა" საზაფხულო პერიოდის განმავლობაში გახსნა ახალი ავტო-ხაზი სადგურისა და სანატორიუმს შორის. ხაზზე მუშაობს ორი ავტობუსი. მოაგარაკეთა სიმრავლის გამო გადაწყვეტილია კიდევ ორი მანქანის მიმატება. (ადს).

წყალსადენის გაფართოება

ბათომი, 11 ივ. წყლის გამტარი ფილტრების შეკეთების გამო ქალაქის აღმასკომი შეუდგა ქალაქის განაპირა უბნებში (ჭაობი, ბარცხანა, ორთა-ბათომი და სხ.) წყლის გამტარი ქსელის გაფართოებას. ქსელის გასაფართოებლად მოსკოვიდან მიღებულია სათანადო მოწყობილობა.

„აზნავთის" მეორე რეისი

ბათომი, 11 ივლისი. მეორე რეისში წავიდა საბჭოთა თბომავალი გემი „აზნავთი". რომელმაც გამბურგში წაიღო 5000 ფუთი ზეთი. „გროზნეფტის" დაბრუნებას პირველი რეისიდან ამ დღეებში ელიან. (ადს).

წერილები

ექიმების კონფერენცია თელავში

9 ივლისს თელავის აღმასკომის შენობაში გაიხსნა მაზრის ექიმების კონფერენცია. ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ჯანმრთელობის განყოფილების საქმიანობა და ექიმების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 2) პროფილაქტიური დღის მნიშვნელობა და მისი გატარება ცხოვრებაში. 3) მოხსენება საექიმო პუნქტებისა ადგილებიდან. 4) კახეთის სამალიარიო სადგურის მოხსენება. 5) წითელ ჯვრის თელავის განყოფილების მოხსენება. 6) მიმდინარე საკითხები.

ერთი წლის უკან, მაზრაში საექიმო დახმარება ძალიან მოიკოჭლებდა. სამი მთავარი რაიონი უექიმოთ იყო და ექიმბაშების ხელში გმინავდა. დღეს ყველა რაიონშია ექიმი, მოგვარდა ხელსაწყოს, ბინის და სხვა საკითხები. ექიმებს მოემატათ ჯამაგირი და მუშაობა გამოცოცხლდა. ეს ყველაფერი მშვენივრათ აღნიშნა თავის მისასალმებელ სიტყვაში მაზრაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ქურციკაშვილმა. მან აგრეთვე სთქვა, რომ ექიმები უკვე ჩაებენ სოფლად საზოგადო მუშაობაში, მართავენ გლეხობაში საუბრებს, ეხმარებიან ადგილებზე აღმასკომებს და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მოხსენებებმა ადგილებიდან. ექიმებმა გადაშალეს სოფლის უმწეო სურათები. კიდევ დიდი ყოფილა მაზრაში ექიმბაშების გავლენა. ზოგიერთ კუთხეებში, მაგალითად პანკისის ხეობაში, ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან ქისტი და ფშავ-ხევსურთა ქალები. ისინი არამც თუ მამაკაც ექიმებს, ქალებსაც ვერ ეჩვენებიან. გავრცელებულია ვენერიული ავადმყოფობანი, სუფევს დიდი უსუფთაობა, მთელი ხალხი მოლების და ექიმბაშების ხელშია.

ექიმები ეხებოდენ ყოფა-ცხოვრების საკითხებს,, როგორც თავისას ისე სოფლისას, აშუქებდენ საბჭოთა მედიცინის ადგილობრივ პირ-ვარამს და იძლეოდენ წინადადებებს საქმის გამოსწორების მიზნით. დიდი ყურადღება მიიპყრო საკითხმა მუცლის მოშლის შესახებ სოფლად, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უკავია ჩვენს ცხოვრებაში და ჩვეულებრივ მოვლენათ გარდაიქცა გლეხის ქალისათვის.

კრების ბოლოს მოსმენილ იქნა ექიმ ბაღდოევის მოხსენება, რომელიც გაგზავნილი იყო მოსკოვში იქაურ საჩვენებელ დისპანსერებში ქლექის შესასწავლად და სადაც მან 6 თვე დაჰყო. კონფერენცია თავის რეზოლიუციაში შეეხო საბჭოთა მედიცინის ყველა მხარეს და გამოიმუშავა ის გეგმა და გეზი, რომლითაც უნდა იარონ მათ. კონფერენციამ გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშები ამხ. კუტაიძეს და საქართველოს ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტს.

ალაზნელი.

სამკითხველო, რომელიც სავსეა სახარებებით

(ზესტაფონი)

არ ეშველა და არა ზესტაფონის საქმეს; აქამდე თუ წიგნის მაღაზიაზე ვჩიოდით, ეხლა იძულებული ვხდებით წიგნსაცავ-სამკითხველოზე ვილაპარაკოთ. სამკითხველოში ექვსამდე შკაფი დგას და სულ რომ გადაჩხრიკო შიგ ორიოდე „მნათობს" თუ ნახავ, თორემ სხვა სულ ნიკოლოზის დროის პერიოდული გამოცემები, ცირკულიარები და სღვთო-სჯულის წიგნებია.

ყოველივე ამას, რომ თავი დავანებოთ, სამკითხველოს გამგე სრულებით არ შეეფერება თავის თანამდებობას, — არ შეეფერება იმის გამო, რომ მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს სამკითხველოს ახალი წესით მოწყობაზე, ხოლო დაუდევრობა იქამდეც კი მიდის, რომ გამგე თავს არ იწუხებს, და უბრალოთაც კი არ ნომრავს წიგნებს. არაა შედგენილი კატალოგი, და არ არის მკითხველთა სარეგისტრაციო წიგნი. ზემოთ-აღნიშნული მდგომარეობა კი იწვევს წიგნების უგზო-უკვლოდ დაკარგვას.

საჭიროა, გაწმენდილ იქმნას სამკითხველო ყველა ძველი მიუღებელი წიგნებისაგან,—შეივსოს ახლით, და შერჩეულ იქმნეს სათანადოთ მომზადებული და შესაფერისი გამგე,

ან-გუ-იან.

წერილებიდან

— **დიდი სეტყვა და მოუსავლობა.** (სიღნაღის მაზრა). 29 ივნისს სიღნაღის მაზრაში დაისეტყვა სოფლები: ბაკურციხე, ვეჯინი, გურჯაანი, მაშნარი და სხვ. განსაკუთრებით მსხვილი სეტყვა მოვიდა სოფ. ბოდბისხევში.

განადგურებულია და მიწასთან გასწორებულია ყანები, ბაღ-ბოსტანი, ვენახები, ზარალის გამოსარკვევად მთავრობის მიერ გამოყოფილია კომისია.

ამას გარდა წელს სიღნაღის მაზრაში დიდი მოუსავლობაა ყვავილების გამო. სხვა წლებში თუ ალაზნის და შირაქის მინდვრებზე უხვი მოსავალი მოდიოდა, წელს არავითარი მოსავალი არ არის. გვალვისაგან აშრეტილ ყანებს მცხოვრებლებმა მთლად მიანებეს თავი, რადგანაც მომკის და ჯაფის ფასსაც ვერ გამოჰრჩებიან. ამრიგად წელს ქიზიყი დამშეულია. მთავრობამ ამ თავითვე უნდა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას.

ჭალარა.

— **დაცვაც ამას ჰქვია.** (უშათის თემი, სენაკის მაზრა). ადგილობრივი კულტურული ძალების მიერ კომკავშირის ხელმძღვანელობით სოფ. ლეკოკაიეში მოწყობილ იქნა დანიელ ჭონქაძის ნაწარმოების „სურამის ციხის" გმირის—ვარდუას გასამართლება. მიუხედავად იმისა, რომ ამ სოფელში გასამართლება პირველი შემთხვევა იყო, მას დიდძალი ხალხი დაესწრო. სასამართლომ ვარდუა დამნაშავეთ სცნო. დამცველებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს, განსაკუთრებით ამ მხრივ თავი შეიწუხა ამხ. მელენტი გოგინავამ, რომელიც არაფერს ერიდებოდა, ოღონდ კი „რიგიანად" გამოელანძღა სასამართლოს ის წევრები, რომლებიც აქტივობას იჩენდენ ვარდუას გამტყუნებაში. ასეთი საქციელი ჩვენს ორგანიზაციას შორს ვერ წაიყვანს, და ავტორიტეტს კი საგრძნობლად დაუცემს.

ამბაკო გოგინავა.

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს სრულ 5 საათზე, შესდგება „კომუნისტი"-ს მუშკორთა ჩვეულებრივი კრება

ვთხოვთ მუშკორებს ნუ დაიგვიანებენ

სურამ-ზინდისი და მათი ავ-კარგი

ამ წერილში მინდა ორიოდე სიტყვით სურამზინდისს შევეხო; ხშირი სტუმარი ვარ სურამის: თუ დასვენების დრო ვიშოვე, ზინდისს მოვაშურებ ხოლმე მიყვარს სურამი, მიყვარს ზინდისი.

უნდა გამოვტყდე და სურამს უპირატესობას ვაძლევ,—ღია, გაშლილი და ლამაზი ადგილია. ჰაერი სუფთა და სასიამოვნო, თვით წვიმიან ამინდში ნაკლები სინესტე, მშრალი ალაგი და, რაც უმთავრესია, ჩემისთანა პროლეტარისათვის ოთახის და სანოვაგის ფასი სხვა საგარაკოზე ნაკლებ იკბინება. ამ ორი წლის განმავლობაში სურამს წარმატებაც ეტყობა. მშვენიერი კოხტა საზაფხულო თეატრი. ამ თეატრის ირგვლივ დიდი მუხნარი ტყე შემოუღობავთ. შიგ პირუტყვი აღარ შედის, ვეღარ აბინძურებს, ტყე გამოცვლილია და ბულვარ-პარკს დამსგავსებია.

ამ ბაღში ხანდახან უკრავს მუსიკა, აქვე ვარჯიშობენ ფეხბურთელები; შენდება ყვავილოვანი ბაღი, ერთი სიტყვით სურამ-ზინდის-იტრია-ბაიანთხევს აქვს დღეს პარკი-ბულვარი. სეზონის ბილეთი ღირს ერთი მანეთი,. ხოლო ერთი ჩასვლა—15 კაპ.

წინეთ სურამში ჯარი მიდიოდა, ამიტომ წინეთ ხალხი მეტი იყო, სიცოცხლე დუღდა, ეხლა ამ მხრივ უფრო სიწყნარეა და ხალხი ნაკლებია. ოთახები კიდევ იშოვება, ფასებიც ზომიერია—20—70 მან. სეზონი. ვისაც დასვენება უნდა, სურამ-ზინდისი საუკეთესო ალაგია.

აკი ამიტომ რკინის გზას აქვს აქ დასასვენებელი სახლი სადგურთან ახლოს, ხოლო პროფკავშირებს დასასვენებელი სახლი გაუმართავთ სოფ. იტრიაში ლამაზი ნაძვნარის ახლოს.

სურამს აქვს ძველი ისტორიული ალაგებიც ვის არ გაუგონია ან არ უნახავს „სურამის ციხე" კინოში. აი ეს ისტორიული ციხე სოფელს ზევიდან გადმოყურებს და ყოველ დღე მრავალ შნახველებს იზიდავს. ცოტა ყურადღებაც უნდა მიექცეს ამ ციხეს. არასურამელი, რომელსაც სურათი უნახავს ეკრანზე, ან ამ ციხის ისტორია წაუკითხავს. თუ სურამში მოხვდა, რა თქმა უნდა, ციხეს უნახავს არ დასტოვებს განსაკუთრებით უცხოელები. ამიტომ არ გვეპატიება ამ ისტორიული ციხის ასე უყურადღებოდ დატოვება. ყოველ შემთხვევაში სისუფთავის დაცვა ყოველი მოქალაქის ვალია. ამ ახლად მოზიდულ დიდ ბულვარში უსათუოდ უნდა მოეწყოს მზის აბაზანებისათვის ალაგი და ამიტომ სურამმაც გამოვიყენოთ ჯანმრთელობისათვის.

სურამ-ზინდისი და მათი არე-მარე ვერაა ტყით მდიდარი. წინეთ ყოფილა ტყეები ირგვლივ, მაგრამ შეუბრალებელ ადამიანს ეს ტყეები გაუნადგურებია. და დღესაც არ ინდობს მას, თუ სადმე დარჩენილა, ეს ტყე, ეხლაც უმოწყალოთ ანადგურებენ. ადრევეა ყურადღების მიქცევა საჭირო ამ მთლიანი ტყისათვის. უნდა გაუფრთხილდეთ საზოგადო ტყეებს, რომ შევუნარჩუნოთ სურამსა და მის არე-მარეს ლამაზი მიმზიდველი ბუნება.

ძველი მუშა.

თავდაცვა და ავიაქიმი

(წერილი ტყიბულიდან)

წელიწად ნახევარია, რაც ჩამოყალიბდა თავდაცვისა და ავიაქიმის საზოგადოება ტყიბულის რაიონში. პირველ ხანებში ამ საზოგადოების მუშაობა მოისუსტებდა ,რაც გამოწვეული იყო ნაკლებ ხელმძღვანელობაში სათანადო ორგანოებისა და ადგილობრივ ორგანიზაციების უყურადღებობის გამო.

დღეს ეს ნაკლი გამოსწორებულია ნაწილობრივად ამ საზ-ბაში პარტორგანიზაციის ჩაბმით. საჭიროა კიდევ მეტი ენერგია, რათა ტყიბულის რაიონის მუშათა მასების 60 პროც. მაინც გავაერთიანოთ აღნიშნულ საზ-ში, რაც საწინდარი იქნება თავდაცვისათვის.

აგრეთვე საჭიროა ქუთაისის საბჭომ მეტი მჭიდრო კავშირი იქონიოს ტყიბულის საბჭოსთან, რომელიც მუშაობას გააცხოველებს და ამ მიზნით ადგილობრივმა საბჭომ თავის მუშაობაში გლეხობაც ჩააბას.

ამას მოითხოვს დღევანდელი მიმდინარე პოლიტიკური მომენტი.

დ. ჟუფარაძე.

მოგვეცით სპეცტანისამოსები

(ტყიბულის მაღაროებში)

ტყიბულის მაღაროებში ხანძარის შემდეგ ზოგ ადგილებზე, მაგ., დასავლეთ უბნის კარიერზე კვლავ სწარმოებს მუშაობა. მაგრამ ვაი ასეთ მუშაობას. მუშები მუშაობენ ცეცხლში, არა აქვთ შესაფერი სპეცტანსაცმელი, რითაც ცუდ მდგომარეობაში არიან. 50-მდე მუშა კარიერზე ცეცხლში მუშაობით დამზღვევი სალაროს ხარჯზეა, რადგან ხშირია ფეხის დაწვა, თვალების დაავადმყოფება (სათვალეები არაა) და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულს საჭიროა ადგილობრივმა ორგანოებმა მიაქციონ ყურადღება და აიძულონ ადმინისტრაცია დააკმაყოფილოს მუშები კუთვნილი სპეცტანსაცმელ-ფეხსაცმელებით, თორემ ერთის მხრით ნაყოფიერებაც ნაკლებია და დამზღვევი სალაროც ზარალობს.

მუშკორი ნიალვარო.

საყურადღებო წვრილმანები

— **ვინ გააღვიძებს.** სადგ. ყარაიაზის საქაჩავის მემანქანეს ილია გორჯოლაშვილს მეტ წილად სძინავს, მუშაობა კი მის თანაშემწეს აწევს კისერზე. ვინ გამოაღვიძებს.

ლიაპისი.

— **გააწმენდიეთ საკვამური.** მალაკნის ქუჩაზე მდებარე № 34 სახლის პატრონი არ სწმენდავს საკვამლე მილებს. ამის გამო ჩნდება ხანძარი.

ცეცხლის მქრობელ რაზმის მეთვალყურევ, მიაკითხე ამ სახლს.

ნაზალა.

— **გვიხსენით სიბინძურიდან.** ლენინის უბნის და რკინის გზის მთავარ საწყობის ნაპირას მთავარ სახელოსნოებიდან ჰყრიან ნაგავს, წვიმის დროს ნაძალადევის მთებიდან ჩამოსული წყალი ვეღარ პოულობს გასავალს დაგროვილი ნაგვის გამო, სადაც გუბდება წყალი, რომელიც საშინლად ყარს და სწამლავს ჰაერს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ უბანს წყალსადენები არა აქვს და მცხოვრებნი ხმარობენ ოჯახის საჭიროებისათვის ამ აყროლებულ და დაგუბებულ წყალს.

საჭიროა სასწრაფოთ მიექცეს ამას ყურადღება, სანამ რაიმე სენი გაჩნდებოდეს ამ უბანში.

იაგორ ტორიკაშვილი.

— **ასე არ ვარგა,** ორშაბათს, 4 ივნისს საბჭოთა და სავაჭროთა კავშირის საზაფხულო ბაღში გაიმართა ლევ ობორინის კონცერტი. ხალხი ჩვეულებრივზე მეტი დაესწრო, კლუბის წევრებზედაც ფასიანი ბილეთებით იყო შესვლა, სადაც კერძო პირი იხდიდა 70 კაპ., იქ კლუბის წევრი 20 კაპ. მხოლოდ, როცა სალამო დაიწყო, კერძო პირებს მისცეს დასაჯდომი ადგილი, კლუბის წევრები კი ყველა ფეხზე იდგა.

საჭიროა ეს ნაკლი კლუბის გამგეობამ გამოასწოროს.

მუშკორი ალ. გვ—ძე.

მუშათა ქრონიკა

— **უვარგისი ტარები.** გურჯაანის სადგურის საწარმოო კომისიამ მიმართა სამასალო განყოფილებას, რათა მომავალში აღარ იქნას შეძენილი იარაღისთვის წიფლის ტარები და შეძენილ იქნას შინდის ან რცხილის ტარები, რომლებიც დიდ ხანს სძლებენ.

— **ცუდი მოპყრობა იარაღისადმი.** იგივე კომისია მიმართავს მე-14 უბნის ხაზის ადმინისტრაციას, სასტიკი ზომების მისაღებათ იმ მუშების წინააღმდეგ. რომლებიც შეჩნეული არიან იარაღისადმი ცუდათ მოპყრობაში.

— **ღია ვაგონები დახურულის ნაცვლად.** იგივე კომისიამ მიმართა წევის დარგს. რათა ხრეშის გადმოსაზიდათ ნაცვლათ დახურული ვაგონებისა ვაიგზავნოს ღია,-რითაც ხარჯი შემცირდება.

— **გარბენის გადიდებისათვის.** სად. ქუთაისის საწარმოო კომისია შუამდგომლობს ექსპლოატაციის სამსახურის წინაშე. სად. რიონზე უმიზნოთ მატარებლების რამდენიმე საათობით დგომის აღმოსაფხვრელად.

ჩვენი ფოსტა

— თბილისში—მოწმეს: თქვენი განცხადება გადაეგზავნა თბ. აღმ. ჯანმრთელობის განყოფილებას სათანადო ზომების მისაღებათ.

საქართველოს მშრომელთა პასუხი

ბანდიტ მენშევიკებს

ჩვენი პასუხი

5 ივლისს შესდგა მე-4 ქართ. მსროლელ ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლის საერთო კრება. კრებამ მოისმინა მოხსენება ქართულ მენშევიკური ემიგრაციის მოქმედების შესახებ.

დამსწრეებში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია „სადირექტივო" წერილის იმ ადგილმა, სადაც ლაპარაკია ქართულ წითელ ჯარზე...

იყო უამრავი შეკითხვები, ყველა შეკითხვებში გამოიხატებოდა ზიზღი და აღშფოთება მენშევიკების მოქმედებით.

მოხსენების შემდეგ უპარტიო უმცროს მეთაურების სახელით შემოტანილ იქნა ორი რეზოლიუცია, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ მენშევიკების იმედები, დამყარებული წითელ ჯარზე, ფუჭეა, რომ წითელი ჯარი, როგორც ერთი კაცი იარაღით დაიცავს მშრომელთა ხელისუფლებას —საბჭოთა ხელისუფლებას და ისეთივე პასუხს გასცემს ავანტიურ ყოველგვარ ცდას, როგორც 1924 წ. აგვისტოში გასცა.

რეზოლიუციებისათვის კენჭის ყრის დროს ერთმა კურსანტმა დაიძახა:

—„ერთი რეზოლიუცია:—ჟორდანიას, მეორე—რამიშვილს"-ო.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ კრება დაიშალა ინტერნაციონალის სიმღერით.

რეზოლიუცია

მიღებული მეოთხე ქართულ მსროლელ ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლის მსმენელების საერთო კრებაზე.

(რეზოლიუცია შემოტანილია სკოლის უფროს ამხ. სიმონ იაშვილის მიერ).

„მე-4 ქართ. მსრ. ლეგიონის სკოლის საერთო კრება, მოისმინა რა მან მოხსენება მენშევიკურ ემიგრაციის მოქმედების შესახებ, გამოსთქვამს საშინელ ზიზღს ემიგრაციის წინააღმდეგ, რომელიც მთლიანათ იმყოფება ბურჟუაზიის ბანაკში და თავის მოქმედებით ეხმარება იმპერიალისტებს, რათა ყელში წვდენ მშრომელთა ერთად-ერთ სახელმწიფოს და ამით ბოლო მოუღონ ჩვენს ინტენსიურ სოციალისტურ მშენებლობას.

საერთო კრება ხმამაღლა აცხადებს, ბანდიტ-მენშევიკების საყურადღებოდ, რომ ისინი ტყუილათ ამყარებენ იმედებს ქართულ მუშურ-გლეხურ წითელ არმიაზე, რომელმაც აქამდის მრავალ მტრებს მოუგრიხა კისერი და მომავალშიც ხიშტზე წამოაგებს თავზე ხელაღებულ ავანტიურისტებს.

ჩვენ ერთხელ კიდევ ვაძლევთ სიტყვას მთელს მშრომელებს, რომ მათი მშვიდობიანი შრომა დაცული იქნება ჩვენის მკერდით.

გაუმარჯოს მშრომელთა პირმშო შვილს და რევოლიუციის ფხიზელ დარაჯს წითელ-არმიას!

ზიზღი დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებს და მათ ლაქიებს მენშევიკ-ემიგრანტებს".

სამხკორი ტელეგრაფი.

ჭიათურის ინტელიგენციის ხმა

ჭიათურის აკადემიური თეატრი გაჭედილია ინჟინრებით, ექიმებით, მასწავლებლებით და სხვა პროფესიის ინტელიგენციით. ასეთი კრება პირველად ხდება ჭიათურაში და ამიტომ ყველანი დაინტერესებული არიან.

კრება გახსნა პარტკომის მდივანმა ამხ. გ. მათითაშვილმა, რომელმაც შემდეგი სიტყვებით მიმართა დამსწრეთ:

„ჩვენ, ამ კრების ინიციატორები, დარწმუნებული ვართ, რომ ჭიათურის ინტელიგენცია ისე, როგორც მთელი საქართველოს ინტელიგენცია სათანადოთ შეაფასებს, როგორც საერთაშორისო მდგომარეობას, ისე იმ ცდებს ახალი ავანტიურის მოწყობისას, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოდან გადახვეწილ მენშევიკების ბანაკიდან.

შემდეგ ამხ. **პროკოფი მეგრელიშვილმა** გააკეთა ვრცელი მოხსენება და გააშუქა დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობა, შინაური მდგომარეობა და კერძოდ შეეხო ქართველ ემიგრაციის ხელმძღვანელთა ცდას მოაწყონ ახალი ავანტიურა.

მოხსენების მოსმენის შემდეგ სიტყვებით გამოვიდენ ინტელიგენციის წარმომადგენლები.

მეტად დიდი შთაბეჭდილება დასტოვა **იასონ ბაქრაძის,** ამ ძველი მოღვაწის და დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნების გამოსვლამ. ი. ბაქრაძემ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რატომ უნდა იყონ საქართველოს მუშები და გლეხები რუსეთის მშრომელებთან ერთად და დაჰგმო ანტისაბჭოთა ელემენტების ავანტიურისტული პოლიტიკა.

ინჟინერმა **ბოგაშამ** მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები საქართველოს, ამ.-კავ. და რუსეთის ცხოვრებიდან, რომლებითაც თვალსაჩინოთ გადაუშალა კრებას საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ელექტროფიკაციის, წარმოების აღორძინების და ქვეყნის ეკონომიურად აყვავების დარგში. მან თავისი სიტყვა დაასრულა ასე: „ჩვენ ინჟინრებს და ტეხნიკოსებს არ შეგვიძლია ამ ფაქტების შემდეგ მთელი ჩვენი ენერგიით არ ვიყოთ საბჭოთა ხელისუფლებასთან".

ექიმმა ფალავამ აღნიშნა უდიდესი მიღწევები ხალხის ჯანმრთელობის დაცვის დარგში, მოიყვანა ფაქტები და მრავალი მასალები იმისა, თუ რის გაკეთება შესძლო საბჭოთა ხელისუფლებამ და რის გაკეთებაც შეუძლებელი იყო სხვა ხელისუფლების დროს.

მან ასე დაასრულა თავისი სიტყვა: „ჩვენ არ გვსურს ომი, მაგრამ თუ მაინც მოახდენენ თავდასხმას ჩვენზე, მაშინ წითელი მეომრები ჩვენგან ყოველთვის უნდა მოელოდენ გულწრფელ და ენერგიულ დახმარებას".

მასწავლებელმა **ბარათაშვილმა** ხაზი გაუსვა იმ დიდ მიღწევებს, რომელიც აქვს საბჭოთა ხელისუფლებას კულტურულ დარგში, განსაკუთრებით შეეხო სწავლა-აღზრდის საკითხს. მან სთქვა: „სწავლა-განათლება არასოდეს არ ყოფილა იმ დონეზე, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროს არის. ჩვენ გვსურს მშვიდობიანი მუშაობით წინ წავსწიოთ საქართველო კულტურულად და გონებრივად. მასწავლებლობა თავიდანვე იყო და ეხლაც ერთგულად იდგომება მშრომელი ხალხის სადარაჯოზე".

მეტად საინტერესო სიტყვით გამოვიდა მასწავლებელი ქალი **მარგარიტა ვაშაძე,** რომელმაც ასე დაასრულა თავისი სიტყვა: „რც ერთი მშრომელი ქალი არ უნდა იყოს საბჭოთა აღმშენებლობის გარეშე. საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ—აი, ჩვენი გზა".

ბანკის დირექტორმა **თარხნიშვილმა** აღნიშნა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ფინანსიურ დარგში და მოაგონა კრებას მენშევიკების დროინდელი მდგომარეობა, როდესაც ყველა „მილიონერები" ვიყავით და ამავე დროს სიმშილით სული გვხდებოდა.

მეტად საინტერესო სიტყვები წარმოსთქვეს **შაქრო ვაშაძემ** და **ორბელიანმა,** რომლებიც შეეხენ საქართველოს ორიენტაციის საკითხს და განაცხადეს, რომ საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები მოითხოვენ კავშირის სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან და, რომ ანტისაბჭოთა ელემენტების აგიტაცია წარმოადგენს დამღუპველ პროვოკაციას.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ძველ რევოლიუციონერ **სერაპიონ სიხარულიძის** გამოსვლამ. მენშევიკები საზღვარგარეთიდან გვწერენ,—ამბობს ის,—დაამარცხეთ ბოლშევიკები, დააპატიმრეთ ისინი,—დაამარცხეთ ჯარი; აიღეთ ძალაუფლება; შეადგინეთ მთავრობა; შემდეგ ჩვენ დავბრუნდებით და ჩაგვაბარეთ ტახტიო. ჩვენ კი მათ ვეუბნებით: არაფერი საერთო გვაქვს თქვენთან. ჩვენ ვიბრძოლებთ, მაგრამ არა თქვენი ზრახვების განსახორციელებლად, არამედ იმპერიალისტებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ.

კრება დაიხურა მქუხარე ხანგრძლივი ტაშით, რომელიც გამოიწვია საპროტესტო რეზოლიუციის გამოქვეყნებამ.

ხშირათ ასეთი კრებები.

დამსწრე.

რეზოლიუცია

მიღებული ჭიათურის ინტელიგენციის კრებაზე

„ვითვალისწინებთ რა, რომ ომი შეიწირავს მრავალ მსხვერპლს, გაანადგურებს ხალხთა ავლა-დიდებას, გამოიწვევს მშრომელი ხალხის ეკონომიურად დაქვეითებას და მისი მდგომარეობის გაუარესებას, რომ ომი შეაფერხებს მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას და საზოგადოთ უკან დასწევს კაცობრიობის ცივილიზაციას, რომ ის ხელს შეუშლის საბჭოთა ხელისუფლების ნაყოფიერ მუშაობას, მის სამშენებლო მოღვაწეობას და ხალხთა წინსვლას სოციალიზმისაკენ,—გამოვსთქვამთ ჩვენს გულწრფელ აღშფოთებას იმათ წინააღმდეგ, ვინც ქვეყანას უმზადებს განადგურებას ომის სახით ან ხალხის მოწოდებით არეულობისაკენ და მზათ ვართ მხარში ამოუდგეთ საბჭოთა ხელისუფლებას და მთელი ჩვენი ძალღონით, ცოდნით, გამოცდილებით და გავლენით ხელი შეუწყოთ, როგორც საერთაშორისო მშვიდობიანობას, ისე შინაურ ერთსულოვნებას და ხალხის თანამშრომლობას ხელისუფლებასთან. ხოლო თუ მაინც განხორციელდა ბურჟუაზიული სახელმწიფოთა წადილი და დაიწყო ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩვენ მზად ვართ თავდაუზოგველად წინააღუდგეთ მტერს და ჩვენი წვლილი შევიტანოთ საბჭოთა კავშირის გამარჯვებაში.

კრების პრეზიდიუმი: სერ. სიხარულიძე, იასონ ბაქრაძე, ალ. გრიგორაშვილი, სერგო ხუნდაძე, რებეკა ვაშაძე.

ჰიდრო-ელსადგურების მშენებლობა

შეკვეთები რიონჰესისათვის

ს. მ. უ. ს. ელექტროფიკაციის განყოფილებაში ამჟამად ამუშავებენ რიონის ჰიდრო-ელსადგურისათვის საჭირო მოწყობილებების სიას. სია გადაგზავნილი იქნება ა. კ. ვაჭრობის კომისარიატში, რომელიც სიაში აღნიშნულ მოწყობილებებს შეიძენს საზღვარგარეთ.

გამოწერილია ორი გამაძლიერებელი ტრანსფორმატორი, რისთვისაც გადადებულია 90.000 დოლლარი; საამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო მექანიკური მოწყობილობანი ღირებული 153. 8000 დოლლარათ და სხ. სულ რიონის ჰიდრო-ელსადგურის საჭიროებისათვის გამოწერილია 35. 3.628 დოლლარის მოწყობილობა.

აჭარის წყალის ჰიდრო. სადგურისათვის

აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის საჭიროებისათვის გამოწერილია 2 გამაძლიერებელი ტრანსფორმატორი, ენერგიის გადამცემი ქსელის მოწყობილობანი, 8 ამპერ-მეტრი, 8 ვოლტმეტრი, ორი სამი ათას ძალიანი გენერატორის მოწყობილობა და სხ.

აბაშის სადგურისათვის

აბაშის ჰიდრო-ელსადგურის საჭიროებისათვის საჭირო მოწყობილობები უკვე დიდი ხანია შეკვეთილია. შეკვეთილი მოწყობილობების ნაწილი მიღებულია და დანარჩენს მოელიან ახლო ხანში.

ამჟამად შეკვეთილია აბაშიდან ელექტრო-ენერგიის გადამცემი ქსელისათვის საჭირო მავთულები, ანძები და სხვა მოწყობილობა.

ფასების დაკლების შედეგები

(ცნობები პირველ ივნისისათვის)

ა. კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქართველოს რწმუნებულის საქართველოში ჯამი გაუკეთეს საცალო ფასების დაკლების მთელს საქართველოში და შემდეგი სურათი მიიღეს:

1 ივნისისათვის საცალო ფასები დაკლებულია **თბილისში:** მანუფაქტურაზე—12 პროც., ლითონის ნაწარმოებზე 9,5, სილიკატებზე—14,4 პროც., ტყავეულზე—9,1 პროც., ფეხსაცმელზე—11,8 პროც., საკვებ პროდუქტებზე—10.8.

სამრეწველო საქონელზე, რომელიც საერთო ბრუნვის 65 პროც შეადგენს ფასები დაკლებულია—11,2 პროც.; საკვებ პროდუქტებზე, რომელიც საერთო ბრუნვის 35 პროც. შეადგენს—10,8 პროც.

მანუფაქტურის ფასი დაკლებულია მრეწველობის ხარჯზე—3,8 პროც., კოოპერაციის და სახ. ვაჭრობის ხარჯზე—7,9 პროც., ფეხსაცმელის ფასი: მრეწველობის ხარჯზე—5,6 პროც., კოოპერაციის ხარჯზე—7,1 პროც.

საშუალოდ თბილისში ფასები დაკლებულია 10 პროც.

დიდ ქალაქებში (ბათომი, სოხუმი, ფოთი და ქუთაისი) ფასები დაკლებულია: მანუფაქტურაზე—11,8 პროც., ლითონის ნაწარმოებზე—7,1 პროც., სილიკატებზე—18,5. ფეხსაცმელებზე და ტყავეულზე—13,6 პრ., დანარჩენ სამრეწველო საქონელზე—7.8 პროც., საკვებ პროდუქტებზე—4 პროც.

სამრეწველო საქონელზე, რომელიც საერთო ბრუნვის 70 პრ. შეადგენს. საცალო ფასები დაკლებულია 9,1 პროც., სასოფლო სამ. ნაწარმოებზე—(საერთო ბრუნვის 30 პროც.)—6,5 პრ.

მანუფაქტურის ფასი დაკლებულია მრეწველობის ხარჯზე—3.6 პროც.. კოოპერაციის ხარჯზე—7,7 პრ. საშუალოდ დიდ ქალაქებში ფასები დაკლებულია—7.5 პრ.

დანარჩენ ქალაქებში ფასები დაკლებულია: მანუფაქტურაზე—9.8; სილიკატებზე—15,8 პრ., ლითონის ნაწარმოებზე—9,1 პრ.; ფეხსაცმელზე და ტყავეულზე 11,7 პროც., დანარჩენ სამრეწველო საქონელზე—6,9 პრ., საკვებ პროდუქტებზე—5,9 პრ.; სამრეწველო საქონელზე (საერთო ბრუნვის 70 პროც.) დაკლებულია ფასები 8,5 პრ., სასოფლო სამ. საქონელზე (საერთო ბრუნვის 25 პრ.)—4,9 პრ.

მანუფაქტურის ფასი წარმოების ხარჯზე დაკლებულია 3,6 პროცენტით, კოოპერაციის ხარჯზე—6,2 პროც.

საშუალო ფასების დაკლება უდრის 7,1 პროცენტს.

სოფლებში ფასების დაკლება უდრის: მანუფაქტურაზე—10,9 პროც., ლითონის ნაწარმოებზე 9 პროც., სილიკატებზე 12,3 პროც., დანარჩენ სამრეწველო საქონელზე—5,9; საკვებ პროდუქტებზე—6,8 პროც., სამრეწველო საქონელზე (საერთო ბრუნვის 70—75 პროც. ფასები დაკლებულია 10 პროც., სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებზე (საერთო ბრუნვის 15—20 პროც.)—6,0 პროც.

ფასების საშუალო დაკლება სოფლებში უდრის 6,7 პროც.

კოოპერაციაში საცალო ფასების დაკლება მოხდა დაგროვების ხარჯზე. რომ ფასების დაკლების დარგში მოპოვებული შედეგები შენარჩუნებული იქნეს აუცილებლად არის ცნობილი, რომ კოოპერაციის აპარატის რაციონალიზაცია და ზედმეტ ხარჯების შემცირება, თანახმად შრომის დაცვის საბჭოს დირექტივისა, საჩქაროდ და მაქსიმალურად ჩატარდეს.

საქართველოს ნავთსადგურებში

ბათომის ნავთსადგურის ტვირთბრუნვა

უკანასკნელ ხანებში საიმპორტო საქონლის ტვირთბრუნვა ბათომის ნავთსადგურში შემცირდა, მიუხედავათ ამისა, ნავთსადგურის საერთო ტვირთბრუნვა უკანასკნელ თვეებში გაიზარდა. მაგ., გასულ თვის განმავლობაში შემოტანილია 2.236.799 კილო საქონელი და გატანილია 139.232.434 კილო სხვადასხვა საქონელი, შემოტანილია უმთავრესად მანქანები, დაზგები, ინსტრუმენტები, იარაღები და მოწყობილობა „აზნავთი"-სთვის და სასოფლო-სამეურნეო იარაღები „ზაკსელმაშ"-ისთვის. გატანილია ნავთის პროდუქტები და ხე-ტყის მასალა. ერთი თვის განმავლობაში მოვიდა 38 გემი, და გავიდა 46 გემი.

ამხ. ე. ი. მელიქ-ათარბეგოვის დაკრძალვა

გუშინ, თბილისში დაკრძალეს გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს თანამშრომელი, აქტიური პროფესიონალური მუშაკი და თბილისის საბჭოს წევრი ამხ. ე. ა. მელიქ-ათარბეგოვი. დაკრძალვას მრავალი ხალხი დაესწრო. „ზარია ვოსტოკა"-ს რედაქცია თითქმის მთელი შემადგენლობით გამოცხადდა, იქვე იყო „კომუნისტი"-ს და სხვა გაზეთების თანამშრომლები, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ცენტრალური ბიუროს ყველა წევრები, განსვენებულის ნათესავები, ამხანაგები და მეგობრები.

საფლავზე გამოსათხოვარი სიტყვებით გამოვიდა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ს რედაქციის წარმომადგენელი ამხ.ლ. მაირანოვსკი, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ცენტრალურ ბიუროს წევრი ამხ. ხ. ჯაფარიძე, მუშკორთა წარმომადგენელი და სხვები.

მიცვალებულის პატივსაცემლათ საფლავი შეამკეს მრავალრიცხოვან ყვავილებისაგან გაკეთებულ გვირგვინებით.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ბევრ ორგანიზაციას, სადაც ამხ. ე. ათარბეგოვს კარგათ იცნობდენ, გადაწყვეტილი აქვთ ცოცხალი გვირგვინის ნაცვლად მიცვალებულის ხსოვნის აღსანიშნავათ შეწირულება შეიტანოს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაშენებელ ფონდში,

ავაშენოთ თვითმფრინავი



ამხ. მიხა თურქიას გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ პირებს: გოლეთიანი არტიმონ (სახ. სამეურ. ბანკის დირექტორი ქუთაისში), პურაძაშვილი—(სახელმწიფო ბანკის დირექტორი ქუთაისი), ზერაქიშვილი—(კომუნალური ბანკის დირექტორი ქუთაისი), ალვაძე ალიოშა—(„ტრანსპორტის" გამგე ქუთაისი), ინჟენერ გიორგი თუმანოვი, ყორონაშვილი საშა, ქუთათელაძე პლატონი, მაჭავარიანი ილია, საჯაია თამარა, კალანდაძე ვალოდია, ფოფხაძე სპირიდონ, გოგეშვილი არსენი, კილაძე დავით, კაკაბაძე ნოე ჭუმბურიძე თეიმურაზ, დევდარიანი გიორგი და ოსიკო, (ძმები), სხირელი ლევან, კუკულავა ალექსანდრე, ვაშაყმაძე იოსები, ბაქრაძე მიხა, ჭანჯღალაძე ლადო, ჯიბლაძე ვასო, გურულიშვილი ვასილ, ციბაძე ვარლამ, კალანდაძე კაპიტონ, ნადარეიშვილი ლადო, გვასალია იუსტინე, გეგია ნესტორ (სამტრედია) ჭყონია კალე, ქუთათელაძე ალექსანდრე (სამტრედია), სიხარულიძე ტიტე, კვანტალიანი ვასილ, სტურუა ილარიონ, მამალაძე ალექსანდრე, მინდაძე სევერიანე, ჩიტაიშვილი ლევან, იწკირველი გრიგოლი, ერუშკოვსკი ივანე, კუდუხაშვილი, კაკაბაძე ლავროსი, ძველაია ბარნაბა, პაპავა საშა; ექიმებს: ჩეჩელაშვილი დავით, გრიგოლაშვილი გიორგი, კვიციანიძე ილია, ლორთქიფანიძე, ვალერიან, პოლუმორდვინოვი კოლია, ლოსაბერიძე ევსევი, აფთიაქის გამგეებს: კალანდაძე პავლე, შვანგირაძე იასონ, კანკავა ვლადიმერ, ახვლედიანი ევტიხი, ბეგაროვი სიმონი, გრიგორაშვილი იასონ, კახიანი ლადიმერ, მხეიძე არქიფო, ზვონბაია აქვსენტი, ვექილები: ახვლედიანი ანტონ იასონისძე, არდიშვილი ვარლამ ალექსისძე, ბოჭორიშვილი გაბრიელ სამსონისძე, ბურჯანაძე ამბერკი ბესარიონისძე, გამყრელიძე სამსონ იოთამისძე, გრიგოლია ლონგინოზ ერასტისძე, თუთბერიძე ერასტი სიმონისძე, იამანიძე ნესტორ მათესძე, იობიძე ამბროსი სამსონისძე, ლოლაძე ბარნაბ მიზარბეგისძე, მეძმარიაშვილი სევერიანე ანტონისძე, მაჭავარიანი თომა სამსონისძე, ნოჟარაძე იასონ ნიკოლოზისძე, საყვარელიძე ალექსანდრე სიმონისძე, ფალავა მელქისედეკ გრიგოლისძე, ქუთათელაძე ევგენი სოფრომისძე, ღოღობერიძე სევერიანე ნიკოლოზისძე, ჩიქვაიძე კალისტრატე ნიკოლოზისძე, ხარაიძე ქსენეფონტე იოსებისძე, ყვანია ივანე ლავრენტისძე.

ამბერკი ურუშაძე.

ამხ. გიორგი არჩუაშვილის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდისათვის შემომაქვს სამ-სამი მანეთი და ვიწვევთ იუსტიციის იმ მუშაკებს, რომელნიც გამოწვეულნი არ ყოფილან.

შემოწირულების აკრეფის ხელმძღვანელობა დაეკისროს იუსტსახკომთან არსებულ ადგილკომს.

ვალიკო სუფსისპირელი, ბაქო მოისრაფიშვილი.

ნინა (ძაძუ) კალანდაძეს და იასონ ფირცხალავას გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ხუთი (5) მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს თბილისის სახკინმრეწვიდან გრიგოლ არუსტანოვს, ვალოდია კვირიკაძეს, ამბროსი თითბერიძეს, გრიშა რობაქიძეს, საშა პეტრეიკოს, ვართან დარჩიევს, პეტია პეტროსიანს, ერასტი ჩაჩიძეს, იონა ჩაჩიბაიას, რაჟდენ ღვამიჩავას, ჯვებე დანელიას, ვანიჩკა გაჩავას, ვანო ალიაშვილს, იული მართოტის, დათიკო ხალაჟაიას, ზ. ზორინოვეცს, ვასია დოლენკოს, გიორგი დოლიძეს, აკოპ სარვაზიანს, ვ. სიდამონ-ერისთავს, გოგია ლორთქიფანიძეს და ილიკო სტურუას.

ბიკენტი ნადარეიშვილი.

ქართ. საარტილერიო ლეგიონის უფ-პოლიტ ადმ-მედ-წითელარმიელთა შემადგენლობას შემოგვაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად 228 მან. და 65 კ. და ვიწვევთ პირველ ქვ. ლეგიონის და ცხენოსან ლეგიონის მთელ შემადგენლობას.

№ საარტ-ლეგიონის თ. ხ. ს. და ავიაქიმის ბიურო.

ამხ. იაშა მესხის და გერცელ ბააზოვის გამოწვევის თანახმად „თბილისის პროლეტარიატის" ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: დათიკო გაგუას, ბაჭუა კუპრაშვილს, ივლიანე გაბუნიას, დიმიტრი გაბაშვილს, ევგენი არჩუაძეს, ვიქტორ იმედაშვილს, ნიკო ჭელიძეს, ოლღა ლეჟავას და რეზო ციციშვილს.

ლუბა გოცირიძე.

თბილისის საყუდის საორთქმავლო უჯრედს შემოაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" ასაგებად 70 მან. (სამოცდაათი მანეთი) და იწვევს შემდეგ უჯრ.: საყუდის საორთქმავლო ფარეხის უჯ., რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს ამკრეფ სამქროს, საქვაბო სამქროს და სახარატო სამქროს უჯრედებს, რკინი გზის სამმართველოს უჯ., საშემოსავლო დარგის უჯრედს, მოძრაობის დარგის უჯრედს, ზაკ. ტ. პ. ო-ს უჯრედს, მო—2—უჯრედს, სადგურ თბილისის სატრანსპორტო პოლიტ-სამმართველოს უჯრედს.

საყუდის საორთქმავლო კომ-უჯრედის ბიურო.

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის" სასარგებლოდ შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: (დუშეთიდან) დ. ელენტს, ლ. სუჯაშვილს, ს. ნათაძეს, მ. აფციაურს, ლ. ჭიჭინაძეს, გ. შიუკაშვილს, (ყაზბეგიდან) გიორგი ღუდუშაურს, სოკრატ მგალობლიშვილს, ვარლამ ხუციშვილს, კოპალეიშვილს, ნორაკიძეს, ცხადაიას; მარკოზ ალიბეგაშვილს, დ. გიგაურს, დედაბრიშვილს.

ისიდორე ოდიშვილი.

დღეს შემოვიდა 319 მ. 65 კაპ.—სულ წინეთ შემოსულთან ერთად—4.089 მან. 58 კაპ.

შემოწირულება მიიღება „კომუნისტი"-ს კანტორაში—რუსთაველის გამზირი 34 —დილის 9 საათიდან შუადღის 4 საათამდე.

სახკომსაბჭოში

მიწსახკომის კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცება

სახკომსაბჭომ დამტკიცა მიწსახკომის კოლეგიის შემადგენლობა შემდეგი სახით: ამხ. ა. გეგეჭკორი (თავმჯდომარე), მ. ძამანაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), პსიტიშე (დაწინაურებული გლეხი), ნ. ბახტაძე, კ. კაკაბაძე, ნ. კალატოზოვი და ადიკაშვილი. მიწა-ტყის კავშირის წარმომადგენელი შედის კოლეგიაში სათათბირო ხმებით.

შინსახკომთან არსებულ ცენტრ. განამაწესრიგებელ კომისიის შემადგენლობის დამტკიცება

სახკომსაბჭომ დაამტკიცა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატთან არსებულ ცენტრალურ განმანაწილებელი კომისიის წევრთა სია შემდეგი სახით: ამხ. ბუჯიაშვილი (თავმჯდომარე), ლუკაშევიჩი, ბურკაძე, იამვილი, იტრიევი, (მ. გ. ინსპექცია), ხოშტარია (პროფკავშირის საბჭო), შურღაია, ბეჟანოვი, ლეკვეიშვილი და უსტიუჟანინოვი,—სათათბირო ხმით ამხ. გაბუნია, შუმილინი და ხიხაძე.

შეღავათების მინიჭება

სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილების პროექტი ომისა და შრომის ინვალიდებისა და სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფ გლეხებისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ.

ახალი განყოფილებების მოწყობა მიწსახკომთან 1927—28 წლიდან

ფინსახკომის დასკვნის თანახმად სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო მოეწყოს მიწსახკომთან შემდეგი ახალი განყოფილებები და დაწესებულებები: სამობილიზაციო განყოფილება, საგეგმო კომისია, სტანდარტიზაციის ბიურო და პრაქტიკანტების ინსტიტუტი.

საბიუჯეტო თათბირის შემადგენლობის დამტკიცება

საბიუჯეტო თათბირი რომელიც განიხილავს სხვადასხვა უწყებების ხარჯთაღრიცხვას 1927—28 წლისათვის (ფინსახკომთან) დამტკიცებულ იქნა ამხ. **გ. მგალობლიშვილის** (თავმჯდომარე), აკირტავა, (მ. გ. ინსპექციიდან), **დ. თოფურიძე** (საგეგმო კომისია); ჭელიძე (შრომის კომისარიატი), და **ხვედელიძე** (პროფკავშირების საბჭო) შემადგენლობით.

საქართველოს პროფკავშირებში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა აგებული იქნეს თვითმფრინავი „საქართველოს პროფკავშირები".

თვითმფრინავის ასაშენებლად საქართველოს პროფსაბჭოს საშუალებებიდან გაღებული იქნა 5.000 მანეთი. კავშირების ცენტრალურ გამგეობებს დაევალა გაიღონ თვითმფრინავის ასაშენებლად თანხები თავიანთ საშუალებებიდან და აგრეთვე ფაბქარხადგილკომების სახსრების ნაწილი გადარიცხონ თვითმფრინავის ასაშენებელ ფონდში.

ამავე დროს ჩატარებული იქნება კამპანია კავშირების წევრთა შორის ნებაყოფლობითი შემოწირულების შესაგროვებლად.

აღძრულია შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა ამიერ-კავკასიაში თვითმფრინავის ასაშენებლად შემოსული თანხები დატოვებული იქნეს ადგილობრივ და მოხმარდეს ამიერ-კავკასიის ესკადრილიის აშენებას.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

ჩვენ უკვე გვქონდა მოთავსებული ცნობა, რომ ა. კ. რკინის გზების გამგეობასთან არსებულმა მუდმივმა ტეხნიკურმა თათბირმა უკვე საბოლოოდ ამოირჩია სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციოდ გადამცემ ხაზის მიმართულება, ქვესადგურების ადგილი და სხვა.

ამავე თათბირმა აგრეთვე მოიწონა ორი სატელეფონო სადგურების აგების გეგმა. ამ სადგურების საშუალებით უნდა დაკავშირდენ ერთმანეთთან ზაჰესი და რიონჰესი და გადამცემ ხაზის ყველა დანარჩენი უბნები.

გზათა კომ. აღნიშნულ ტეხნიკურ თათბირის ყველა დადგენილებები დაამტკიცა. გზათა კომისარიატის აზრით, ზესტაფონ-ხაშურის შუა ორმაგი გადამცემი ხაზის გაყვანის დროს სასურველი იქნება შესაძლებლობის ფარგლებში თითოეული ცალკე ხაზის წაყვანა ცალ-ცალკე მიმართულებით.

გადამცემ ხაზის წაყვანამ ორი სხვადასხვა მიმართულებით უღელტეხილი უნდა უზრუნველჰყოს ელექტრო-ენერგიის განუწყვეტლივ მომარაგებით იმ შემთხვევაშიაც კი თუ ერთ რომელიმე ხაზი დაზიანდა.

ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრა მინდობილი აქვს თვით ა. კ. რკ. გზებს.

ამჟამად, სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციო სამუშაოებისათვის სამსახურის გასაწევად და ზაჰესის დასაკავშირებლად რიონჰესთან ტელეფონით ა. კ. რკ. გზ. გამგეობის და ფოსტა ტელეგრაფის საოლქო სამმართველოს შორის სწარმოებს მოლაპარაკება ორი სატელეფონო ხაზის გაბმის შესახებ.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ძლიერი ენერგიის გადამცემ ხაზმა ცუდი გავლენა იქონიოს ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს ტელეფონის და ტელეგრაფის ხაზებზე, საჭირო იქნება უკანასკნელების მოშორება რკ. გზ. ლიანდაგიდან.

ბაღ-ბოსტნების და ნათესების მდგომარეობა

ამინდი

16 ივნისიდან 26 ივნისამდე მთელს ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში იდგა მაღალი ტემპერატურა. 22 ივნისიდან ტემპერატურა დაიკლო 2—3 დღით, რის შემდეგაც დადგა ნორმალური ამინდი. 27 ივნისიდან დაიწყო წვიმები, რომელსაც დროგამოშვებით თან ხდევდა სეტყვა. 28—29 ივნისს ალაზნის ველზე სეტყვამ საგრძნობლად დააზიანა ნათესები და ბაღ-ვენახები.

ნათესები

პირველი ივლისის ცნობებით ნათესების მდგომარეობა საქართველოში ასეთია: შემოდგომის პურების მდგომარეობას გამოხატავს 2,9 ე. ი. ემჩნევა გაუარესება (15 ივნისთან შედარებით) 0,2-ით. საშემოდგომო ქერის მდგომარეობას გამოხატავს 0.8—გაუარასებულია 0,2-ით. გაზაფხულის პურის მდგომარეობა უცვლელია და უდრის 2,8-ს. ოდნავ გაუმჯობესებული არის გაზაფხულის ქერის მდგომარეობა 0,1-ით. გაუმჯობესებულია აგრეთვე სიმინდის ნათესები, რომელთა მდგომარეობას გამოხატავს 3,3.

საერთოთ, 1926 წლის პირველ ივლისთან შედარებით მთავარ პურის ნათესებს ემჩნევათ მნიშვნელოვანი გაუარესება; მათი მდგომარეობა საქართველოში შარშანდელთან შედარებით 0,7 ნიშნით ნაკლებია.

რაც შეეხება ბამბის ნათესებს, მათი მდგომარეობა საქართველოში გაუმჯობესდა მხოლოდ 0,1 ნიშნით. ბამბის ნათესის მდგომარეობა გამოხატავს საქართველოში ნიშანი 3,2.

ბაღ-ვენახები

როგორც ვენახების, ისე ბაღების მდგომარეობა საქართველოში ივნისის პირველ ნახევართან შედარებით, მეორე ნახევარში გაუარესებულია, ვენახებისა—0,3 ნიშნით, ხოლო ბაღებისა 0,2 ნიშნით. თელავის მაზრაში ვენახების გაუარესება გამოიწვია დიდმა სეტყვამ,—ხოლო სიღნაღის მაზრაში ფილოქსერის გავრცელებამ.

საერთოდ, ივნისის მეორე ნახევარში, როგორც ამიერ-კავკასიაში ისე საქართველოში, ხასიათდება არა ხელსაყრელი ამინდით. სეტყვით, გვალვით, რომელთაც გაუარესეს ნათესების და ბაღ-ვენახების მდგომარეობა ივნისის პირველ ნახევართან შედარებით.

სიმინდის განაწილება

დასავლეთ საქართველო ამჟამად სიმინდის დიდ ნაკლებობას განიცდის. მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად ცეკავშირმა დასავლეთ საქართველოს კოოპერატივებისაგან მიიღო მოთხოვნილება 122 ვაგონ სიმინდზე.

ცეკავშირმა სხვადასხვა ორგანიზაციების საშუალებით ჩრდილო-კავკასიაში დაამზადა 60 ვაგონი სიმინდი. სიმინდის ეს რაოდენობა კოოპერატივებს შორის უკვე განაწილებულია.

გარდა ამისა, ცეკავშირმა „სოფლის კავშირი"-დან მიიღო 10 ვაგონი სიმინდი, რომელიც ჯერ არ გაუნაწილებია.

მიღებულია ზომები 55 ვაგონ სიმინდის დასამზადებლად.

ამგვარად დასავლეთ საქართველოს მოთხოვნილება სიმინდზე დაკმაყოფილებულ იქნა სავსებით.

ამ დღეებში „სოფლის კავშირი", თანახმად „ხელსოიუზ"-თან დადებული ხელშეკრულებისა მიიღებს 50 ვაგონ სიმინდს.

ერთი პარტია ამ რაოდენობიდან დაუყოვნებლივ გადაიგზავნება დასავლეთ საქართველოს მაზრებში.

იმის გამო, რომ სიმინდი მოვა დუბლიკატებზე უფრო ადრე, ზედმეტ ხარჯების თავიდან ასაცილებლად გაცემულია განკარგულება, რათა „სოფლის კავშირის" ძირითად ორგანიზაციებმა სიმინდი მიიღონ უდუბლიკატოდ.

ივლისში და აგვისტოში საქართველოში შემოზიდავენ სულ 150.000 ფუთ სიმინდს და მთელი ეს რაოდენობა განაწილდება გლეხებს შორის ცეკავშირის და „სოფლის კავშირი"-ს ძირითად ორგანიზაციების საშუალებით.

გუშინ ცეკავშირის სახელზე ჩრდილო კავკასიიდან მოვიდა 7 ვაგონი სიმინდი. გზაშია და მოელიან ამ დღეებში კიდევ 53 ვაგონს.

ქრონიკა

თათბირი პროფკავშირების ინფორმაციის შესახებ

12 ივლისს, ა.-კ. პროფსაბჭოში გაიხსნა ა.-კ. თათბირი პროფკავშირების იმფორმაციის შესახებ. თათბირზე გამომუშავებული იქნება პროფკავშირების მუშაობის ფორმები იმფორმაციის დარგში.

დასასვენებელი სახლის გადაცემა

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით, საქ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასასვენებელი სახლი ბორჯომში გადაეცა საქ. პროფსაბჭოს.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, მიმდინარე სეზონში სახლით სარგებლობის უფლება მიეცა საქ. ფინსახკომს და საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირს.

დახმარება პიონერებს

საქართველოს პროფსაბჭომ საბანაკო შეკრების ჩასატარებლად თბილისის პიონერ-ბიუროს ერთდროული დახმარების სახით კულტფონდიდან მისცა 200 მანეთი.

მიწისძვრა

11 ივლისს ნაშუადღევს 4 საათზე და 7 წუთზე საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ აღნიშნულია მნიშვნელოვანი მიწისძვრა. მიწისძვრის კერა თბილისიდან დაშორებულია 1.400 კილომეტრით და იმყოფება ხმელთა შუა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონში.

თბილისის აღმასკომში

ქუჩების კეთილმოწყობა. აღმასკომის კომუნალური განყოფილება ამუშავებს გეგმას თბილისის ქუჩების შესაკეთებლად. პირველ რიგში ჩატარდება გარე უბნების ქუჩების კეთილმოწყობა. ამჟამად მუშაობა დაწყებულია კომუნალური ქუჩის გასამშვენიერებლად.

ძველი სახლები. აღმასკომმა გამოყო კომისია თბილისის ძველი სახლების დასათვალიერებლათ.

აბანოს შეკეთება. ამ დღეებში დასრულდება ყოფ. ორბელიანის აბანოს შეკეთება.

მუშათა სახლი. კეთილმოწყობის განყოფილებაში ამუშავებენ კამოს ქუჩაზე (ყოფ. ვორონცოვის ხიდის ახლო) მუშათა და საერთო საცხოვრებელ სახლის აგების გეგმას.

ჯანსახკომში

სამალარიო სადგურები. ჯანსახკომის სამალარიო სექცია შეუდგა რესპუბლიკაში არსებულ სამალარიო სადგურების ხარჯთაღრიცხვების დამუშავებას.

ყოფ. პოლიტკატორღელთა მკურნალობა. ჯანსახკომმა მისწერა ყველა სამაზრო ჯან. განყოფილებებს, რომ ყოფილ პოლიტკატორღელთა საზოგადოების წევრებს სამკურნალო დახმარება უნდა გაეწიოს დაზღვეულების თანაბრად.

მისალმება. თელავის ექიმთა სამაზრო ყრილობისაგან ჯანსახკომმა მიიღო მისალმებელი დეპეშა.

საექიმო ლიტერატურის მაღაზია. ჯანსახკომის სანიტარულ-ეპიდემიურმა განყოფილებამ კომინტერნის ქუჩაზე გახსნა სამკურნალო წიგნების მაღაზია.

შრომის კომისარიატში

სამთო მრეწველობაში შრომის უშიშროებისათვის თვალყურის დევნება დაევალა შრომის დაცვის განყოფილებას.

ზედმეტი სამუშაოები. შრომის დაცვის განყოფილებამ გადასწყვიტა დაავალოს წარმოებ-დაწესებულებების ადგილკომებს და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებს თვალყური ადევნონ რომ დაშვებულ არ იქნეს ზედმეტ საათებში მუშაობა.

ღამე მუშაობა. შრომის კომისარიატის დადგენილებით აკრძალულია ღამით მუშაობა პურის საცხობებში. დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

მიწათმოქმედების კომისარიატში

ტყეების გამოკვლევა. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინიციატივით დასავლეთ საქართველოს ტყეების გამოსაკვლევათ გაიგზავნა სატყეო საქმეთა ინსპექტორი ფირცხალაიშვილი.

მოსავლის პირი. აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ მაზრებიდან მიღებულია ცნობები, რომ უკანასკნელმა წვიმებმა ძლიერ გააკეთეს მოსავალი.

მეხილეობის გამოკვლევა. მიწათ-მოქ. კომისარიატის ინიციატივით სახალხო მამულების ტრესტის ინსპექტორი ამხ. მ. ქარცივაძე მივლენილია გორის მაზრაში, მერეთისა და სკრის სახალხო მამულებში მეხილეობის დარგში მუშაობის გამოსაკვლევათ და სახელმძღვანელოთ.

ახალი სახალხო მამული. მიწათ-მოქმ. კომისარიატის დადგენილებით, სოფ. უდაბნოსთან (თბ. მაზრა) არსდება ახალი სახალხო მამული მეცხვარეობის განსავითარებლად.

აბრეშუმის მოსავალი. მეაბრეშუმეობის განყოფილების გამოანგარიშებით წელს აბრეშუმის მოსავალი 50 პროც. ნაკლები იქნება შარშანდელზე.

ფილოქსერა გაჩნდა. მევენახეობა-მეღვინეობის განყოფილებაში მიღებული ცნობებით ბიბინაურის რაიონში (კახეთი) თავი იჩინა ფილოქსერამ, რომელიც ანადგურებს ვენახებს. მიწათმოქმედების კომისარიატი იქ გზავნის ფილოქსერასთან მებრძოლ რაზმს.

სეტყვა და ქარიშხალი. სიღნაღის სამაზრო აღმასკომიდან მიწათმოქმედების კომისარიატმა მიიღო ცნობა, რომ ამ რამოდენიმე დღის წინათ მაზრაში მოვიდა დიდი სეტყვა და ქარიშხალი, რამაც ზოგიერთ რაიონებში სრულებით განადგურა სიმინდის ყანები და ვენახები.

განათლების კომისარიატში

სამხატვრო აკადემიის შენობის შესაკეთებლათ განათლების სახალხო კომისარიატმა გადასცა 8.000 მანეთი.

საბავშო კერა. განათლების კომისარიატმა ნაძალადევში შეიძინა ერთი სახლი საბავშო კერის მოსაწყობათ. ამ დღეებში შეუდგებიან შენობის შეკეთებას.

მასწავლებელთა კურსები. 1-ლი აგვისტოდან მცხეთაში გაიხსნება სოფლის სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები.

ურთიერთობა უზბეკისტანთან. განათლების სახალხო კომისარიატში მიღებულია უზბეკისტანის განათ. კომისარიატის მიმართვა მუდმივ საინფორმაციო ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ერევნის უნივერსიტეტში საქართველოში მცხოვრებ სომხური მოსახლეობისათვის დათმობილია 25 ადგილი.

თურქთა სკოლები. ამჟამად მთელ საქართველოში არსებობს 93 თურქული სკოლა.

ახალი სკოლა. მომავალი სამოსწავლო წლიდან განზრახულია თბილისში გაიხსნას ეროვნულ უმცირესობათა სკოლებისათვის მასწავლებლების მოსამზადებელი სკოლა.

სხვადასხვა

გამოწვევები რადიოთი. რადიოს მოყვარულთა საზოგადოებამ დაადგინა ყოველდღიურათ გადასცეს რადიოთი გამოწვევები „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“-ის ფონდის გასაძლიერებლათ შემოსულ თანხების შესახებ.

აჭარისწყალის ჰიდროსადგურის სამუშაოები. ს. მ. უ. ს. ელექტროფიკაციის განყოფილების ინიციატივით ამ დღეებში აჭარისტანის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა შემოწმების მიზნით თბილისიდან გაიგზავნება სპეციალისტთა კომისია.

რევოლიუციის მუზეუმი. შინაგან საქმეთა კომისარიატმა რევოლიუციის მუზეუმს გადასცა ყოფ. არქეოლოგიური საზოგადოების „აქტების“ 13 ტომი.

პატიმრების ნამუშევარი. თბილისის 1-ლ გამსახლში პატიმრებმა მოაწყვეს ამერიკული სისტემის მექანიზაციაქმნილი აბანო.

ლითოგრაფიული ქვის დამუშავება. ლითოგრაფიული ქვების გადამამუშავებელი სახელოსნოსათვის მოსკოვიდან მიღებულია ქვების სახეხავი მანქანა.

კრებები და მოხსენებები

თათბირი ზედმეტი სამუშაოების შესახებ. დღეს შრომის სახალხო კომისარიატში მოწვეულია ფინსახკომის, მუშ. და გლ. ინსპექციის, საბჭოთა და სავაჭრ. მუშაკების პროფკავშირის და პროფსაბჭოს წარმომადგენელთა თათბირი. თათბირზე განხილული იქნება ზედმეტი საათების სამუშაოების საკითხები და წესები.

სხდომა შესდგება დღის 12 საათზე.

ხელოვნების ქრონიკა

მუშა მსახიობ გ. ჯაბაურის იუბილეის გამო შესდგა სახალხო თეატრის მოყვარულთა საინიციატივო ჯგუფის კრება, რომელმაც გადასწყვიტა (მთავარი საიუბილეო კომიტეტის დასწრებით) გამოსცეს სახალხო თეატრის ძველ მოღვაწეთა სურათი ერთ ჯგუფად. ამ გადაწყვეტილების აღსრულება მიენდო ვასო თევდორაშვილს, ეპ. კულულაშვილს და შაქრო ნავთლუღელს.

შემოხსენებულ პირებს დავალებული აქვს შეკრიბონ ძველ სცენის მოყვარეთა სურათები და გამოსძებნონ საშუალება სურათების გამოსაცემად.

ორჯონიკიძის სახელობის კლუბში დღეს გამართება მიხეილ კავსაძის მომღერალთა გუნდის დიდი კონცერტი.

„პროლეტარული მწერლობა“ № 5—6

გამოვიდა და იყიდება ყველგან საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ორგანო „პროლეტარული მწერლობა“ № 5—6 (მაისის და ივნისის ნომერი). **შინაარსი:** კალე ბობოხიძე—ჩინელის ლექსი, **ი. ვაკელი**—ლიახვს, **კ. კალაძე**—ერთი საუბარი, **ხევ. თალაკვაძე**—ორი ანტიპოდი (მოთხრობა), **ი. ლისაშვილი**—სადარაჯოზე, **კონსტ. ლორთქიფანიძე**—ლამაზ ქალს, **ალ. მაშაშვილი**—გემზე, **ი. ეგრისელი**—ნარვალები (მოთხრობა), **ფრ. ნაროუშვილი**—ძველ მეგობარს, საღამო ზღვასთან, **ელ. პოლუმორდვინოვი**—გრიგალის შემდეგ, **კალე ფედოლოსაშვილი**—მასიობა სოფლად, წერილი ამხანაგს, **მირ. ხუხუნაიშვილი**—ფოლადის გული (მოთხრობა), **ს. წვერავა**—გულია (მოთხრობა), **თეორია და კრიტიკა: ბ. ბუაჩიძე**—თანამედროვეობის საკითხი ქართულ ლიტერატურაში, **რ. კალაძე**—ქართული მწერლობის იდეოლოგიური განვითარება და მისი პერსპექტივა, **ვ. ლუარსაბიძე**—„ავათმყოფი“ მწერლები და შპრიცი, **დ. რონდელი**—პროლეტარულ ლიტერატურის განვითარების გზები. **ბიბლიოგრაფია: ბ. ბუაჩიძე**—ს. დოლიძის მოთხრობები, **ლ.**—ლექსები ზაჰესზე, **ალ. სულავა**—კ. ლორთქიფანიძის ლექსების წიგნი, **ა. ს.**—ი. ლისაშვილის ლექსების წიგნი, **ბ—ძე**—„მნათობი“ № 4, 5, 6, **ნ. ნ.**—ადრეწილი ტიპები და მაჟრის პოეზია და ა. ხ-ვა—ეგნ. ნინოშვილის ბიოგრაფია რ. კალაძის. ჟურნალი შეიცავს 176 გვერდს და ღირს 1 მან. 30 კაპ.

შემთხვევები

თავდასხმა მცხეთაში

11 ივლისს ღამის 11 საათზე სადგურ მცხეთაში, სადგურის უფროს დათაძეს თავს დაესხა ვიღაც უცნობი და მოინდომა სახაზინო ფულის გატაცება. თავდასხმა მოხდა სადგურის ბაქანზე სწორედ იმ დროს, როდესაც უნდა დაძრულიყო საფოსტო მატარებელი, სადაც სადგურის უფროსს უნდა ჩაებარებია 522 მანეთი სახაზინო ფული.

ბოროტმოქმედმა ვერ შესძლო განზრახვის ხისრულეში მოყვანა და გაიქცა. თავდამსხმელის ვინაობა გამოურკვეველია.

კატასტროფა ელსადგურზე

გუშინ საპიორის ქუჩა № 6 მდებარე ელექტრო სადგურზე გასკდა დიზელის მანქანის ბუშტი. მორიგე მეთვალყურე მუშის ამხ. თედორე კირიჩენკოს მეცადინეობით მანქანა სასწრაფოდ იქნა შეჩერებული.

კირიჩენკო მძიმედაა დაშავებული. იგი სასწრაფოდ გადაგზავნეს სავადმყოფოში.

400 მანეთის ოქროულობის მოპარვა. მოქ. ბარბალე აბელის ასულ ჩიჩუას ბინიდან (ბესიკის ქუჩა № 34) უცნობმა მოქალაქემ მოიპარა 400 მანეთის სხვადასხვა ოქროულობა.

ჯიბგირობა. მოქ. მალხაზ სიმონიანცს ტრამვაიზე ჯიბიდან ამოაცალეს 150 მან. თამასუქები და 90 მან. ფულად.

თავის მოწამვლა. გუშინ თავი მოიწამლა მოქ. მარიამ როსტომის ასულმა ოდიშარიამ (ტურგ. № 4).

ქურდობა. გუშინ გაქურდეს მოქ. შაქრო სომხიევის სასადილო (საბჭოს ქუჩა № 61) წაღებულია 200 მანეთი და მრავალი ნივთები.

დააპატიმრეს რეციდივისტი გიორგი გოლუბი, რომელმაც გაქურდა მოქ. ბარბალე დემურაშვილის ბინა.

გაქურდეს ევდოკია ჯანჯაძის ბინა (ანდრეევის ჩიხი № 6) წაღებულია ქალის ტანსაცმელი და ოთახის ავეჯი.

მთვრალი მხედარი. გუშინ კოჯრის გზაზე ცხენიდან გადმოვარდა და მარჯვენა ფეხი მოიტეხა მოქ. კოსტა მასხარაშვილმა.

დააპატიმრეს ქურდი სედრაკ პეტროსიანცი, რომელსაც მრავალი ბოროტმოქმედება ბრალდებოდა.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს 13 ივლისს შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

საწარმოო კვალიფიციურ. მუშათა 1-ლი სექცია: კონსტანტინე თავართქილაძეს, ელენე ჯიქიას, სარქის სტეპანოვს და ელისაბედ კრიუჩკოვას.

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექცია: თამარ მაისურაძეს, დავით დადიანს, ალექსანდრა პავლოვას, შალვა ებრალიძეს, ირაკლი გაბუნიას, მარიამ სმირნოვას, ალექსანდრა კრილოვას, მარიამ კუტალაშვილს, სოფიო ჯიმჯარიანს, ლიუბა ლავროვას, ისაკო ოქრუაშვილს, კონსტანტინე ტაბიძეს, ეფროსინე ჟორდანიას, აპოლინარია სანკოვას, ნატალია მაისურაძეს, თამარ ამილახვარს, ნიკოლოზ ღარიბაშვილს, ანა კიკნაძეს, ნინო ხომასურიძეს, ვლადიმერ ნუზუტიას, ანნა ვაჩნაძეს, მარიამ გრიგოლიას, იასონ მჭედლიძეს, პარასკევა კობახიძეს, მიხეილ ჩხეტიანს, ანასტასია ქელიძეს, ანნა ბელავსკაიას, თამარ კლიმაშვილს, არჩილ მაღალაშვილს, სუსანა ჯანაშიას, რაჟდენ მიქაძეს, ნელი კახიას, რიფსიმე გაბელაშვილს, თამარ იანოვსკაიას, ნინო მაქავარიანს, ვერა ვეზირაშვილს, ნინო ნიკიტინას, იულია მაღალაშვილს, ანნა გორელაშვილს, თამარ ჩოჩიევას.

ნავთის საწმენდი ქარხანა

პირველ აგვისტოსათვის ამუშავებული იქნება ნავთის საწმენდი ქარხანა ბათომში

ამჟამად მიმდინარეობს სასწრაფო მუშაობა „სტანდარტ-ოილი“-ს ნავთის საწმენდი ქარხნის ასაგებად, ქარხნების აგება-მოწყობა ყოველ მიზეზს გარეშე დამთავრდება მიმდინარე თვის დამლევს და აგვისტოს პირველ რიცხვებში ამუშავდება კიდეც. ამჟამად დამთავრებულია. ნავთის საწმენდი მიწის (საფილტრე მიწის) საწყობის და მთავარი კანტორის შენობათა აგება. დადგმულია აგრეთვე საქაჩავები და გაყვანილია შინაგანი ნავთსადენი მილები. ამჟამად სწარმოებს ფილტრების დაკავშირება.

რადიო გადაცემა

ოთხშაბათი, 13 ივლისი

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

საბჭოთა ავიაციის მიღწევები—რუსულ და ქართულ ენებზე (7—7—40).

კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“—ქართულ ენაზე (7—40—8).

საუბარი რადიო-ტეხნიკაზე—ქართულ ენაზე (8—8—20).

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე (8—20—8—30).

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია (8—30—11).

ხუთშაბათი, 14 ივლისი

რადიო-მუშაკთა დასასვენებელი დღეა—გადაცემა არ იქნება.

ბიბლიოგრაფია

„ედუარდ მეიერი

ძველი ქვეყნის ეკონომიური განვითარება“.

სახელგამი. გვ. 128, ფასი 80 კაპ.

დღეს, განსაკუთრებული ყურადღება ჩვენს სკოლებში ახალი დროის ეკონომიური ვითარების შესწავლას ექცევა. ეს, ერთის შეხედვით თითქო ასეც უნდა იყოს, რადგან სავსებით გასაგები მიზეზების გამო დღევანდელი ეკონომიური და პოლიტიკური მეცნიერების საგანს, შეადგენს კაპიტალისტური მეურნეობის, ანალიზი, კაპიტალიზმის, როგორც ეკონომიური და საზოგადოებრივი სისტემის წარმოშობის განვითარების და დაღუპვის კანონების გარკვევა.

ამ მოსაზრებით წინა ისტორიული პერიოდი და კერძოთ უძველესი სოციალური და ეკონომიური ისტორია მეტ წილად მივიწყებულია, გვერდშეგდებულია, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს საბჭოთა კავშირში აშკარა ხდება, რომ ისტორიზმის სრულმა უარყოფამ, საკმაო უარყოფითი შედეგები მოგვცა. ამიტომ უკვე უფრო გაბედულათ გაისმის ხმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სინტეტიური გზის აუცილებლობის, უკუგდებულ ისტორიზმის ნაწილობრივ სამოქალაქო უფლებებში აღდგენის შესახებ. ასე, რომ ძველი ეკონომიური ისტორიის შესწავლა საჭიროებს, რადგან მის გარეშე შეუძლებელია წარსულ ეპოქათა სოციალურ ვითარებაზე ლაპარაკი.

სარეცენზიო შრომა დაინტერესებულ მკითხველს მრავალ საინტერესო მასალას გააცნობს ძველი ქვეყნის ეკონომიური ვითარების შესახებ. შრომის ავტორია გერმანიის ცნობილი ისტორიკოს - ეკონომისტი ედუარდ მეიერი. მეიერს მარქსიზმთან არაფერი აქვს საერთო, მაგრამ ამის მიუხედავათ მისი შრომები იმდენ ფაქტიურ და მეცნიერულად დამუშავებულ მასალას შეიცავს, რომ გვერდშეუვლელია ყველა იმათთვის, ვინც გაკვრით მაინც მოინდომებს ძველ ქვეყნების სამეურნეო ცხოვრების გაცნობას.

დასახელებული წიგნაკი წარმოადგენს პოლემიკას გავრცელებულ შეხედულებათა (მეურნეობის პირვანდელი ფორმების და მონობის როლის) წინააღმდეგ. შრომის პირველ ნაწილში მეიერი უარყოფს ეკონომიურად როდბერტუსის (და შემდეგ ბიუხერის) ცნობილ თეორიას მეურნეობის პირვანდელი, უძველესი ფორმის შესახებ—ე. წ. „ოიკოსის“ თეორიას. მეიერი არ ეთანხმება არც როდბერტუსს და არც ბიუხერს იმაში, რომ ვითომდა ყველა ხალხთა განვითარება „ოიკოსიდან“ დაიწყო, ე. ი. განკერძოებული მეურნეობიდან, რომელიც ცალკე სახლის ავტონომიურ მეურნეობას წარმოადგენდა, სადაც ყველა თავის მოთხოვნილებას საჭიროებას საკუთარი ძალ-ღონით იკმაყოფილებდა. ამასთან დაკავშირებით მეიერს გადაჭარბებულად მიაჩნია ეკონომისტ ბიუხერის მტკიცება, „რომ გაცვლა-გამოცვლა თავდაპირველად არ იცოდნენო“. აღმოსავლეთის ქვეყნების მთელ რიგ მაგალითებით ამტკიცებს, რომ ბიუხერის ეს მოსაზრება არ შეიძლება ეკონომიურ კანონად მივიჩნიოთ, რადგან ისტორიულ სინამდვილეს მასში მრავალი ცვლილება შეაქვს და ზოგან სავსებით და ზოგან საგრძნობათ არღვევს ხსენებულ დებულებას.

ასევე ილაშქრებს მეიერი იმ გავრცელებულ შეხედულების წინააღმდეგ, რომელიც ანტიურ ქვეყნების — საბერძნეთის და რომის დაღუპვის მთავარ მიზეზათ მონობას აღიარებს. მეიერის მიერ უარყოფილ აზრს იზიარებს **ფრ. ენგელსიც, რომელიც კერძოთ ათინას დაღუპვას** მონობას მიაწერს, რადგან მონობამ — ლაპარაკობს ენგელსი—გამოდევნა თავისუფალ მოქალაქის შრომა. ამავე მიზეზით ახსნა ცნობილმა ისტორიკოსმა ტაციტმა რომის დაღუპვა, როდესაც სთქვა, რომ „ლატიფუნდიებმა დაღუპა იმპერია“-ო, რადგან რომის მსხვილი მამულები სავსებით დამყარებული იყო მონურ შრომაზე. მონური შრომა კი—იძულებითი შრომაა და ამიტომ ის მცირე ნაყოფს იძლევა. მონური შრომის დროს საზოგადოებრივი ცხოვრება წინ კი არ მიიწევს, არამედ ქვეითდება, რადგან ტეხნიკა, საწარმოო ძალები მონური შრომის ფართოდ გამოყენების შემდეგ ერთ წერტილზე იყინება. ამას ვერც მეიერი უარყოფს, მაგრამ ის მაინც წინააღმდეგია, რათა მონობა იქნეს წამოყენებული ანტიურ ქვეყნების დაღუპვის ძირითად ფაქტორათ.

სწორად უნდა ჩაითვალოს საერთოდ მეიერის შეხედულება ქალაქის და სოფლის დამოკიდებულებისა კაპიტალისტურ მეურნეობის პირობებში, როდესაც ქალაქი სოფელს „მარტო პოლიტიკურად კი არა, ეკონომიურადაც ჰყლაპავს“. სამაგიეროდ უსაფუძვლოა და დაუსაბუთებელი იმის მტკიცება, რომ ვითომდა ძველ რომში უაღრესად განვითარებული კაპიტალისტური, ფულადი მეურნეობა იყო გაბატონებული. ეს შეხედულება საუცხოვოთ აქვს უარყოფილი ამხ. პავლოვიჩს თავის „იმპერიალიზმში“.

ყველაზე საინტერესო სარეცენზიო წიგნაკში, არის მეიერის ნათესაობა დღევანდელ შპენგლერთან, ბურჟუაზიულ ევროპის დაღუპვის სენსაციურ წინასწარმეტყველთან. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მეიერი შპენგლერის წინამორბედია, კაპიტალისტური კულტურის დაღუპვის ბევრად ძველი მაუწყებელი, ვინემ შპენგლერი, ამიტომ სავსებით სამართლიანად ამტკიცებენ გერმანიის ისტორიკოსები 1922 წელს გამოცემულ კრებულში, რომ შპენგლერი არ არის არავითარ შემთხვევაში ორიგინალური ფიგურა, არამედ, ის მეიერის პლაგიატია.

წიგნის თარგმანი დამაკმაყოფილებელია, თუმცა წინასიტყვაობის წამძღვარება ასეთი ხასიათის შრომისათვის აუცილებელი იყო.

დ. გ—ვა.

მეცნიერება და ტეხნიკა

აეროპლანი—დირიჟაბლი

სურათზე ნაჩვენები მოდელი უცნაური ფორმის საფრენი აპარატისა, დამზადებულია ამერიკელ **კლოდ ფრიზის** მიერ ქ. ლოს-ანჟელოსში და წარმოადგენს აეროპლანისა და დირიჟაბლის შეერთებას. ფრიზის პროექტით, აპარატის მთლიანად ლითონის კორპუსი გავსებული უნდა იქნეს გაზით. მაგრამ გაზი არ იქნება საკმაო, რომ აპარატი აფრინდეს ჰაერში. დანაკლის აწევ ძალას აპარატს აძლევს 5 პატარა ზოლისი ფრთა. აპარატს მოძრაობაში მოჰყავს 11 მოტორს. თითეული მოტორი ამუშავებს თავის პროპელერს. აპარატის თითეულ მხარეზე მოთავსებულია ხუთი მოტორი, ერთი მოტორი კი თავსებულია აეროპლან-დირიჟაბლის უკანა ნაწილში.



გამომგონებლის სიტყვით, მომავალი საფრენი აპარატის სიგრძე იქნება 230 მეტრი, განი—43 მეტრი, სიმაღლე—29 მეტრი, წონა—55 ტონა, სისწრაფე—240 კილომეტრი საათში და შესძლებს 16.000 კილომეტრის გავლას მიწაზე დაუშვებლად.

„საუკუნო კალმები“ ძველ ეგვიპტეში

გათხრების დროს, რომელსაც აწარმოებდნენ ეგვიპტის ერთ-ერთ უძველეს (4000 წლის სიძველის მქონე) სამარხში, იპოვეს თავისებური საგანი, რომლის დანიშნულება პირველ მომენტში ვერ გამოარკვიეს. იგი შესდგება დიდი ფანქრის ოდენა სიგრძისა და სიგანის მქონე მილისგან, რომლის ბოლოზე მიმაგრებულია სპილენძის ნაჭერი, რომელიც თავისი ფორმით ძლიერ წააგავს ჩვენს თანამედროვე ლითონის კალმებს. ინგლისელი არქეოლოგები, რომლებმაც შეისწავლეს ნაპოვნი ნივთი, იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ იგი წარმოადგენს „საუკუნო კალამს“: მილში ასხამდნენ მელანს, რომელიც წერის პროცესში ჩამოდიოდა კალმის წვერზე, როგორც ეს ხდება თანამედროვე „საუკუნო კალმებით“ წერის დროს. ასეთი ახსნა ერთის შეხედვით განსაცვიფრებელია, მაგრამ მეორე მხრივ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ იგი ჭეშმარიტებასთან ახლო უნდა იყოს, რადგან ძველ კულტურულ ერებს ჰქონდა მთელი რიგი გამოგონებები, რომლებიც შემდეგ ვითარებაში დაიკარგა, და თანამედროვე მეცნიერები მათ კვლავ იგონებენ.

სასამართლო

დ. გორდაძის საქმე

11 ივლისის სხდომა

მხარეების კამათი

11 ივლისის საღამოს სხდომაზე ილაპარაკა პროკურორმა ამხ. **გაბუნიამ.**

პროკურორი აცხადებს რომ საქმეში დართული მასალები, მოწმეთა ჩვენებები და სასამართლო ძიება სავსებით ნათელს ჰფენენ იმ მთელ რიგ ბოროტმოქმედებათა ხასიათს. რომლებიც ბრალდებულ გორდაძეს ჩაუდენია. პროკურორის სიტყვით, დ. გორდაძის წინააღმდეგ წარდგენილი ყველა ბრალდებები დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს და ბრალდებული უნდა დაისაჯოს საბრალმდებლო დასკვნაში მოყვანილ მუხლების მიხედვით. ამხ. გაბუნია სავსებით მხარს უჭერს ბრალდებას.

დამცველი **მ. ღვამიჩავა** დაწვრილებით ეხება მოწმეების ჩვენებას და აცხადებს, რომ, მისი აზრით, ბრალდება პატიმრების ცემა-ტყეპის და როსკიპ ქალებთან ურთიერთობის შესახებ არ შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, რამდენადაც ბრალდების ამ ნაწილის გამოსარკვევად გამოწვეულ მოწმეების ჩვენებები ერთმანეთს ბევრ რამეში არ ეთანხმებიან.

დამცველის სიტყვის პირველი ნაწილის მოსმენის შემდეგ სასამართლოს სხდომა წყდება. კამათის გაგრძელება ინიშნება 12 ივნისის დილის სხდომისათვის.

12 ივლისის სხდომა

12 ივლისის დილის სხდომაზე დამცველი მ. ღვამიჩავა სასამართლოს უდგენს ახალ საბუთს, რომელიც აღმოუჩენია ბრალდებულ გორდაძის ცოლს თავის სახლში (!).

ეს საბუთი შეიცავს 13 მაისს (მეტლე ამილახვარის გალახვის და დაპატიმრების დღეს). მეათე კომისარიატის უფროსის თანამშრომელ კალანდარაშვილის მიერ შედგენილ ოქმს, რომელშიაც ნათქვამია, რომ მეტლე დაპატიმრებულ იქნა ქუჩაში დებოშისათვის; ის იყო ძალაზე მთვრალი, კომისარიატში მოსვლისას თვითონვე ცხვირში და პირში იცემდა ხელს, იხევდა ტანისამოსს, აგინებდა ხელისუფლების წარმომადგენლებს. ოქმს მოწმეების სახით ხელს აწერენ ცინცაძე და ორაგველიძე (უკანასკნელებიც იმავე დღეს იყვნენ დაპატიმრებული დებოშისათვის).

გარდა ამისა ოქმს დართული აქვს მეტლე ამილახვარის ხელწერილი, რომ ის ამიერიდან მთვრალი არ დაჯდება ეტლზე, არ მოახდენს დებოშს და სხვ.

როგორც მკითხველებმა იციან, ამილახვარიც, ცინცაძეც და ორაგველიძეც სულ სხვას აჩვენებენ სასამართლო გამოძიების დროს 13 მაისს მომხდარ ამბის შესახებ.

ამ დოკუმენტის წარდგენის შემდეგ დამცველი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რომ ხელმეორედ გამოწვეულ და დაკითხულ იქნენ მოწმეები: ამილახვარი, ცინცაძე, ორაგველიძე და კალანდარაშვილი.

სასამართლო აკმაყოფილებს შუამდგომლობას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ საბუთის არსებობის შესახებ მთელი ამ წლინახევრის განმავლობაში არსად, არც ბრალდებულის და არც მოწმეების ჩვენებებში ლაპარაკი არ არის. სასამართლოს ძიება თითქმის დამთავრებული იყო და უკანასკნელად განაჩენის გამოტანის დღეს აღმოჩნდა ეს საბუთი

ამის გამო ზემოდ აღნიშნული მოწმეები ხელმეორედ დაკითხულ იქნებიან დღეს დილის სხდომაზე.

„უზომოთ შეყვარებული“

სასამართლოს წინაშე სდგას ახალგაზრდა გიორგი კემხიევი.

თავმჯდომარე:—უამბეთ სასამართლოს როგორ მოხდა ყოველივე ეს ბოროტმოქმედება, რომლის მიზეზი თქვენ იყავით.

ბრალდებული: მე კი არ ვიყავი, სიყვარული იყო.

თავმჯდომარე:—როგორ მოხდა, რომ თქვენივე მეზობლის ცოლი შეირთეთ, რა მიზეზები უძღოდა წინ ამას?

ბრალდებული:—შემეცოდა. ვიცოდი, რომ ქმრის ხელში იტანჯებოდა. არ უყვარდა ქმარი. მე კი გაგიჟებით უყვარდი.

თავმჯდომარე:—თქვენ გიყვარდათ?

ბრალდებული:—მეც მიყვარდა.

თავმჯდომარე:—კარგი, ასე გაგიჟებით უყვარდით თქვენ ეუნია ცოვიანოვას, მაგრამ ხუთი თვე არ გასულა და ერთმანეთს გაეყარეთ. რამ გამოიწვია ეს?

ბრალდებული:—ცოტა ოჯახური უკმაყოფილება მოგვივიდა.

თავმჯდომარე:—ქალმა თქვენი სიყვარულისთვის მიატოვა ქმარი, ოჯახი და ხუთი თვის შემდეგ „ცოტა უკმაყოფილების“ გამო გაგშორდათ? იქნებ მოიგონოთ, ხომ არ გიცემდით მისთვის?

ბრალდებული—არც იმდენად...

პროკურორი: კარგი, თქვენ ამბობთ, რომ ძალიან გიყვარდათ ეუნია, მაშ, რატომ მიატოვეთ და რატომ წადით კახეთში?

ბრალდებული:—ვიცოდი, რომ მაინც არ გათხოვდებოდა, სხვას არ გაჰყვებოდა ისე უზომოდ უყვარდი მე.

საბრალმდებლო დასკვნა კი ლაპარაკობს, რომ სისტემატიურ ცემა-ტყეპას ვერ გაუძლო ეუნიამ ცოვიანოვას ქალმა, მიატოვა გიორგი კემხიევი და გაიქცა თავის მშობლების ოჯახში. ათასჯერ მიუვარდა კემხიევი სახლში თავის ყოფილ ცოლს, მაგრამ უკანასკნელი ყოველთვის გაურბოდა მასთან შეხვედრას და პირდაპირ ეჯავრებოდა მისი დანახვა. არც შინაურები იყვნენ სიძის მადლიერი და ყოველთვის უარით ისტუმრებდნენ მას. გიორგიმ გადასწყვიტა შურის ძიება, შეიარაღდა დანით, მიუხტა ცოვიანოვას ოჯახს, სადაც დასჭრა ქალის დედა ბარბალე ცოვიანოვა და მისი ძმა პოპოვი. ეს მოხდა 24 თებერვალს. ორ მარტს მან კიდევ განაახლა თავდასხმა, მაგრამ არავინ დაუხვდა და ფანჯრებზე გაკრულ კარდონებზე იყარა ჯავრი: ნაკუწ-ნაკუწებად აქცია.

საქმე ირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე ამხ. **ბურკაძე**, პროკურორი—ამხ. **კიკაბიძე**, დამცველი—**შანშიაშვილი.**

ვ.

—.—

განაჩენი ლაშხის საქმეზე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით გუშინ გამოიტანა განაჩენი მ. ლაშხის (67 წლის მოხუცი) და ვ. ნიჟარაძის საქმეზე.

როგორც ვსწერდით, მ. ლაშხი მთელი წლის განმავლობაში ხრწნიდა სამ მცირეწლოვან ქალს. მანვე ხელი შეუწყო თავის მეზობელს ვ. ნიჟარაძეს სქესობრივი კავშირი დაეჭირა ერთ ერთ მცირეწლოვანთან, რომელსაც მანამდი თვითონ ხრწნიდა.

მ. ლაშხს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, ვ. ნიჟარაძეს 2 წლით.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კავშირის წევრს უმუშევარს (წიგნ. № 11809)

პასუხი

თანახმად სამოქალაქო კოდექსის 159 მუხლისა, კაპიტალური შეკეთება ვალდებულია მოახდინოს დამქირავებელმა, თუ სხვა რამე არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებაში. თუ ამ ვალდებულებას არ ასრულებს გამქირავებელი, მაშინ კაპიტალურ შეკეთებას ახდენს დამქირავებელი და ამ უკანასკნელ შემთხვევაში მას უფლება აქვს სახლის პატრონს დაუჭიროს ბინის ქირიდან ძირითად შეკეთებაზე დახარჯული თანხა.

იმ საკითხს, კაპიტალურია შეკეთება, თუ მიმდინარე, არკვევს სპეციალური კომისია, შემდგარი მცოდნე პირებისაგან. საერთოდ კი თბილისის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის დადგენილებით 1925 წლის 20 თებერვლიდან კაპიტალური შეკეთებათ ითვლება: ეზოს წყალსადენის, კანალიზაციისა და ქვაფენილის შეკეთება, ჭერის შეკეთება, ფანჯარების და კარების ჩარჩოების გამოცვლა და მათი შეღებვა, ატაკის და ჭერის დამბალ ნაწილების გამოცვლა, შეკეთება დაზიანებულ კედლებისა და სხვა.

ვალერიან რატიშვილს

პასუხი

ვინაიდან ოთახის დამქირავებლად თქვენ ითვლებით და თქვენ კი ამჟამად სხვაგან მიდიხართ, ამიტომ დედინაცვალზე ბინის გადაცემა უნდა მოხდეს სახლისპატრონთან შეთანხმებით.

კავშირის წევრს (წიგნ. № 1142)

პასუხი

თუ მდგმური თავის ბინასთან სხვადასხვა მიზეზების გამო გასწყვეტს ფაქტიურად კავშირს, სამ თვეზე მეტი ხნით, მაშინ ბინა გადადის გამქირავებლის განკარგულებაში.

მუშა აპოლონ ლორიას

პასუხი

ბინის ქირას იხდით თქვენი ძირითად ჯამაგირის მიხედვით, რაც შეეხება ხავვის ფულს, მას იხდის სახლის პატრონი და არა თქვენ.

ქ. ზესტაფონში მცხოვრებ დომინიკა აბდუშელიშვილს.

პასუხი

თუ თქვენ მართლაც ცხოვრობთ ქალაქის განაპირა უბანში, მაშინ საბინაო ტარიფის მე-18 მუხლის თანახმად, ბინის ქირა შეგიმცირდებათ ერთი-მესამედით.

ბინის ქირას იხდით თქვენი ძირითადი ჯამაგირის მიხედვით (ე. ი. 37 მანეთის ანგარიშით) კვადრატიულ მეტრზე 8 კაპიკს, მაგრამ რა- კვადრატიულ მეტრზე 8 კაპიკს, მაგრამ რადგანაც თქვენი ოჯახი შესდგება 6 სულისაგან, ამიტომ, თანახმად საბინაო ტარიფის მე-23 მუხლისა, გეძლევათ შეღავათი თითეულ ოჯახის წევრზე — 4 წევრ ზევით 10 პროც. რაოდენობით. თქვენს ოჯახში 4 წევრზე ზევით 2 წევრია, მაშასადამე შეღავათიც 20 პროცენტით გექნებათ. სულ თქვენ მოგეცემათ შეღავათი 50 პროც. რაოდენობით. მაშასადამე ერთ კვადრატიულ მეტრზე იხდით 4 კაპეიკს.

წითელარმიელს კოწია რიბჩინსკის

პასუხი

თანახმად საბინაო ტარიფის მე-13 მუხლისა, იმ წითელარმიელების ოჯახები, რომლებიც ჯარში გაწვევამდე ითვლებოდენ ოჯახის მარჩენებლად, თუ ამ ოჯახს არა აქვს ამჟამად არავითარი შემოსავალი, იხდიან ბინის ქირას კვადრატ. მეტრზე 4 კაპეიკს.

ქუთაისის მაზრის სვირის თემის მცხ. არსენ წიგნაძეს

პასუხი

მიმართეთ ადგილობრივ აღმასკომის განათლების განყოფილებას.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის არსენალის რაიონის საგიტაციო-საპროპაგანდო/განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 13 ივლისს საღამოს 6 საათზე რაიონში ჩატარდება მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფური კრებები. კრებებზე მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სამხედრო ნაწილები.

1) ცენტრალურ მუშათა კლუბში მოხსენებით გამოვა—ამხ. **ლუკაშინი,** 2) ტრამვაის კლუბში—ამხ. **კახიანი,** 3) შინა-მრეწველთა კლუბში—ამხ. **რატნეკი.** მოხსენება გაკეთებულ იქნება აგრეთვე არსენალში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მე-2 რაიონის საბჭო იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 14 ივლისს, საღამოს 7 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება პრეზიდიუმის სხდომა.

საქ. კ. პ. (ბ) ლენრაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 13 ივლისს საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში მოწვეულია **რაიკომის გაფართოებული პლენუმი** კომუჯრედების ბიუროს წევრებთან ერთად.

ყველა რაიკომის წევრებისა და უჯრედების ბიუროს წევრების დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 13 ივლისს, 9 საათზე, თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ოთახში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი ოთხშაბათს, 13 ივლისს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომში იწვევს პლენუმს.

რაიკომის წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

პროფკავშირთა სასახლის დიდ დარბაზში, ხუთშაბათს, 14 ივლისს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია **მე-4 რაიონის უჯრედთა ბიუროს თათბირი.** დღეს წესრიგშია: 1. საანგარიშო კამპანიის და უჯრედთა ბიუროს ნაწილობრივი გადარჩევის შედეგები.

თათბირზე აუცილებლად უნდა დაესწრონ როგორც რაიკომის წევრები და კანდიდატები, ისე მე-4 რაიონის უჯრედთა ბიუროს ყველა წევრები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამხ. მიხა კახიანის სახელობის მუშფაკის ბიურო-კოლექტივი აცხადებს ამავე მუშფაკის კ. პ. ორგანიზაციის წევრ - კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ ის წევრები ან კანდიდატები, რომლებიც ქ. თბილისში რჩებიან ზაფხულის არდადეგების განმავლობაში და რომელიმე საწარმოო, ან სამოქალაქო უჯრედზე ამოწერილან, მათი სია გადაგზავნილია თბ. სახ. უნივერსიტეტის უჯრედში ზაფხულის განმავლობაში ერთად მუშაობის საწარმოებლად.

გადაგზავნილ სიებში თუ შემთხვევით გამორჩენილია რომელიმე წევრი ასეთები აღირიცხავზე აიყვანებიან უნივერსიტეტის უჯრედში,

კრების მოწვევის დრო გამოცხადებული იქნება ცალკე.

ქუთაისის საოლქო ფ-ტ. კანტორასთან არსებული კომუჯრედი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საუკეთესო კომკავშირელი ამხანაგი ქუთაისის საოლქო ფ-ტ. პროფგანყოფილების თავმჯდომარე ამხ.

იოსებ (ჭიჭიკო) იუსტინის-ძე

მარგველაშვილი

დაკრძალვა მოხდება ქუთაისში ხუთშაბათს, 14 ივლისს, მეორე ძმათა სასაფლაოზე. გამოსვენება მესამე ინტერნაციონალის კლუბიდან საღამოს 5 საათზე. 3314

ქუთაისის საოლქო ფ-ტ. კანტორასთან არსებული ახ. ლ. კ. კ. უჯრედი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საუკეთესო აქტიური კომკავშირელი ქუთაისის საოლქო ფ-ტ. პროფგანყოფილების თავმჯდომარე ამხ.

იოსებ (ჭიჭიკო) იუსტინის-ძე

მარგველაშვილი

დაკრძალვა მოხდება ქუთაისში ხუთშაბათს, 14 ივლისს, მეორე ძმათა სასაფლაოზე. გამოსვენება მესამე ინტერნაციონალის კლუბიდან საღამოს 5 საათზე. 3314

ფოსტელ მუშაკთა პროფკავშირის ქუთაისის საოლქო გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ფოსტელ პროფორგანიზაციების წევრებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ 9 ივლისს გარდაიცვალა ქუთაისის საოლქო ფ-ტ. გამგეობის თავმჯდომარე ამხ.

იოსებ (ჭიჭიკო) იუსტინის-ძე

მარგველაშვილი

დაკრძალვა მოხდება ქუთაისში ხუთშაბათს, 14 ივლისს, მეორე ძმათა სასაფლაოზე. გამოსვენება მესამე ინტერნაციონალის კლუბიდან საღამოს 5 საათზე. 3314

ღრმად დამწუხრებული დები ნინა და ეკატერინა, ძმები ვალოდია და კაკო მარგველაშვილები, სიძე ვანო ბერიძე, ბიძა (დედის ძმა) შარვაშიძე, ბიძები რაჟდენი და ფიდია მარგველაშვილები, დეიდა ციმა დევდარიანისა, მამიდები ნინო და ოლინკა, ბიცოლები—პაშა, ტელია და ნატალია, დეიდაშვილები იოსები, გიორგი და ქეთო დევდარიანები, დარიკო მარუსია და შალვა შარაშენიძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ მათ საყვარელ ნათესავის და მეგობრის

იოსებ (ჭიჭიკო) იუსტინის-ძე

მარგველაშვილის

უდროვოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში, ხუთშაბათს, 14 ივლისს, საღამოს 5 საათზე მეორე ძმათა სასაფლაოზე. 3314

ღრმათ დამწუხრებულნი დედა მაია, ძმები ძელქო და გენიოზი. რძლები თეო და ვერა, დები—ელენე და სერაფიონა, სიძეები—დიმიტრი და ალექსანდრე, ბიძა—ბიცოლა დიანოზი და ეფემია, ბიძაშვილი ნიკიფორე, ძმისწულები და დისწულები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი საყვარელი და დაუვიწყარი

სანდრო პავლეს-ძე რობაქიძე

გამოსვენება ფრეილინის ქუჩიდან, სახლი № 14, 13 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 3311

ღრმათ დამწუხრებულნი—ვასილ კობახიძე, ამბაკო და ძიხა ქელიძეები, კირილე და ნესტორ კაციტაძეები, აკაკი, სერგო და ლუკა თვალჭრელიძეები და ესტატე გაგოშიძე, შინა მიქიაშვილი აუწყებენ მეგობრებს, ნაცნობებს და ნათესავებს, რომ ა-წ. 11 ივლისს, საღამოს 5 საათზე. საკუთარ ბინაზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი ამხანაგი და მეგობარი

სანდრო პავლეს-ძე რობაქიძე

დაკრძალვა მოხდება 13 ივლისს, ოთხშაბათს, წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდგან ნაშუადღევის 4 საათზე. 3315

ღრმათ დამწუხრებულნი შვილები: პავლე, რომანი, დავით, ნიკოლოზ, ევა, მარიამ, რძლები—ელენე, მარო, ანნა, სიძეები—მიტროფანე უშვერიძე, ვალენტინ კოლიევი, ნიკოლოზ ფიცხელაური, შვილიშვილები: თამარი იაღუზიძე, გოგი უშვერიძე და ირინე, მიშიკო, ილიკო, თამრიკო, მერი, ოთარი კურდღელაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 11 ივლისს გარდაიცვალა

მელანია პეტრეს ასულის

კურდღელაშვილის

დაკრძალვა ქალ. თელავში, 14 ივლისს. 3311

ღრმად დამწუხრებული დედა ალათი სამსონის ასული დგებუაძისა, დები: სოფიო, ნინა და მარგარიტა, ძმა ნიკოლოზ დგებუაძეები, სიძე იროდიონ ნანიშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ დანიშნულია მათთვის დაუვიწყარ და უდროვოდ დაკარგულ

ვასილ (ტუტუ) გუიას-ძე დგებუაძის

წლის ჩამოტირილი და ძვირფასი

ნიკოლოზ (გუია) ევგენის-ძე დგებუაძის

სამი წლის გარდაცვალების აღსანიშნავად პანაშვიდი (სასაფლაოზე) 14 ივლისს, დღით ხუთშაბათს ს. სალხინო—ქინოთა (სენაკ. მაზ.) 3313

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლო
(არტოს ბაღში).

0—10 ნ. 1388

პირველად თბილისში ახალი მხატვრული სურათი
„ლიუსეტა“
ორიგინალური სიუჟეტი. იშვიათი ანსამბლი

გრანდიოზიული სურათი
„მომაკვდავი ერები“
2 სერია, 12 ნაწილი, ელენა მაკოვსკაიას მონაწილეობით. **ორივე სერია ერთად**

სეზონის ერთი საუკეთესო სურათთაგანი
„სამთა სიყვარული“
დადგმა რეჟ. ა. რომის, სცენარი შკლოვსკის. მთავარ როლებში: ქმარი—ბატალოვი, ცოლი—ა. სემიონოვა, მესამე—ფოგელი.
ვინც კინოს ბილეთს იყიდის, მისთვის ბაღში შესვლა უფასოა.

ანონსი: მალე საუკეთესო მხატვრული ისტორიული სურათი „ტარას ტრიასილო“

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი)**, რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 **მთავარი კანტორა**

წაღვერში
ექიმი **მეგრაბიანი**
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით სამკურნალო კაბინეტში **ხელოვნური მთის მზე.** იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. აფთიაქის თავზე. 25—18

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
ჯერჯერობით რჩება
თბილისში.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 7, ბინა 1, ტელეფონი 14—56.

ფინსახკომის გამგებლ. მყოფი სათანადო უფლებით აღჭურვილი
ეკონომ-ფინანსიური
კურსები.
უმზადებს მუშაკებს: კომისარიატებს, აღმასკომებს, ტრესტებს, ბანკებს, კოოპერატივებს და ყოველგვარ კომერციულ დაწესებულებებს.

საგნები: ფინანსები (ზოგადი კურსი, ფინანსიური პოლიტიკა, ადგილობრივი ფინანსები, რესპუბლიკანური ბიუჯეტი, პირდაპირი გადასახადი, არაპირდაპირი გადასახადი, არასაგადასახ. შემოსავალი, სახელმწიფო კრედიტი), პოლიტიკური ეკონომია (ზოგადი კურსი, ეკონომიური პოლიტიკა, ეკონ. მოძღვ. ისტორია, ფული, კრედიტი, ბირჟა), სტატისტიკა, ეკონ. გეოგრაფია, კომუნალური მეურნეობა, კოოპერაცია, ვაჭრობის თეორია და პრაქტიკა, საქონელთ—მეტყველება, კომერციული კორესპონდენცია და საქმის წარმოება, ბუხჰალტერია (ზოგადი, სპეციალური), სავაჭრო და საფინანსო გამოანგარიშება, იურიდიული საგნები და სხვა.

მიიღებიან: 1. საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი. 2. დაწესებულებათა თანამშრომელნი—კურს დაუმთავრებელნი—კოლოკვიუმით.

გადასახადი: წლიურ. 120 მ. სემესტრში 60 მ.

განცხადება მიიღება დილის 10—1 ს-დე, გარდა უქმეებისა. **განცხადებასთან სავალდებულოა** 30 მან. შემოტანა, შეიძლება ფოსტით. **მისამართი:** თბილისი, წულუკიძის ქ. (ყოფ. კრუზენშტეინის) № 10. **ადმინისტრაცია.**
10—1 ნ. 1435.

დავკარგე ზედა სიმონეთის შვიდწლიანი შრომის სკოლის ბეჭედი, ჩ. გ. ნ. 1448

დავკარგე სამთომადნო პროფკავშირის წიგნაკი № 566334 ემილიონ მდებაძის **სახელზე,** ჩ. გ. ნ. 1445

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის
ყოველთვიურ
სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ
„თანამედროვე მედიცინა“-ზე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.
ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:
თეორიული მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.
თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტორეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებზე.

ჟურნალის ფასი:	1 წლით . .	10 მან.
	$^1/_2$ წლით . .	5 მან.
	ცალკე ნომერი	1 მან.

რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. ბოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ 18 ივლისს 1927 დილის 10 საათზე პარიზის კომუნის მოედანზე დუქანი № 4 და 12 საათზე, ა. წერეთლის ქ. სახლი № 170 დანიშნულია **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა ალექსანდრე კალატოზიშვილის ქონების: ოთხი კედლის სარკეების, შკაფების, ნოხის და სხვა, შეფასებულის 163 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან . ვერა ჯაფარიძის ფულების ძიების დასაკმაყოფილებლათ. ნ. 1448

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 19 ივლისს 1927 დღის 2 საათზე სახლში № 1 ორჯონიკიძის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვლადიმერ ლაპჩენკოს მოძრავ ქონებას: ნახევრად გაკეთებულ ბუფეტის შკაფს, კამოდს და სხვადასხვა სადურგლო მასალას შეფასებულს 125 მანეთად, გიორგი არვანაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 25 ივნისს 1927 წ. თარიღით, № 2182 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ.

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი მავზაროვი

ამით აცხადებს, რომ 17 ივლისს 1927 წ. სოფ. გურჯაანში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მოძრავ ქონებისა ლადო ალექსის-ძე პეტრიაშვილისა რომელიც აღწერილია სიღნაღის სამაღმსკომის ვალში, თანახმად სიღნაღის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლისა.

სია გასასყიდი ქონებისა: ერთი ძვრა „პაბედის“ სისტემისა და ერთი ლებედკა თავისი გუთნით. ნ. 1447

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 19 ივლისს 1927 წელსა შუადღის 12 საათზე ქ. ქუთაისში ჭავჭავაძის ქუჩის მე-7 შესახვევში № 10 დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება პოლიკარპე მიხეილის-ძე ძოძუაშვილის უფლება ერთი მესამედი ნაწილზე ორ სართულიანი ქვიტკირის სახლი № 10 აგებული საეზოვე ნაკვეთ მიწაზე, ზომით მიწა მთლად 50 კვად. საჟენი, სოგრატი წიწილაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, სახლი დაფასებულია 400 მანეთ., საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 315 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 1448

დავკარგე სააქციზო სამმართველოს ნებართვა 7|8 ივლისის თარიღით № 407525 სახალხო მამულთა ტრესტის ვარციხის სახალხო მამულიდან ვლადივოსტოკის საბაჟოში 6.435 ბოთლი კონიაკის გატანის შესახებ, ჩ. გ. 3316

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 1|1 (ფორმა № 1 § 20 მ. 11) გაცემული 1926 წლის 9 მარტს ზუგდიდის სამხედრო კომისარიატის მიერ ვლადიმერ ვასილის-ძე შუბლაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1444

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—22

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი კოსტა აღამალოვის **სახელზე, ჩ. გ.** 3309

დავკარგე ბათომის გიმნაზიის დამთავრების მოწმობა № 65, მიხეილ ლევანის-ძე პაპკორიას **სახელზე, ჩ. გ.** 3310

დავკარგე სამთომადნო კავშირის წიგნაკი № 189773 ონიფანტე სოლომონის-ძე სიხარულიძის **სახელზე, ჩ. გ.** ნ. 1445

დავკარგე პარტიული ბილეთი № 501384 შაქრო დავითის-ძე ბერიძის **სახელზე, ჩ. გ.** ნ. 1445

დავკარგე რუისის თემ-აღმასკომის მიერ გაცემული მოწმობა, დამზღვევ სალაროში წარსადგენად № 226 ალექსი უმეკაშვილის **სახელზე, ჩ. გ.** 3318

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ნუსხა მიღებული ლიანდამის დარგის მე-3 უბნის ლეონტი მიხეილის-ძე ქარქაშაძის **სახელზე, ჩ. გ.** ნ. 1448

დავკარგე საპენსიო წიგნაკი № 728 ნინა არსენიძეს **სახელზე, ჩ. გ.** 3316

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა